ეროვნული ბიბლიოთეკა

## აქცენტი



### ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა

2 ივნისს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით გაიმართა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა.

საბჭოს წევრებმა განიხილეს რუსეთსა და საქართველოს შორის სავიზო ურთიერთობის შემოღების შესახებ საქართველოსათვის რუსეთის ფედერაციის მთავრობის მიერ შემოთავაზებული ხელშეკრულების პროექტი, აგრეთვე იმსჯელეს იმ პოზიციაზე, რომელიც საქართველო-რუსეთის სამხედრო თანამშრომლობის საკითხთა კომისიამ შეიმუშავა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის დელეგაციების მოლაპარაკების მეორე რაუნდისა და ექსპერტთა მოსამზადებელი შეხვედრის თაობაზე.

განიხილეს „ადვოკატურის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, მოისმინეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ გაეროს შესაბამის კომიტეტებში განიხილეს საქართველოს პირველადი სახელმწიფო მოხსენება, რომელიც ეხებოდა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ პაქტსა და ბავშვის უფლებათა კონვენციას.

ეროვნული უშიშროების საბჭომ გამოთქვა შეშფოთება კოდორის ხეობაში გაეროს მეთვალყურეთა მისიის რამდენიმე წარმომადგენლის დაკარგვის გამო. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტი მოხდა საქართველოს ხელისუფლების კონტროლს დაუქვემდებარებელ ტერიტორიაზე, მიღწეულია შეთანხმება აფხაზურ მხარესთან ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფის შექმნის შესახებ.

ეროვნული უშიშროების საბჭომ მოისმინა ფინანსთა და საგადასახადო შემოსავლების მინისტრების ზ. ნოღაიდელისა და მ. მაჭავარიანის ინფორმაციები ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობაზე. საქართველოს პრეზიდენტმა უმწვავესი შეფასება მისცა შექმნილ მდგომარეობას და მოითხოვა განხორციელდეს საგანგებო ღონისძიებანი.

სხდომა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი.**

## სახელმწიფო მინისტრი

### „საქართველოს სოფლის მეურნეობაში ინვესტიციები მიზანმიმართულად რომ დაბანდებულიყო, დღეს საქმე გაცილებით უკეთ იქნებოდა“

ასე განაცხადა 2 ივნისს საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი არსენიშვილმა ევროკომისიის მიერ შექმნილი საქართველოს „აგრობიზნესბანკის“ დირექტორთან პიტერ მოუსთან შეხვედრისას.

სახელმწიფო მინისტრმა აღნიშნა, რომ კარგად იცნობს ჩვენს ქვეყანაში ამ ბანკის მრავალწლიან საქმიანობას და თქვა, რომ სურს გააგრძელოს მასთან მჭიდრო თანამშრომლობა. „ჩვენი ხანგრძლივი ურთიერთობა და შეძენილი გამოცდილება ამცირებს შეცდომების დაშვების ალბათობას,“ – განაცხადა გიორგი არსენიშვილმა, რომლის მოსაზრებით, თანამშრომლობა ორი მიმართულებით უნდა წარიმართოს. კერძოდ, ნებისმიერი ახალი პროგრამა თუ ინვესტიცია უნდა ითვალისწინებდეს, რამდენი სამუშაო ადგილის შექმნა მოჰყვება მის ამოქმედებას. ამასთან, ისიც წინასწარ უნდა განისაზღვროს, რამდენად სწრაფად დაუბრუნდება სახელმწიფოს გაცემული სესხი გადასახადების სახით.

იხ. მე-2 გვ.



**ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:**
**http://www.opentext.org.ge/sakartvelos-respublika**

**გასული ორშაბათიდან ჩვენს გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 4517 მკითხველი. მ. შ., 67% აშშ-დან, 24% – საქართველოდან.**

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №147 (3548) შაბათი, 3 ივნისი, 2000 წელი. ფასი 50 თეთრი.

## კანონმდებლები

### რატიფიცირებულია სხვადასხვა დოკუმენტები



საქართველოს პარლამენტმა მიმდინარე სასესიო კვირის რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტის რატიფიკაცია მოახდინა. მათ შორისაა – ტრანსპორტის მინისტრთა კონვენციის ოქმი; ოქმი საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ კონვენციაში ცვლილებების თაობაზე; შეთანხმება საქართველოს მთავრობისა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის შემოსავლსა (მოგებასა) და კაპიტალზე (ქონებაზე) ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის ალკვეთის შესახებ; შეთანხმება საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის შემოსავალსა და ქონებაზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის ალკვეთის შესახებ; შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) ექსპორტისა და იმპორტისას არაპირდაპირი გადასახადებით დაბეგვრის პრინციპების შესახებ; კონვენცია საქართველოს მთავრობასა და ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის შემოსავალსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის ალკვეთის შესახებ.

**საქინფორმი.**

## დერეფანი

### დაიწყო გაზსადენის პროექტების საჯარო განხილვა



საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციამ, ქვეყანაში გაზის ტრანზიტთან დაკავშირებული პროექტების აქტიური საჯარო განხილვები დაიწყო.

საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტმა ალეკო გოცირიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებლებს გუშინ გამართულ შეხვედრაზე ქვეყნის ტერიტორიაზე გაზის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული პროექტები წარუდგინა.

მისი თქმით, ამ მხრივ ძირითადად სამი პროექტის განხორციელება იგეგმება, მათ შორის, ტრანსკასპიური გაზსადენის მშენებლობა, ასევე, აზერბაიჯანის და რუსეთის გაზის თურქეთში მიწოდება, რის შედეგადაც საერთო ჯამში საქართველოს ტერიტორიით წელიწადში 70 მილიარდი კუბური მეტრი გაზის ტრანზიტი არის დაგეგმილი.

მისი თქმით, ტრანსკასპიური გაზსადენი თურქმენული გაზის აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით თურქეთისათვის მიწოდებას ითვალისწინებს.

მილსადენის მშენებლობა 2,3-2,5 მილიარდი აშშ დოლარი დაჯდება, ხოლო შესაბამის ფინანსურ უზრუნველყოფას აშშ-სა და იაპონიის ექსიმბანკები, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, მათ შორის სავალუტო ფონდი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი მოახდენენ.

ამასთანავე, აღსანიშნავია გაზის ტრანსპორტირების აზერბაიჯანი-საქართველო- თურქეთის, რუსეთი-შავის ზღვის აუზი-თურქეთის მარშრუტების ვარიანტები.

„აზერბაიჯანის ხელისუფლება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის პროექტის რატიფიკაციას ელოდებოდა და უახლოეს მომავალში გაზსადენის მშენებლობის საკითხზე აქტიურად იმსჯელებს“, - აღნიშნა გოცირიძემ.

ამჟამად, საქართველოში არსებული მილსადენების სისტემა 2000 კილომეტრია. ამ ქსელის გამოყენების ან ახლის მშენებლობის საკითხის განხილვა დღის წესრიგში დადგება.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა დადებითად შეაფასეს კორპორაციის მიერ წარმოდგენილი პროექტები და მხარი დაუჭირეს მათ საჯარო განხილვას.

გაზის საერთაშორისო კორპორაცია შემდეგ შეხვედრას თბილისის სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტში გეგმავს.

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 1 ივნისი ქ. თბილისი

**გ. ქემელაშვილის III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისთვის, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი მაღალი პროფესიონალიზმის, თავდადებისა და მამაცობისათვის ქვემო ქართლის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე კრიმინალური პოლიციის ხაზით, პოლიციის პოლკოვნიკი **გიორგი ქემელაშვილი** დაჯილდოვდეს III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით.

**ე. შევარდნაძე.**

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 1 ივნისი ქ. თბილისი

**ვ. მაღალთაძის III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჯარისო დაზვერვის სამმართველოს უფროსად მუშაობისას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის, ქართული არმიის აღმშენებლობაში შეტანილი პირადი წვლილისა და უმწიკვლო სამსახურისათვის საქართველოს განათლების სამინისტროს სამხედრო განყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი **ვახტანგ მაღალთაძე** დაჯილდოვდეს III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით.

**ე. შევარდნაძე.**

## კადრები

### საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**სულხან მოლაშვილის საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დაინიშნოს **სულხან მოლაშვილი** საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარედ.

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია.**

თბილისი, 2000 წლის 30 მაისი.



### სულხან მოლაშვილი

დაიბადა 1969 წელს ქ. თბილისში. 1989 წელს ჩაირიცხა სარატოვის იურიდიულ ინსტიტუტში. შემდეგ სწავლა გააგრძელა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტზე სამართალმცოდნეობის სპეციალობით, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1995 წელს.

1986 წლიდან 1987 წლამდე მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში.

1987 წლიდან 1989 წლამდე მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში.

უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად, 1992 წლიდან მუშაობდა უზენაეს სასამართლოში ჯერ საზოგადოებრივ საწყისებზე, ხოლო შემდეგ ინსპექტორად, კონსულტანტად.

1996 წელს დაინიშნა ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის განყოფილებაში წამყვან სახელმწიფო მრჩევლად.

1997 წლიდან 2000 წლის იანვრამდე იყო საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრი, 2000 წლის იანვრიდან – საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

## პალიტრა



დიმიტრი ერისთავი. „ყვავილების გამყიდველი ქალი“.

## შევეწიოთ!

### სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა



**ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:**

| | |
|---|---|
| შპს „პრიზმა“ | – 500 ლარი; |
| შპს „კალოიანი და აუდიტკომპანი“ | – 6 ლარი; |
| კახაბერ კაპანაძე | – 2 ლარი; |
| ანა კერვალიშვილი | – 10 ლარი; |
| რეზო კეჭაღმაძე | – 3 ლარი; |
| ნიკოლოზ ჭკვიანიშვილი | – 12 ლარი; |
| გიორგი ფირცხალაიშვილი | – 10 ლარი. |

## კულუარები

### ჩხობაძის გამინისტრება მმართველ ფრაქციაში ახალი განხეთქილების მიზეზი ხდება

პარლამენტის მიერ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრად ნინო ჩხობაძის დამტკიცებას რომ მმართველ ფრაქციაში გარკვეული შეხლა-შემოხლა მოჰყვებოდა, ამის განჭვრეტა არც თუ ისე ძნელი იყო. მაგრამ თუ ჩხობაძის პერსონა მოქალაქეთა კავშირის საპარლამენტო ფრაქციაში ინციდენტის მიზეზი გახდებოდა, ამას არავინ იფიქრებდა. არადა, პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დავით საგანელიძემ, პროტესტის ნიშნად მმართველი

იხ. მე-2 გვ.

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 1 ივნისი ქ. თბილისი

**ს. მოლაშვილის საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ**

გათავისუფლდეს სულხან მოლაშვილი საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის თანამდებობიდან საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარედ დანიშვნის გამო.

**ე. შევარდნაძე.**

## ინფორმაცია

**ფასები შემცირდა**

სამომხმარებლო ფასების ინდექსი ერთი კვირის მანძილზე (26 მაისი - 1 ივნისი) 99,80 პროცენტით განისაზღვრა.

როგორც პრაიმ-ნიუსს საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში აცნობეს, ამ მაჩვენებელმა გასულ კვირას 99,56 პროცენტი შეადგინა. ინდექსი 40 დასახელების საქონლისა და მომსახურებისაგან შედგენილი კალათის ფასების ცვლილებას ასახავს. ფასები, მიმდინარე კვირაში, 0,20 პროცენტით შემცირდა, მათ შორის სურსათზე 0,52 პროცენტით, მომსახურებაზე - 0,25 პროცენტით, ხოლო არასასურსათო საქონელზე ფასები უცვლელი დარჩა.

**დაიწყო ევროსაბჭოს კომისრის ვიზიტი**

საგარეო საქმეთა სამინისტრო იმედს გამოთქვამს, რომ ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის ხოსე-ალვარო ხილ რობლესის საქართველოში ვიზიტი, რომელიც 1 ივნისს დაიწყო, აფხაზეთის და ქართულ-ოსური კონფლიქტების მოგვარების საქმეში ევროპის საბჭოს უფრო აქტიური ჩართვის წინაპირობა გახდება.

ათდღიანი ვიზიტის განმავლობაში ხილ რობლესი შეხვდება საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას, სახელმწიფო მინისტრს გია არსენიშვილს და სხვებს.

**ოფიციალურ ვიზიტად - რუმინეთში**

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი 8-9 ივნისს ოფიციალურ ვიზიტად რუმინეთს ეწვევა. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები რუმინეთის პრეზიდენტთან ემილ კონსტანტინესკუსთან, პრემიერ-მინისტრთან მუგურ იზარესკუსთან, რუმინეთის პარლამენტის ზედა და ქვედა პალატების ხელმძღვანელებთან. შეხვედრებზე განხილული იქნება საქართველოსა და რუმინეთს შორის ორმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები.

**კონტრაბანდის წინააღმდეგ**

საბაჟო დეპარტამენტში შექმნილი საგანგებო შტაბის მონაცემებით გასული დღე-ღამის განმავლობაში გამოვლენილია საბაჟო წესების დარღვევის 17 ფაქტი. 20 პირს შიდა საბაჟო ტრანზიტის ფორმების ვადის დარღვევით წარმოდგენის გამო დაეკისრა ადმინისტრაციული გადასახადი 3000 ლარის ოდენობით.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრაიმ-ნიუსმა და საქინფორმმა.**

## გიხაროდენ!

### დედა გავხდი!

ძვირფასო რედაქცია! მუდამ სიხარულითა და მღელვარებით ვკითხულობდი თქვენს გაზეთში მშვენიერ ინფორმაციებს ბავშვების დაბადებასთან დაკავშირებით. 20 მაისს დედა გავხდი, მე და ჩემს მეუღლეს გოგა ვაჩეიშვილს გოგონა შეგვეძინა, მას თამარი დავარქვეით. მე სტუდენტი ვარ, გოგა იურისტია. ორივენი დედისერთები ვართ, ჩვენ კი გვინდა, რომ ბევრი შვილი გვყავდეს, საამისოდ მშობლებიც გვაგულიანებენ.



დიდი მადლობა ჩვენი სიხარულის გაზიარებისთვის.

**ანა ანთაძე-ვაჩეიშვილი,**
**ქუთაისი.**

**ანა და გოგა, პირველი შვილის შეძენას გილოცავთ.**

**ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.**

## დღის თემა

### ეს იყო პროტესტი ყველას მიმართ

გვესაუბრება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი.

– ბატონო თამაზ, ამას წინათ თქვენ განაცხადეთ, რომ გადადგებოდით აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან. აღნიშნეთ, რომ ეს იყო პროტესტი ყველას მიმართ. ასეთი განცხადებები ადრეც გაგიკეთებიათ, მაგრამ ამჯერად რამ განაპირობა?

იხ. მე-2 გვ.

## დღეს

**ამინდი**

**დასავლეთ საქართველოში**
დაბლობზე: ღამით +15+20; დღისით +27+32.
მთაში: ღამით +12+17; დღისით +25+30.

**აღმოსავლეთ საქართველოში**
ბარში: ღამით +14+19; დღისით +27+32.
მთაში: ღამით +11+16; დღისით +24+29.

**თბილისში**
ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა. ღამით +17+19; დღისით +30+32.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

## ფინანსები

### ლარის კურსი

*3 ივნისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:*

| | | |
|---|---|---|
| გერმანული მარკა | 1 | 0.9374 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.9700 ლარი |
| ევრო | 1 | 1.8335 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0696 ლარი. |

## უკანასკნელ საათს





__პრეზიდენტ__ კლინტონის მოსკოვში დღევანდელი ვიზიტის წინ პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გუშინ გააკეთა სენსაციური განცხადება რუსეთისა და აშშ-ს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ერთობლივი სისტემის შექმნის აუცილებლობის შესახებ.

__გუშინ__ მოსკოვში კატასტროფა განიცადა ვერტმფრენმა, რომელშიც ეკიპაჟის გარდა ოთხი მგზავრი იმყოფებოდა. კატასტროფის ადგილზე ლეგენდარული ექიმ-ოფთალმოლოგის სვიატოსლავ ფიოდოროვის ჯერ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და ფეხის პროტეზი აღმოაჩინეს, მოგვიანებით კი თვით ექიმის სხეულსაც მიაკვლიეს.

## გაზეთი და მკითხველი

### უგაზეთოდ როგორ დავტოვებ

დავინტერესდი სად, როგორ ვრცელდება „საქართველოს რესპუბლიკა“, რა კატეგორიის ხალხი იძენს მას, ვინ სცემს პატივს შენი რედაქციის ჟურნალისტების შრომას...

ჯერ იყო და ალმაშენებლის პროსპექტს გავუყევი, შემდეგ საყოფაცხოვრებო სახლის „პირიმზის“ მიმდებარე ტერიტორიასა და თავისუფლების მოედანზე განთავსებულ რამდენიმე საგაზეთო ჯიხურსაც მივაკითხე.

აღმაშენებლის პროსპექტზე „მაცნეს“ № 203 ჯიხურის გამყიდველმა პირდაპირ მითხრა: თქვენს გაზეთს, როცა მრჩებოდა, უკან არ იბრუნებდნენ, მოთხოვნა თუ იქნება, ჩემთვის უკეთესია, ხელფასიც მეტი მექნებაო.

კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ ყველამ გაიგოს: ვიბრუნებთ, 20 პროცენტს ვიბრუნებთ.

მეტრო „მარჯანიშვილის“ წინ „პლანეტა ფორტეს“ ჯიხურიც არის და ჰპს ბირჟაც. ეს ჯიხური მხოლოდ ორ ცალ

იხ. მე-2 გვ.

## ინტერპანორამა



გუშინ სკლიფოსოვსკის ინსტიტუტში 80 წლისა გარდაიცვალა ცნობილი კინორეჟისორი მიხეილ შვეიცერი.



გუშინწინ ლეფერტოვოდან ამნისტიით გათავისუფლებულ ასლან მასხადოვის ადმინისტრაციის ყოფილ მეთაურს აპტი ბატალოვს რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომლები იცავენ, რადგან გათავისუფლებისას გაკეთებული განცხადებების გამო ჩეჩენ საველე მეთაურთა მხრიდან საფრთხე ემუქრება მის სიცოცხლეს.





გუშინ, გუბერნატორების ერთ ჯგუფთან შეხვედრისას ვლადიმერ პუტინმა შეშფოთება გამოთქვა სახელმწიფო მართვის ვერტიკალური სტრუქტურის შესაძლო გართულების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ მისი წარმომადგენლების ფუნქციები ჰიპერტროფულად გაიზრდება, შესაძლებელი იქნება კვაზისახელმწიფოების წარმოქმნაც კი.

„საქართველოს რესპუბლიკა“ — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

## სახელმწიფო მინისტრი

# „საქართველოს სოფლის მეურნეობაში ინვესტიციები მიზანმიმართულად რომ დაბანდებულიყო, დღეს საქმე გაცილებით უკეთ იქნებოდა“

(პირველი გვერდიდან)

წარსულის შეცდომების გათვალისწინებით, საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა აღნიშნა, რომ კრედიტები მხოლოდ რეალური გარანტიების საფუძველზე უნდა გაიცეს.

ამავე დროს, მან მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ გაფართოვდეს საბანკო სისტემა რეგიონებში. „ეს გაცილებით გაამარტივებს ადგილობრივი მოსახლეობის ბანკებთან საქმიან ურთიერთობას“, – განაცხადა გიორგი არსენიშვილმა, და აქედან გამომდინარე, პიტერ მოუს სთხოვა შეხვდეს რეგიონების ხელმძღვანელებს.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრს შეხვედრის დროს ბევრი საინტერესო შეკითხვა და მოსაზრება დაებადა „აგრობიზნესბანკის“ საქართველოში მომავალი საქმიანობის შესახებ, მაგრამ, ბუნებრივია, რეგლამენტით გათვალისწინებული შეზღუდული დრო ყველა საკითხზე დეტალური განხილვის საშუალებას არ იძლეოდა.

თუმცა, საუბრისას მკაფიოდ ითქვა, რომ ორივე მხარე მზადაა კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის, რაც იმის იმედს იძლევა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობაში დაბანდებული მიზნობრივი ინვესტიციები მომავალში სერიოზულ წარმატებებს მოუტანს დარგს.

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი.**

## ხიდები

# საქართველოში იხსნება შვედეთის სამეფოს საპატიო საკონსულო

8 ივნისს ოფიციალურად გაიხსნება საქართველოში შვედეთის სამეფოს საპატიო საკონსულო. ამის შესახებ 2 ივნისს ჟურნალისტებს აცნობა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა ავთანდილ ნაფეტვარიძემ. მისივე ცნობით, შვედეთის სამეფოს საპატიო კონსულად ჩვენს ქვეყანაში ინიშნება შვედური წარმოშობის ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე ერიკ ჯონსონი, რომელიც უკვე რამდენიმე წელია თბილისში ცხოვრობს და მუშაობს, ფლობს ქართულ ენას.

8 ივნისსვე გაიმართება საქართველოსა და შვედეთს შორის ორმხრივი პოლიტიკური კონსულტაციები. იგეგმება შეხვედრები საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში, პარლამენტსა და საგარეო საქმეთა სამინისტროში.

გარდა ამისა, შვედეთის ინიციატივით თბილისში გაიმართება სემინარი სამხრეთ კავკასიის რეგიონის შესახებ.

**საქინფორმი.**

## დაჯილდოება

# საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 1 ივნისი ქ. თბილისი

### გ. ბოთერაშვილის II ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირვისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 23-ე მექანიზებული ბრიგადის მეორე ბატალიონის ნაღმსატყორცნი ბატარეის პირველი საცეცხლე ოცეულის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი ბოთერაშვილი** დაჯილდოვდეს II ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით (სიკვდილის შემდეგ).

**ე. შევარდნაძე.**

## დღის თემა

# ეს იყო პროტესტი ყველას მიმართ



(პირველი გვერდიდან)

**– „ყველაში“ ვის გულისხმობთ, კონკრეტულად არ დაასახელებთ?**

– ვგულისხმობ ხელისუფლებას, საერთაშორისო ორგანიზაციებს, პოლიტიკურ სპექტრს, საქართველოს მოქალაქეებს.

**– საქართველოს მოქალაქეებს? კი, მაგრამ მოქალაქეებმა რა ქნან?**

– საქმე ის არის, რომ აფხაზეთი ჩვენი ქვეყნისთვის მეცხრეხარისხოვანი გახდა. უფრო მეტიც, საერთოდ, დავიწყებას მიეცა. გაეერთეთ არჩევნებით, თანამდებობებზე დანიშვნით, გავლენის სფეროების განაწილებით. პირადული ეროვნულზე უფრო მაღლა ალმოჩნდა. არის უამრავი სხვა მიზეზიც.

ერთი სიტყვით, ეს იყო პროტესტი იმის მიმართ, რომ ტერიტორიადაკარგული სახელმწიფო იმ წესით არ ცხოვრობს, რა წესითაც უნდა ცხოვრობდეს.

რაც შეეხება თვითონ გადადგომას, მე უმრავლესობიდან და ფრაქცია „აფხაზეთიდან“ გამოვედი. ცოტა მოგვიანებით ეს ნაბიჯი ფრაქციამაც გადადგა.

**– მთელი ამ რვა წლის განმავლობაში თქვენ მხოლოდ ძალისმიერ მეთოდებზე საუბრობთ.**

– სხვა გზას ვერ ვხედავ. საკითხისადმი ჩემმა ასეთმა მიდგომამაც განაპირობა უმრავლესობიდან ჩემი გამოსვლა. ძნელია იყო უმრავლესობის წევრი, როცა მათ ამ პრობლემისადმი აბსოლუტურად საწინააღმდეგო პოზიცია უკავიათ. ეს ძალიან შემბოჭველი მომენტია.

**– ესე იგი, უმრავლესობიდან თქვენი გამოსვლა იმ მიზანს ემსახურება, რომ თქვენს საქმიანობაში უფრო თავისუფალი იყოთ?**

– დიახ, და ამავე დროს საშუალება მქონდეს ჩემი პოლიტიკა დამოუკიდებლად განვახორციელო. ჩემი გადაწყვეტილება გულწრფელი იყო, ამიტომაც ეს საკითხი გაფართოებულ სესიაზე დავაყენე, სადაც არა მარტო დევნილთა წარმომადგენლები, არამედ მთელი საქართველოს სპექტრი მოვიწვიეთ. ხუთსაათიანი მუშაობის შემდეგ სესიამ ჩემს განცხადებაზე უარი თქვა. ჩემზე ძალიან იმოქმედა დევნილთა ერთსულოვანმა მხარდაჭერამ როგორც აქ, თბილისში, ასევე რეგიონებში.

მიუხედავად იმისა, რომ სესიაზე ოპოზიციის ძალიან ფართო წარმომადგენლობა გამოდიოდა, მიუხედავად იმისა, რომ ძალზე სერიოზული კრიტიკა იყო, ჩემი ამ თანამდებობაზე დარჩენა ყველამ კატეგორიულად მოითხოვა. ასეთივე მოთხოვნები იყო პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II მხრიდან, რომ მე ჩემი საქმიანობა გამეგრძელებინა. მართლაც, ჩემმა გადადგომამ შესაძლებელია ბზარი შეიტანოს ჩვენი სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაში.

**– როგორ გრძნობს თავს თანამდებობაზე დაბრუნებული თამაზ ნადარეიშვილი?**

– თავს სიკვდილმისჯილად ვთვლი, რადგანაც ასე ცხოვრება შეუძლებელია. ძალზე მიჭირს დევნილთა კატასტროფული მდგომარეობის აღქმა, შეგუება იმ უიმედობასთან, რაც საზოგადოებაში განმტკიცდა. თუკი თითოეული ქართველი, ხელისუფლების წარმომადგენელი თუ რიგითი მოქალაქე, ვერ გაიგებს, რომ უმთავრესია ქვეყნის გამთლიანება და აფხაზეთის დაბრუნება, ვერავითარი რეფორმები, მეგობარი ქვეყნების დახმარებები, ჰუმანიტარული პროგრამები ჩვენ ვერ გვიშველის.

საქართველოს უპირველესი პრობლემა იყო და არის აფხაზეთი!

ესაუბრა
**მზია გელენავა.**

## კანონმდებლები

# დაამტკიცეს კომისიის შემადგენლობა

საქართველოს პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე დაამტკიცა საფინანსო-საბიუჯეტო კრიზისის მიზეზების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის შემადგენლობა. კომისიის წევრთა რაოდენობა 19 კაცით განისაზღვრა. კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცებულია დეპუტატი დავით გამყრელიძე. ამგვარად, დროებითი საპარლამენტო კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, – როგორც ცნობილია, თვით საპარლამენტო კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ ამ ცოტა ხნის წინათ მიიღო, ანუ მას შემდეგ, რაც პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მოისმინეს საქართველოს 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიში და მასთან დაკავშირებით კონტროლის პალატის მოხსენება. როგორც მაშინ აღინიშნა, გასული საბიუჯეტო წელი ქვეყანამ ვერ შეასრულა და გარღვევამ 300 მილიონ ლარს მიაღწია. სწორედ შარშანდელი საფინანსო-საბიუჯეტო კრიზისის მიზეზების შესწავლა და შექმნილი ვითარების შეფასება დაევალა ახალ დროებით საპარლამენტო კომისიას.

# ელჩობიდან გამოიწვიეს ახალ თანამდებობაზე დანიშვნის გამო

პარლამენტი დაეთანხმა ბენილუქსის ქვეყნებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის და ნატოსთან საქართველოს დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელის თანამდებობიდან ზურაბ აბაშიძის გათავისუფლებას.

ზურაბ აბაშიძე პრეზიდენტის ბრძანებულებით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ დაინიშნა და, ამდენად, კონსტიტუციის შესაბამისად აუცილებელი გახდა ელჩობიდან მისი გამოწვევა.

ზურაბ აბაშიძის საქმიანობა დიპლომატიურ ასპარეზზე პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა დადებითად შეაფასა. როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ პლენარულ სხდომაზე განაცხადა, კომიტეტი თავის შეფასებაში ერთსულოვანი იყო. ნინო ბურჯანაძის თქმით, სერიოზული წარმატებები ნატოსთან ურთიერთობაში ბევრად იყო განპირობებული ზურაბ აბაშიძის მოღვაწეობით, მისივე დამსახურებაა, რომ კავშირურთიერთობა განმტკიცდა და განვითარდა ბენილუქსის ქვეყნებთან. დარწმუნებული ვართ, რომ ზურაბ აბაშიძე ნებისმიერ თანამდებობაზე გაამართლებს პრეზიდენტის, პარლამენტის ნდობას და ძალისხმევას არ დაიშურებს საკუთარი ქვეყნის საკეთილდღეოდ, განაცხადა პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარემ.

**საქინფორმი.**

## კულუარები

# ჩხობაძის გამინისტრება მმართველ ფრაქციაში ახალი განხეთქილების მიზეზი ხდება

(პირველი გვერდიდან)

ფრაქციიდან გასვლის შესახებ განცხადება გააკეთა. ცოტა მოგვიანებით კი სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე, ანალოგიური განცხადება კომიტეტის თავმჯდომარემ კახა ჩიტაიამაც გააკეთა.

ჩხობაძის მიმართ ამ „შეურიგებელი“ კომიტეტის სხვა წევრებს ასეთი გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ. თუმცა ცნობილია, რომ თავის დროზე ჩხობაძის კანდიდატურის კომიტეტში განხილვის დროს, მას მხარი 6 დეპუტატმა დაუჭირა, 8 კი წინააღმდეგი წავიდა. ამით ჩხობაძე ერთადერთი მინისტრობის კანდიდატი გახდა, რომელიც საკომიტეტო მოსმენების დროს „ჩავარდა“, რაც პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მის დამტკიცებას, ამოუცნობ ამოცანად ხდის.

როგორც კახა ჩიტაია აცხადებს, განწირული ნინო ჩხობაძის ბედი კენჭისყრის წინ გამოცხადებული შესვენების ხუთმა წუთმა გადაწყვიტა, როცა უმრავლესობის ლიდერმა ნიკო ლეკიშვილმა თანაპარტიელებს პრეზიდენტის სახელით ჩხობაძის მხარდაჭერა ურჩია. ასეთ მოქმედებას კახა ჩიტაია პარლამენტზე ზეწოლის სახიერ მაგალითად მიიჩნევს და ნინო ჩხობაძესთან დაკავშირებით საკუთარი სიმართლის დამტკიცებას აპირებს. საამისოდ იგი სახელმწიფო მინისტრის ხელმძღვანელობითა და ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობით სპეციალური კომისიის შექმნას ითხოვს, რომელიც გარემოს დაცვის სამინისტროს საქმიანობას (განსაკუთრებით ქვეყანაში პიროლიზური ფისის შემოტანის გამო) შეისწავლის.

კახა ჩიტაია გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეობიდან გადადგომას ნებაყოფლობით არ აპირებს, თუმცა პარლამენტის ხელმძღვანელობის მხრიდან, თანამდებობიდან მისი გადაყენების შესაძლებლობას არ გამორიცხავს.

როგორც ჩანს, ჩხობაძის კანდიდატურასთან დაკავშირებით, კახა ჩიტაიასა და პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას შორის შავმა კატამ გაირბინა. არადა, კახა ჩიტაია ყოველთვის პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას უერთგულეს თანამებრძოლად ითვლებოდა (მათ პოლიტიკური კარიერა მწვანეთა პარტიაში ერთად დაიწყეს).

სხვათაშორის, როცა პარლამენტში, ამას წინათ, კობა დავითაშვილის ინიციატივით დეპუტატთა 120-კაციანი სკანდალური განცხადება იშვა, მაშინ კახა ჩიტაიამ ერთმნიშვნელოვნად პარლამენტის ხელმძღვანელობის მხარე დაიჭირა და პარტიული დისციპლინის დარღვევა დაუშვებლად მიიჩნია. მან, მაშინ, ფრაქციაში არსებული განხეთქილების შესახებ გავრცელებული ჭორებიც არარეალურად ჩათვალა. მაგრამ ამ განხეთქილების ერთ-ერთ მთავარ ავტორად ახლა თავად გამოვიდა და ამით თავის მეგობარ პარლამენტის თავმჯდომარესაც მკვეთრად გაემიჯნა. კულუარული ინფორმაციით ჩხობაძის მინისტრად დამტკიცების შემდეგ, სადამო ხანს ჟვანიას ჩიტაიასთან საუბრის სურვილი გაუჩნდა, თუმცა კომიტეტის თავმჯდომარემ პარლამენტის ხელმძღვანელთან შეხვედრაზე უარი განაცხადა. სამაგიეროდ ყველასთვის მოულოდნელად, კახა ჩიტაიამ საერთო ენა გამონახა იმ 120-კაციანი სკანდალური განცხადების ავტორებთან, რომელთაც, ამას წინათ, კიცხავდა. კერძოდ, საუბარია ლევან გაჩეჩილაძესა და დავით გამყრელიძეზე, რომლებიც მმართველი ფრაქციისა და პარლამენტის ხელმძღვანელებთან დაპირისპირების შემდეგ, უმრავლესობის შიგნით ახალი ფრაქციის ჩამოყალიბებაზე ალაპარაკდნენ.

ნიშანდობლივია, რომ კახა ჩიტაიამ მხოლოდ ფრაქცია დატოვა და არა უმრავლესობის რიგები. ეს იმას ნიშნავს, რომ მმართველი ფრაქციის ალტერნატიული ფრაქციის შექმნა სულ უფრო და უფრო რეალური ხდება. და რაც ყველაზე უფრო საინტერესოა, ეს ახალი დაპირისპირება არა უმრავლესობის შიგნით არსებული სხვადასხვა დაჯგუფებას შორის განვითარდა, არამედ ახლანდელი განხეთქილება ფაქტობრივად თვით ე. წ. ჟვანიას გუნდში დაიწყო. ეს ალტერნატიული ფრაქციის შესაძლო წევრთა რაოდენობას ერთიორად ზრდის. და თუ მხოლოდ გაჩეჩილაძისა და გამყრელიძის ცალკე გასვლის შემთხვევაში საუბარი იყო 10-20-კაციანი ფრაქციის შექმნაზე, ახლა უკვე 50-60 კაციანი ახალი პოლიტიკური დაჯგუფების ჩამოყალიბებაზეა საუბარი. მით უმეტეს, რომ ჩხობაძის კანდიდატურას, ლეკიშვილის გაფრთხილების მიუხედავად 41 დეპუტატმა მხარი მაინც არ დაუჭირა, ხოლო 20-მდე დეპუტატმა პროტესტის ნიშნად კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარი თქვა.

როგორც ვარაუდობენ, მთლიანობაში ეს.ის 60 დეპუტატია, რომლებიც საპარლამენტო უმრავლესობის ახალგაზრდულ გუნდს მიეკუთვნებიან. თუმცა ამ ყველაფერში გაურკვეველი რჩება ფრაქციის თავმჯდომარის მიხეილ სააკაშვილის პოზიცია, რადგან იგი, წესით და კანონით, ახალგაზრდა რეფორმატორთა ფრთას მიეკუთვნება, მეორეს მხრივ, ამ ფრთის ბირთვი იმ ფრაქციიდან გასვლას გეგმავს (ზოგი უკვე გავიდა), რომელსაც იგი ხელმძღვანელობს. არადა, უკვე მმართველ ფრაქციაში სერიოზული განხეთქილების ნიშნები ისე აშკარა გახდა, რომ მის მიჩქმალვას არავითარი აზრი არა აქვს. თვით მოქალაქეთა კავშირის საპარლამენტო ლიდერები უკვე ღიად საუბრობენ უმრავლესობაში თუ ფრაქციაში არსებულ პარტიულ კრიზისზე. როგორც გია ბარამიძე აცხადებს, პარტიის შიგნით დაიწყო ბრძოლა კონსერვატორებსა და რეფორმატორებს შორის, რით დამთავრდება ეს ბრძოლა, არავინ უწყის. ამ ბრძოლის, პირველი შედეგი კი, როგორც ვარაუდობენ, მაინც ახალი ფრაქციის შექმნა იქნება. ამის შესაძლებლობას გია ბარამიძე ჯერჯერობით უარყოფს (თუმცა ეს დროის საკითხია), განსხვავებით დავით გამყრელიძის, ლევან გაჩეჩილაძის და თუნდაც იგივე კახა ჩიტაიასაგან, ასე რომ, წრე იკვრება, და ვინ ჩაკეტავს მას საბოლოოდ, ეს მალე გამოჩნდება.

**ბექა ჟღენტი.**

## სიტუაცია

# საინფორმაციო საშუალებათა მიერ გავრცელებული ფაქტი სინამდვილეს არ შეეფერება

**საქართველოს საპატრიარქომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:**

ა.წ. 1 ივნისს ნინოწმინდის რაიონის სოფელ ფოკაში იმყოფებოდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II სამღვდელოებასა და მრევლთან ერთად, რათა წირვა ელოცა იმ ადგილას, სადაც წმიდა ნინო საქადაგებლად პირველად შემოვიდა საქართველოში. წირვის დასასრულს კონკრეტულ საკითხზე მოხდა ინციდენტი სომეხ და ქართველ ორ ახალგაზრდას შორის, რომელმაც შემდეგ უფრო სერიოზული სახე მიიღო და გარკვეულ დაძაბულობაში გადაიზარდა. სიტუაციის განსამუხტავად ჩასული სტუმრები კათალიკოს-პატრიარქის ლოცვაკურთხევით ფოკიდან გამოემგზავრნენ.

სამწუხაროდ, ზოგიერთმა საინფორმაციო საშუალებამ ეს ფაქტი ისე გააშუქა, თითქოს იქ ადგილობრივ მოსახლეობასა და ეკლესიის წარმომადგენლებს შორის მოხდა დაპირისპირება, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. ეკლესიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ სიტუაციის განმუხტვაში და, ბუნებრივია ჩაერთნენ შექმნილ ვითარებაში. კონფლიქტი კი მათ არავისთან არ მოსვლიათ.

აღსანიშნავია, რომ ფოკის ადგილობრივი სომხური მოსახლეობა მუდამ გულთბილად ხვდებოდა და ხვდება როგორც კათალიკოს-პატრიარქს, ისე ჩვენს სასულიერო პირებსა და მრევლს. ამ კეთილ ურთიერთობას ისიც უწყობს ხელს, რომ ფოკის ორ მონასტერში მოღვაწეობენ ჩვენი დედები და მამები, რომელთაც მეტად გულთბილი და კარგი ურთიერთობა აქვთ თანასოფლელებთან, მთელი რაიონის მოსახლეობასთან.

გამოვთქვამთ იმედს, აღნიშნულია განცხადებაში, რომ მომხდარი ინციდენტი საერთოდ არ შეუშლის ხელს ჩვენს ტრადიციულ კეთილ ურთიერთდამოკიდებულებას.

**საქინფორმი.**

## სასამართლო

# არ მოგვეშვებით, მორჩა და გათავდა!

გურამ აბსანძის ადვოკატები სოსო ბარათაშვილი და მალხაზ ჯანგირაშვილი მიიჩნევენ, რომ ყოფილი ფინანსთა მინისტრი საქართველოს პრეზიდენტზე თავდასხმის ორგანიზატორობის ბრალდებით დაპატიმრებულია უკანონოდ და მოითხოვენ მის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას. საამისოდ მათ შუამდგომლობები დააყენეს 1999 წლის ნოემბერში, 2000 წლის მარტში და აგერ, ივნისში. სამივეჯერ უარი მიიღეს, უსაფუძვლობის გამო.

– თქვენი განჩინებები არაობიექტურია, არაკომპეტენტურია, არასამართლიანია, – მოკლედ, რაღა არა ჰკადრეს სასამართლო კოლეგიის წევრებს. ისინი ადვოკატებმაც და განსასჯელებმაც დაადანაშაულეს როგორც ჩვენი კანონების, ისე საერთაშორისო სამართლის ნორმების უცოდინრობაში. ამიტომაც ამ ძლივს განახლებულ პროცესზე ზედიზედ დააყენეს შუამდგომლობები აცილებაზე, – ჯერ მოსამართლე ტყემელაშვილისა, მერე – ორივე მსაჯულისა, – იასაშვილისა და პაპავაძისა, მერე, – ცალკე პაპავაძისა, მერე – ერთად კოლეგიის სამივე წევრისა... ოთხივეჯერ უარი მიიღეს, ისევ უსაფუძვლობის გამო.

იური ტყემელაშვილმა ადვოკატებსაც და განსასჯელებსაც პირდაპირ უთხრა:

– თქვენ გინდათ პროცესის უსასრულოდ გაჭიანურება, ამიტომაც უსაფუძვლო შუამდგომლობებს აყენებთ დაუსრულებლივ.

არც მოპირდაპირე მხარემ დამალა რამე:

– ვიდრე ჩვენსას არ მივაღწევთ, არ მოგეშვებით, მორჩა და გათავდა!

ჰოდა, არის ასე გამუდმებით „პინგ-პონგის“ თამაში (გურამ აბსანძის გამოთქმით). არადა, დრო გარბის. მთლად ტყუილად. გასულ 7 თვეში წინ 7 ნაბიჯიც კი არ გადადგმულა.

და აქ მახსენდება წლეულს, 30 იანვარს საქართველოს მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ლადო ჭანტურიას გამოსვლა, სადაც დაუფარავად თქვა:

„არსებულ საპროცესო კანონმდებლობაში არ არის ნორმატიული საფუძველი იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროცესის მონაწილეებს არ ჰქონდეთ სასამართლო პროცესის ხელოვნურად გაჭიანურების საშუალება.

თუ პროცესის მონაწილეებმა მოინდომეს საქმის ხელოვნურად გაჭიანურება, განსაკუთრებით ისეთ საქმეებზე, სადაც მრავალი განსასჯელია, შეიძლება საქმის სასამართლო განხილვა უსასრულოდ გაგრძელდეს“.

რა ნორმატიული საფუძველი ვერ მოენახეთ ასეთი გაჭიანურების აღსაკვეთად ახლახანს ამოქმედებულ საპროცესო კოდექსში? თუ რაღაც აკლია, რატომ არ ვავსებთ? რაღა არ შევცვალეთ და ეს დავივიწყეთ? განა სასამართლო რეფორმა კოლეგიის წევრთა ოფლის წმენდითა და ნერვების წყვეტით უნდა მოდიოდეს, თანაც თვეობით?

ერთი განსასჯელი, კერძოდ, გერმანე კაკაჩია თავდებით გაუშვეს და პროცესზე აღარ მოდის, – ამბობენ, ტყეში გაიჭრაო. მე მგონი, თავი ამ გაუთავებელ გაწამაწიას გაარიდა!

**ბონდო გულიაშვილი.**

## ავთანდილ იოსელიანი არ ადასტურებს მძევლად აყვანის ფაქტს

„საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტს ჯერჯერობით არ გააჩნია არანაირი ცნობა გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა მისიის თანამშრომლების ჯგუფის ადგილსამყოფლის შესახებ, რომლებთანაც ხუთშაბათს გაწყდა კავშირი კოდორის ხეობაში. ეს განუცხადა 2 ივნისს საქინფორმის კორესპონდენტს დეპარტამენტის თავმჯდომარემ, გენერალ-ლეიტენანტმა ავთანდილ იოსელიანმა.

მისი მონაცემებით, გაეროს მეთვალყურეთა მისიის სოხუმელი თანამშრომლები უკანასკნელად ნახეს მაღალმთიან სოფელ ლათასთან, რომელსაც აკონტროლებს აფხაზთა მხარე. მეთვალყურენი აპირებდნენ განეხორციელებინათ მდებარეობის გეგმით გათვალისწინებული პატრულობა.

ავთანდილ იოსელიანმა თქვა, რომ გაეროს მისიის ორი თანამშრომლის – დანიის მოქალაქეების, ბრიტანეთის განნაღმვის არასამთავრობო ორგანიზაციის ორი წარმომადგენლისა და თარჯიმნის ძებნის საკითხებთან დაკავშირებით, საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტთან კონტაქტები აქვთ აფხაზურ მხარესაც, და კონფლიქტის ზონაში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს დიტერ ბოდენსაც.

საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა უარყო მთელი რიგი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ცნობები იმის თაობაზე, რომ თითქოს დაკარგული ჯგუფი მძევლად აიყვანეს. „ასეთი ინფორმაციები ჩვენ არ გვაქვს, მსგავსი მონაცემები არ გააჩნიათ არც აფხაზთა მხარეს, არც გაეროს მეთვალყურეთა მისიას“,– აღნიშნა ავთანდილ იოსელიანმა.

## თავდაცვის ბიუჯეტის შესახებ

ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ფარგლებში 5–6 ივნისს თბილისში, მთავრობის კრწანისის რეზიდენციაში გაიმართება სემინარი თემაზე: „გარდამავალ ქვეყნებში თავდაცვის ბიუჯეტის ეკონომიკური ასპექტები“. როგორც 2 ივნისს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა ავთანდილ ნაფეტვარიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, აღნიშნული სემინარი პირველი ღონისძიებაა საქართველოში 1999 წლის 12 ივნისის შემდეგ, როდესაც ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ფარგლებში საქართველოს წინადადების საფუძველზე ჩამოყალიბდა „კავკასიის ჯგუფი“.

## ახალგაზრდა შემოქმედთა ფესტივალი

ახალგაზრდა შემოქმედთა ფესტივალი, რომელიც სამ დღეს გასტანს, გუშინ გაიხსნა ნოდარ დუმბაძის სახელობის ბავშვთა ქალაქ „მზიურში“.

ღონისძიებაში 100-მდე ახალგაზრდა მწერალი, მხატვარი, მომღერალი და მუსიკოს-შემსრულებელი მიიღებს მონაწილეობას.

ფესტივალის ფარგლებში მოეწყობა ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა კონცერტები, მწერალთა ბოლო დროს გამოშვებული წიგნების და ნამუშევრების გამოფენები.

ახალგაზრდა შემოქმედთა ფესტივალი თბილისში ტრადიციად იქცევა და იგი ყოველი წლის ივნისის დასაწყისში გაიმართება.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და პრაიმ-ნიუსმა.**

## გაზეთი და მკითხველი

# უგაზეთოდ როგორ დავტოვებ?!

(პირველი გვერდიდან)

„საქართველოს რესპუბლიკას“ იღებს და ყიდის, ხოლო პგს ბირჟა – 10 ცალს. მისმა უფროსმა გია კალატოზიშვილმა მითხრა, რომ 5 პიროვნებაა ყოველდღიურად მისი მყიდველი, ხოლო ხუთს გამვლელ-გამომვლელი ყიდულობსო.

ფოსტამტის შენობის პირველ სართულზე მოთავსებულ „მაცნეს“ № 48 ჯიხურის გამყიდველი თემურ გოგსაძე ჩვენი გაზეთის მხოლოდ 2 ცალს იღებს გასაყიდად.

– პირადად მე, – ჩაგვერთო საუბარში შუა ხნის ქალბატონი, – „საქართველოს რესპუბლიკასაც“ ხანდახან ვკითხულობ, მაგრამ... ეგ უფრო თანამდებობის პირებისთვის განკუთვნილი გაზეთი მგონია, რადგან მათთვის საჭირო მასალები – კანონები და დადგენილებები იბეჭდება სისტემატურადო.

ეტყობა, მართლაც იშვიათად კითხულობს ამ გაზეთს, თუ სხვა ვერაფერი დაინახა.

საყოფაცხოვრებო სახლის „პირიმზის“ წინ „მაცნეს“ № 20 ჯიხური (გამყიდველი ირაკლი ერაძე) მხოლოდ 6 ცალ „საქართველოს რესპუბლიკას“ იღებს.

– აქედან ოთხი მუდმივი მკითხველი მყავს, ოთხივეს ვიცნობ, სამხედრო ნაწილის ოფიცრები არიან. ამ გაზეთს მათ ვუნახავ ხოლმე, ხან მეორე დღეს მიაქვთ. დარჩენილ ორს კი ვყიდი. ვიცი, ხვალიდან 8 ცალს მივიღებ.

– „საქართველოს რესპუბლიკაზე“ ლაპარაკობთ? – ჩაგვერთო საუბარში „ასავალდასავალის“ მორიგი მყიდველი, რომელიც თურმე გვისმენდა:

– ეს გაზეთი გაგახარებს „გიხაროდენ“-ით და „ქორწილია, ქორწილით“.

„მაცნეს“ ჯიხური № 177 (გამყიდველი ლია ქირიკაშვილი) „საქართველოს რესპუბლიკას“ მხოლოდ ერთს იღებს.

თავისუფლების მოედანზე „მაცნეს“ ჯიხური № 26 (გამყიდველი მეზურნიშვილი), 3 ცალ „საქართველოს რესპუბლიკას“ იღებს, სამივე იყიდება. იქ მოსულმა მუდმივმა მკითხველმა კი გვიპასუხა:

– მომწონს „საქართველოს რესპუბლიკა“, სერიოზული და საიმედო ინფორმაციებით სავსეა გაზეთია, კარგი იქნება ჩემი ხელფასი მისი გამოწერის საშუალებას მაძლევდეს, რადგან როცა ის 50 თეთრიც არა მაქვს მის შესაძენად, ვერ ვყიდულობ.

იქვე სკვერთან „მაცნეს“ ჯიხური № 13 დგას (გამყიდველი მერი ინასარიძე).

– „საქართველოს რესპუბლიკის“ მხოლოდ 4 ცალს ვიღებ, საერთოდ კი მყიდველს უჭირს გაზეთების დროზე შეძენა, მოდიან და აქვე კითხულობენ, რა ქნან. დროზე დარიგდეს ხელფასები, პენსიები და ჯიხურს იქნებ გაზეთის მყიდველი არ მოაკლდეს, მუდმივ მკითხველს უგაზეთოდ როგორ დავტოვებ.

**ლეილა არჩემაშვილი.**

## მშვიდობისათვის

# ქვეყნად ომი რომ აღარ იყოს...

საერთაშორისო საზოგადოებამ „მშვიდობის მედროშე“, წერილით მიმართა აშშ პრეზიდენტს ბილ კლინტონს, და სთხოვა, სათავეში ჩაუდგეს საერთაშორისო აქციას დევიზით „პროტესტი ომებს მსოფლიოში“. ეს აქცია 2000 წლის 2 სექტემბერს გაიმართება. მსოფლიოს 50-ზე მეტი ქვეყნის დედაქალაქში, მათ შორის, თბილისში, რადგან ამ დღეს მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 55-ე წლისთავი აღინიშნება. იქამდე კი, გუშინ 2 ივნისს, მოეწყო „მშვიდობის დედაქალაქის“ – იერუსალიმის დღე. როგორც საზოგადოების თავმჯდომარემ ევგენი ლეონიაშვილმა აღნიშნა, ეს აქცია ესატყვისება გაეროს პროგრამის პრინციპებს, რომელმაც 2000 წელი „მსოფლიო კულტურის წლად“ გამოაცხადა.

## მილოცვა

# კაცობაშიც გენერალი

გილოცავთ! თუმცა ეს არ არის ის სიტყვა, რითაც შენთვის ძვირფას ადამიანს, განსაკუთრებულ შემთხვევაში შენი გულის ნადები შეიძლება გაუზიარო; ესაუბრო იმ განცდებზე, გრძნობებზე, როცა მისი სიხარული და წარმატება გიხარია.

ბატონო თამაზ, თქვენ მარტო კარგი ხელმძღვანელი კი არა, კარგი მეგობარი და ღამრიგებელიც ბრძანდებით. მე მაქვს ამის მიზეზი, ამ სიყვარულში და განწყობაში ხმამაღლა გამოვიტყდეთ. ეს მხოლოდ პროფესიული დამსახურებისთვის მიღებული ჯილდო არ არის – თქვენ ადამიანობაში, ქართველობაში და კაცობაშიც გენერალი ბრძანდებით.

მაინც ერთი სიტყვით უნდა გამოვხატო ჩემი განწყობა თამაზ თამაზაშვილისადმი: გილოცავთ, გენერალ-მაიორო!

**ოთარ ღვინიაშვილი.**

## აღმასრულებელი ხელისუფლება

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

2000 წლის 2 ივნისი ქ. თბილისი

**მ. ადეიშვილის საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრად დანიშვნის შესახებ**

დაინიშნოს მერაბ ადეიშვილი საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრად.

ე. შევარდნაძე.

## მერაბ ადეიშვილი



დაიბადა 1956 წელს ქ. თბილისში. 1978 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. არის ტექნიკურ მეცნიერებათა დოცენტი. გამოქვეყნებული აქვს 40-მდე სამეცნიერო შრომა, მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები და გამოგონებები. ფლობს რუსულ, ინგლისურ ენებს.

1978 წელს შრომითი საქმიანობა დაიწყო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მართვის ავტომატიზირებული სისტემების კათედრაზე ჯერ უმცროს მეცნიერ მუშაკად, ხოლო 1979 წლის იანვრიდან გადაყვანილ იქნა სტუდენტური საკონსტრუქტორო ბიურო „მშენებლის" უფროსის მოადგილედ. 1982 წლიდან 1985 წლამდე იყო ამავე ინსტიტუტის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსის მოადგილე, შემდეგ მთავარი კონსტრუქტორი, სამშენებლო კონსტრუქციების კათედრის უფროსი მასწავლებელი, სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი, „სამშენებლო კონსტრუქციების" კათედრის დოცენტი. არჩეული იყო ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილედ.

1987-1989 წლებში საზოგადოებრივ საწყისებზე არჩეული იყო რესპუბლიკის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარედ.

1989-1994 წლებში მუშაობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო სამმართველოს უფროსის მოადგილედ, შემდეგ სასწავლო-მეთოდური სამმართველოს უფროსად. 1994 წლის იანვრიდან 1996 წლამდე იყო ამავე უნივერსიტეტის პრორექტორი.

1996 წლის თებერვლიდან ივნისამდე იყო საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე.

1996 წლის ივნისიდან იყო საქართველოს ტრანსპორტის მინისტრი.

არჩეული არის საერთაშორისო და რესპუბლიკური რამდენიმე სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრად, საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის კონსულტანტად.

დაჯილდოებული არის კოსმოსური კვლევების საერთაშორისო უნივერსიტეტის მედლით.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

2000 წლის 2 ივნისი ქ. თბილისი

**ნ. ჩხობაძის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ**

დაინიშნოს ნინო ჩხობაძე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრად.

ე. შევარდნაძე.

## ნინო ჩხობაძე



დაიბადა 1961 წელს, ქ. ქუთაისში. 1985 წელს დამთავრებული აქვს თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის ხალხთა მეგობრობის ორდენოსანი სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ბიოლოგია-ქიმიის სპეციალობით. 1990 წელს დაამთავრა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტურა ეკოლოგიის სპეციალობით. გამოქვეყნებული აქვს 2 სამეცნიერო შრომა. ფლობს რუსულ, გერმანულ ენებს.

1978 წლიდან მუშაობა დაიწყო ქ. ქუთაისის №4 პოლიკლინიკაში სანიტრად. 1980 წლიდან სწავლა გააგრძელა თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1984-1985 წლებში სწავლის პერიოდში არჩეული იყო ამავე ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილედ, 1988 წლამდე — კომკავშირის კომიტეტის მდივნად. 1987-1990 წლებში — ასპირანტია. 1991-1995 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის ეკოლოგიის კათედრის უფროსი ლაბორანტი, ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. 1988 წლიდან არის საქართველოს „მწვანეების" წევრი.

1993 წლიდან 1995 წლამდე მუშაობდა საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილედ, ხოლო 1995 წლის დეკემბრიდან იყო საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

## დედაქალაქი

ხალხს კიდევ არ დაუკარგავს იმედი, რომ ბოროტი სძლევს კეთილს. თორემ, პირდაპირ წესად იქცა: მეოთხე ხელისუფლება წელებზე ფეხს იდგამს, ამხელს, ამზეურებს, დანარჩენი სამი ხელისუფლება კი მშვიდად და აუმღერელად შესცქერის თავის „თანამოხელისუფლის" ჯახირს.

ახალ ქართველებზე ხომ აღარ ღირს ლაპარაკი — ფეხებზე ჰკიდიათ შენი გაზეთიც და ტელევიზიაც. იციან — არავინ ყურად არ იღებს მასმედიის სიტყვას.

საკუთარი გამოცდილება მალაპარაკებს. ორჯერ დავბეჭდე მწვავე წერილი დედაქალაქის ტერიტორიის მეკობრული წეწვა-გლეჯის თაობაზე. თქვენც არ მომიკვდეთ! უბრალოდ, ზრდილობის გულისთვისაც არავინ შეგვეხმაურებია. დედაქალაქის მერი გამოიცვალა, თორემ ის ყველაფერი, რაზეც მაშინ ვწერდი, ძველებურადვე დარჩა, არაფერი შეცვლილა.

ახალ მერს არც ის მინდა დავუკარგო, რაც გუშინ შევიტყვე: ვანო ზოდელავას დედაქალაქში არსებულ ბაზრობათა ქალაქგარეთ გატანის ინიციატივა წამოუყენებია და, ამასთან დაკავშირებით, სახელმწიფო მინისტრ გიორგი არსენიშვილისთვის მიუმართავს. უკვე მიმდინარეობს მსჯელობა ბაზრობების მცხეთისა და გარდაბნის მიმართულებით და საბითუმო ვაჭრობათა ქალაქის პერიფერიულ რაიონებში გატანის თაობაზე.

თბილისი ლაკმუსის ქაღალდივითაა — აქ ყველაზე უმალ და ყველაზე ნათლად იჩენს ხოლმე თავს ყველაფერი ნეგატიური.

თბილისი ჰკარგავს იმ სითბოს, რომელიც მისი უპირველესი ნიშან-თვისება იყო ყოველთვის. შეუცნობელი, მკაცრი და პირქუში ხდება.

იგი მაგონებს სნეულ ლომს, რომელსაც აფთრები შემოხვევიან და თანდათან გლეჯენ. ყველა ცდილობს რაღაც წაგლიჯოს, რაღაც მიიტაცოს და დაისაკუთროს — მიწა, ქუჩა, შენობა, მზე, ჰაერი... ის, რაც გუშინ მალულად, შიშითა და კანკალით გაიბედებოდა ზოგიერთი გამბედავისგან, დღეს უბოდიშოდ და საქვეყნოდ კეთდება მრავალთაგან. ათასგვარი საეჭვო ფირმა და შპს ინაწილებს, ეპატრონება ყველაფერს, რის დანაწილებაცა და დაპატრონებაც კი შეიძლება, ჯერ ის გააყოლეს ხელს. რაც „ცუდად" იდო, მერე და მერე ყველაფერს მისდგნენ რაც საერთოდ იდო, იდგა და არსებობდა.

არა მგონია, ცივილიზებულ მსოფლიოში კიდევ მოიძებნოს ქალაქი (დედაქალაქი!), რომლის ყველა კარიბჭე ერთიან ბენზინის ჩამომსხმელ მილად იყოს ქცეული, რომლის მამებიც ასე ერთსულოვნად, ერთგულად, ჯიუტად და განუკითხავად ბურჯგნიდნენ თავიანთ ქალაქს.

უსაშველოდ იცვალა სახე ქალაქის დიზაინმა. მაშინ, როცა პროვინცია თბილისს უნდა ბაძავდეს, თბილისი თვითონ ემსგავსება პროვინციას, მის სხეულზე ფსორიაზივით მოდებული ფსევდო „ოდა-ფაცხებით". მათი მშენებლობის კვალდაკვალ ისპობა და ნადგურდება თბილისის ისედაც მწირი გამწვანება.

ეს მართლაც რომ ცალკე ჭირია. ახალგახსნილი სავაჭრო და კვების ობიექტების დიდი ნაწილი სწორედ გამწვანების ზონებში, სკვერებსა და პარკებში იდგმება ისე, რომ დაცული არ არის არავითარი ეკოლოგიური მოთხოვნა. ჭრიან წვალებით, რუდუნებით გაზრდილ ბუჩქებს, მრავალწლიან ხეებს. ამასთან, ასე სახელდახელოდ ჩადგმულ „ფაცხებს", „ოდებსა" და რესტორნებს არა აქვთ ავტოსადგომები და იხერგება ქუჩები, ფერხდება მოძრაობა...

მარტო მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ვერის ხიდიდან გაგარინის ქუჩის შესაყარამდე ამ ცოტა ხანში ჩაიდგა 11 (თერთმეტი!) „ფაცხა-რესტორანი".

თითქმის ამდენივე „პურისსაჭმელი" აიგო მტკვრის მარცხენა სანაპიროზეც. ზოგიც ახლა შენდება.

ახალი „ფაცხები" ამოქმედდა ყველა მორგებულ ადგილას.

ცირკის გვერდით, სანაპიროსკენ მიმავალ გზაზე, მთელი ბაღი-შელრმავება მიისაკუთრა რესტორანმა „ფიფქიამ"..

ისნის რაიონში, წმინდა ბარბარეს ეკლესიის წინ მდებარე სკვერს მთლიანად დაეპატრონნენ კერძო პირები, შემოღობეს და ხის „ოდები" ჩადგეს საზაფხულო რესტორნის სახით.

ფიქრის გორაზე, მელიქიშვილის ქუჩაზე მდებარე სკვერში ჯერ შენობა ჩადგეს კაფე-ბარად, შემდეგ შემოღობეს და დაისაკუთრეს. ქეთევან წამებულის პროსპექტზე კი პირდაპირ სკოლის წინ მდებარე სკვერში ამოიზარდა სამწვადე...

გაიარეთ საქართველოს სამხედრო გზაზე და უმალ დარწმუნდებით რა განუკითხაობაა.

არადა, როცა მშენებლობა იწყება, ხმას არავინ იღებს, მერე კი, კაპიტალური შენობა რომ წამოიჭიმება, მთელ ამბავს ატეხავენ. ვინ დგას ამ მშენებლობათა უკან, ვინ ახერხებს გააჩუმოს, თვალი დაახუჭინოს იმას, ვინც არ უნდა ჩუმდებოდეს, თვალს არ უნდა ხუჭავდეს?

საქართველოს სამხედრო გზაზე — „ვეფხისა და მოყმის" ძეგლიდან მუხათწყაროს ასახვევამდე, გზის ორივე მხარეს აიგო და მუშაობს 46 (!!!) ბენზინგასამართი სადგური.

ეს სულ 3-4 კილომეტრიან მონაკვეთზე...

ახლა ამას მიუმატეთ 25 ოდა-ფაცხა-რესტორანი და სურათი დასრულებული იქნება.

რაღაც 50 მეტრში ოთხი რესტორანია თავ-თავისი ოდებითა და ფაცხებით: „ბახმარო", „საჩინო", „ბაღნარი" და „უშბა".

გზის გაღმა, ასევე მიყოლებით, ჩასაფრებულია რესტორნები: „ალაევერდი", „ქართული ფაცხა", „ხევიანი", „ქართული რესტორანი", „კარიბჭე", „დიდგორი", „ფიროსმანი"...

ერთიან საგრიალო ადგილად იქცა მარცხენა სანაპირო ელიავას ბაზრობიდან დიღმის ხიდამდე. გაივსო „სალილინოებითა" და საკაიფოებით.

იქ მისვლამდე კი ლუდხანების მთელი კომპლექსი დაატყდა თავს ქალაქს ყოფილი ლუდის მე-2 ქარხანასთან, მათ შორის ზედ მტკვარზე გადამდგარი ჭყეტელა პავილიონის სახით.

ამ უჭმელ-უსმელობის ჟამს რა ასეთი უსაშველო რესტორანომანია აგვიტყდა, რით ვერ ამოვიყორეთ მუცლები!

ყველამ ვიცით „ქრესტომათიული" ჭეშმარიტება, რომ ქვეყანა წალეკა კორუფციამ, რომ კორუფცია ეროვნულ უბედურებად იქცა და თუ დროულად და გადამჭრელად არ შევებრძოლეთ მას, შეიძლება თვით სახელმწიფოებრიობა გამოგვეცალოს ხელიდან.

ეს ვიცით ყველა დონეზე: რიგითი მოქალაქიდან დაწყებული ხელისუფლების უმაღლეს ეშელონამდე დამთავრებული.

ოღონდ საქმე ამ ცოდნის იქით არ მიდის.

მე შეიძლება გულუბრყვილო კაცი ვიყო და გულუბრყვილო წინადადებასაც ვაყენებდე, მაგრამ მაინც მგონია, რომ რასაც ახლა ვიტყვი, უებარი რამ იქნება კორუფციის ერთი კონკრეტული გამოვლინების წინააღმდეგ საბრძოლველად: ჩამოიარეთ ქალაქი (იმას მიმართავ, ვისაც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა თუნდაც თანამდებობრივად ევალება) და დაინტერესდით, აგერ ტროტუარზე, სკვერში თუ ბაღში რომ ციხე-კოშკი შენდება (აშენდა), ვისი ნებართვით შენდება (აშენდა), ვის და რატომ, რის საფუძველზე აქვს ხელი მოწერილი ნებართვაზე და კორუფციის ფაქტები უმტკივნეულოდ გამომზეურდება.

ინახოს, ვინ და რატომ მისცა კ. გამსახურდიას პროსპექტზე ციცქნა სკვერებში (№5, №15, №17, №21 კორპუსების გვერდით) კაფეებისა და მინი-მარკეტების მშენებლობის უფლება.

ინახოს, ვისი რეზოლუცია აძლევს თავისუფლების მოედანზე (!) დედაქალაქის მერიის პირდაპირ, „პუშკინის სკვერში" თავისმომჭრელი, მახინჯი, „კოკაკოლას" სარეკლამო კაფე-ბალაგანის აღმოცენებას.

ინახოს, ვინ დართო უფლება „წითელ ბაღში" (ყაზბეგის პროსპექტზე, ინფექციური საავადმყოფოს გვერდით) ჯერ მცირე მოცულობის რესტორნის აშენების, შემდეგ კი ფართო ფრონტით მიშენება-მოშენებისა, რომელიც მალე მთელს ამ მშვენიერ ბაღს შეჭამს და ახლომახლო მცხოვრებლებს ჟანგბადის უკანასკნელ ყლუპს გამოაცლის ხელიდან, ისევე, როგორც საირმის ფეშენებელური ვილების მშენებელმა „ნუვორიშებმა" სულ მეტრობით ჩამოაღრღნეს ამ ბაღს საქალაქო (ამჟამად, საერთო) საკუთრების ფართობი.

ინახოს, ვაკე-საბურთალოს გზაზე რა „სახელმწიფოებრივი" მოსაზრებით ჩაიდგა ბარე ხუთი (!) ბენზინგასამართი სადგური.

ინახოს, რა აუცილებლობით არის ნაკარნახევი კაფეს თუ რესტორნის მშენებლობა პარლამენტის უკან, 9 აპრილის ქუჩის მშვენიერ ნაძენარში...

ყველა ცდილობს რაღაც წაგლიჯოს, რაღაც მოსტაცოს ქალაქს, ხარბად იკავებს ჩემ, შენ სასიარულო ადგილს ტროტუარზე, ჩემ, შენ ჰაერის ჩასაყლაპ სივრცეს სკვერში.

ის, რაც გუშინ ჩემი, შენი იყო სხვათა თანაბრად, რაც განუყოფლად გვეკუთვნოდა, როგორც ამ ქალაქის მკვიდრთ, დღეს მისაკუთრებულია, განაწილებულია, რა თქმა უნდა, სათანადოდ ბეჭედდასმული უფლებით, ხელმოწერილი ნებართვით.

ერთი თხისკენ, ერთი მგლისკენ, — ნათქვამია. უკანასკნელ პერიოდში დედაქალაქს ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურებისა თუ კვების ბევრი თანამედროვე დონის კეთილმოწყობილი ობიექტიც შეემატა. როგორ არა, ამის უარყოფა როგორ შეიძლება! მაგრამ იმ ყბადაღებული „მაკდონალდსისა" არ იყოს, ზედ რუსთაველის ძეგლის გვერდით რომ წამოჩხირეს და ცალკერძ კაკაბაძეების ქუჩის დასაწყისი აქციეს მანქანების სადგომად, ცალკერძ კი ზანდუკელის ქუჩის ასასვლელი დააწვრილეს ძაფივით, ამ ახალმშენებლობებს ბევრი რამ ეწირება.

ჩემი ერთ-ერთი წერილის გამოქვეყნების შემდეგ (ამ ორიოდ წლის წინათ) რედაქციაში თბილისის მთავარი არქიტექტორის მოადგილე მობრძანდა და დღევანდელი „აღმშენებლობის" დასაცავად სწორედ ეს არგუმენტი ამაფარა თვალებზე (სხვათა შორის, მისი პასუხი დავბეჭდეთ კიდეც) — თბილისი ლამაზდებაო.

წმინდა არქიტექტურული კუთხით, ის კაცი, იქნებ, მართალიც არის, მაგრამ ქალაქმშენებლობის თვალსაზრისით — არამც და არამც.

როცა თბილისს უსაშველოდ უჭირს მწვანე საფარი, ასე განუკითხავად უნდა ვანადგუროთ რის ვაი-ვაგლახით ნახარები მცენარეები? იმის ნაცვლად, რაც გვაქვს იმას მოვუაროთ და დავამშვენოთ, იმ ხელისგულისოდენა ადგილებში ცხრაფეხასავით გაბარჯღული არქიტექტურული საოცრებები უნდა ჩავდგათ?

თამარ მეფისა და დავით აღმაშენებლის პროსპექტების გადაკვეთაზე, ძველი კინოსტუდიის პირდაპირ, კომუნისტებმა თავის დროზე ქუჩა გააგანიერეს — ძველი შენობები აიღეს. ახლა იქ რაღაც „პასაჟის" ტიპის შენობა აიგო (მიშენდა) და გზის გათავისუფლებული ადგილი ისევ ჩაიხერგა.შენობამ სავალი ნაწილი მიისაკუთრა და პროსპექტი მიჩიხა!

რაკი თამარის პროსპექტზე ვართ, ბარემ იმასაც ვიტყვი, ახლახან რომ თვალში მომხვდა: ვაგზლის მოედანზე ვეება სარეკლამო ფარები დააყუდეს — პროსპექტიდან ვაგზალს მთლიანად აბრმავებს, ვაგზლიდან — პროსპექტს.

ნახეთ, რა უქნეს მუშტაიდს, ვერის პარკს! როგორ შესევნენ ორფეხა ვირთხები და გოჯ-გოჯ სტაცებენ მიწას.

საით მიდის თბილისი! ერთიან რესტორან-„კალონკად" ვაქციოთ, ერთი მტკაველი მიწა აღარ დავტოვოთ „უფაცხოდ"?

მაგრამ ამ „ფაცხებსა" და „ჯარგვალებს" კიდევ გაუძლებდა კაცი. აი, „ორგანიზებულმა" და არაორგანიზებულმა ბაზრებმა და ბაზრობებმა კი მართლა სული ამოხადა, დააბინძურა და შელანძღა ქალაქი... თბილისი უკვე, ერთი ჩემი კოლეგის მოსწრებული თქმისა არ იყოს, ერთიან წუმპებაზრად იქცა.

მესმის, რომ ეკონომიკური კრიზისის პირობებში კომერციული საქმიანობა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის საარსებო საშუალებათა ძიების ერთ-ერთი წყაროა (ოღონდ, 100 ათასამდე „გარემოვაჭრეში" აფხაზეთიდან დევნილთა წილი სულაც არ არის ისეთი დიდი, როგორც ჰგონიათ. რატომღაც არავინ ხედავს ბაზრობაზე ჩამოხვეტილ ლამის ნახევარ იმერეთსა თუ ქართლს...) მაგრამ ამ საქმესაც ხომ მოწესრიგება და სახელმწიფოებრივი მართვა სჭირდება! დღეს თბილისში 50-მდე ოფიციალური ბაზარი და ბაზრობაა და მაინც ვერ აღმოიფხვრა ქუჩაში ხელზე თავისუფალი ვაჭრობა მერიის რამდენიმე დადგენილების მიუხედავად. დედაქალაქის ვერც ერთი რაიონის გამგეობამ და რაიონულმა პოლიციამ ვერ მოახერხა ქუჩებში, გზაჯვარედინებზე, „ორგანიზებულ" ბაზრობათა მიმდებარე ტერიტორიებზე, მეტროს ჩასასვლელებში და სხვაგან სტიქიური ბაზრობების აკრძალვა, წესრიგის დამყარება.

რა აღარ ითქვა და დაიწერა ვაგზლისა და „დეზერტირის" ბაზრის მიმდებარე ტერიტორიის საგანგაშო მდგომარეობაზე, სადაც პირდაპირ მიწაზე, მტვერსა და ნაგავში იყიდება კვების მალფუჭადი პროდუქტები, შექმნილია ანტისანიტარია, ჭირს ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობა. და ეს ხდება ქალაქის ცენტრში წლების განმავლობაში.

და ისევ ბენზინგასამართ სადგურებზე.

თავის დროზე დედაქალაქში 120 ათასი ავტომობილი მოძრაობდა. მათ 29 ბენზინგასამართი სადგური ემსახურებოდა. დღეს კი, როცა თბილისში ავტომანქანათა რაოდენობა თითქმის იგივე დარჩა (მხოლოდ 8 ათასით იმატა), 500-ზე მეტი ავტოგასამართი სადგური მოქმედებს! ზოგი მათგანი პირდაპირ „დაყოვნებული მოქმედების ნაღმია" და მხოლოდ ბედის წყალობაა, რომ დღემდე არ აფეთქებულა და ქალაქი ცაში არ აუტანია.

საქართველოს სამხედრო გზაზე უკვე ვთქვით, სადაც საშუალოდ ყოველ 50-100 მეტრში „კალონკაა". გენერალ გულუას ქუჩაზე, წერეთლის პროსპექტის ბოლოს და სხვაგან პირდაპირ ფუტკრის ნაყარივით არის მიხუნძლული ბენზინგასამართი სადგურები...

რაიონული გამგეობები და ქალაქის შესაბამისი სამსახურები შესაშური სიმშვიდით შესცქერიან სკვერებში, საავადმყოფოებისა და საბავშვო დაწესებულებების ეზოებში, ქალაქის სტრატეგიულ კვანძებში (ხიდებთან, გვირაბებთან, მეტროსთან ან მაღალი ძაბვის ანძებთან) ამოწვერილ ბენზინგასამართ სადგურებს. ზოგან პირდაპირ ღობიდან ტროტუარზე გამოტარებული შლანგებიდან ასხამენ ბენზინს მანქანებში (მაგალითად, ყაზბეგის გამზირზე, ინფექციური საავადმყოფოს ეზოდან). მასობრივი გახდა ცენტრალურ ქუჩებში, პირდაპირ გზისპირას, ვაგონებში სახელდახელო ვულკანიზაციისა და სხვადასხვა სახის ავტოშემკეთებელი სახელოსნოს მოწყობა. ეს არაცივილიზებულ სახეს აძლევს მთლიანად მომსახურების სფეროს და ამახინჯებს ქალაქის სახეს.

ჰოდა, ახლა ვსვამ მარტივ კითხვას (ეს კითხვა ადრე უკვე ორჯერ დავსვი წერილებში): რომელიმე ქალაქის ხელისუფლება, რომელსაც თავისი ქალაქი უყვარს, დართავდა ყოველივე ამის უფლებას?

აი, თბილისში კი დართეს.

ძნელი საგუმანოა ამ „ჰუმანიზმის საფანელი?"

სულაც არა!

ჰოდა, ჩაარტყით ხელში უკანონობის ნებართვაზე ხელმომწერს და კორუფციაზე შეტევის ერთი ფრონტი შეგიძლიათ გარღვეულად ჩათვალოთ.

ალეკო ასლანიშვილი.

# ჩაარტყით ხელში უკანონობაზე ხელმომწერს



**კონტრაბანდისტს ჩამოერთმევა საქონელიც და ტრანსპორტიც**

კონტრაბანდასთან ბრძოლის გამკაცრების მიზნით კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები ძალაში 1 ივნისიდან შევიდა, განაცხადა ხუთშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს საგადასახადო შემოსავლების მინისტრის მოადგილემ დავით დუმბაძემ.

ამ ცვლილებების თანახმად, კონტრაბანდისტების მიმართ საჯარიმო სანქციების გაზრდასთან ერთად, გათვალისწინებულია კონფისკაციის მექანიზმი. კერძოდ, კონფისკაციას ექვემდებარება არა მარტო შემოტანილი საქონელი, არამედ მისი ტრანსპორტირების საშუალებაც.

თუ დამრღვევი დროულად არ გადაიხდის ჯარიმას, სატრანსპორტო საშუალება მფლობელს ჩამოერთმევა და აუქციონზე გაიყიდება, ხოლო ამოღებული თანხა ბიუჯეტში გადაირიცხება.

**თბილისი სავსეა უნებართვო მიკროავტობუსებით**

თბილისის საკრებულოს დარგობრივი ეკონომიკის კომისიის თავმჯდომარის დავით ჯაფარიძის განცხადებით, თბილისში 50 პროცენტზე მეტი უნებართვო მიკროავტობუსი მოძრაობს.

როგორც პრაიმ-ნიუსს ჯაფარიძემ განუცხადა, მერიის ტრანსპორტის მარეგულირებელი სამსახურის მონაცემებით ქალაქში 3000 მიკროავტობუსი დადის, ხოლო აღრიცხვაზეა და ბიუჯეტში თანხას 1800 მიკროავტობუსის მეპატრონე იხდის. საკრებულოს კომისიის წარმომადგენლების მიერ მოწყობილი შემოწმებების შედეგად კი დედაქალაქში 5000 მიკროავტობუსი 280 ხაზზე მოძრაობს.

ჯაფარიძის თქმით, აღურიცხავია ასევე ქალაქში სამგზავრო ტაქსები, რომელთა რეალურმა რიცხვმა ოფიციალურს საკმაოდ გადააჭარბა და 3000-ს მიაღწია, ქალაქის ბიუჯეტი კი ყოველთვიურად მილიონამდე ლარს კარგავს.

ჯაფარიძის თქმით, ტრანსპორტის მარეგულირებელმა საქალაქო სამსახურმა, რომელიც 1,5 წელია არსებობს, ფაქტობრივად ვერ შეძლო ამ პრობლემის მოგვარება.

**რუსი მესაზღვრეები გააკონტროლებენ**

უახლოეს ერთი თვის განმავლობაში რუსი მესაზღვრეები მთლიანად გააკონტროლებენ რუსეთ-საქართველოს საქართველო-ჩეჩნეთის მონაკვეთს, განუცხადა მოსკოვში ჟურნალისტებს რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსის მოადგილემ ვალერი მანილოვმა.

მისი თქმით, დღეისათვის ფედერალურ ძალებს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე გადაკეტილი აქვთ ძირითადი გადასასვლელები და უღელტეხილები.

ამავე დროს, გენერალმა აღნიშნა, რომ უკონტროლოდ დარჩა რამდენიმე მთის ბილიკი, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ ბოევიკებმა.

**შატილში დევნილების ავტომობილები გაიძარცვა**

ჩეჩენი დევნილების კუთვნილი ათეულობით ავტომობილი გაიძარცვა სოფელ შატილის რაიონში, რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ამ ავტომანქანებით დევნილები 1999 წელს ჩეჩნეთიდან შატილში ჩავიდნენ და შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობის მეთვალყურეობის ქვეშ დატოვეს, ვინაიდან დათოვლილ უღელტეხილებზე ავტომანქანებით გადაადგილება შეუძლებელი იყო.

ზამთარში სასაზღვრო ძალების სარდლობის განკარგულებით ჩეჩნების ავტოტრანსპორტი სოფელ გიორგიწმინდაში, სასაზღვრო საგუშაგოს მახლობლად განთავსდა ქართველ მესაზღვრეთა დაცვის ქვეშ.

როგორც ხუთშაბათს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა დეპუტატმა მარინა მოლოდინმა, გამოირკვა, რომ ეს ავტომანქანები პრაქტიკულად მთლიანად გაიძარცვა და მათგან მხოლოდ ძარები დარჩა.

მისი თქმით, შატილის ადგილობრივი მოსახლეობა ამასთან დაკავშირებით სერიოზულ ბრალდებებს გამოთქვამს მესაზღვრეთა მისამართით.

პარლამენტი სპეციალურ ჯგუფს გააგზავნის ადგილზე ამ საკითხის შესასწავლად.

ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.

## ოფიციალური ინფორმაცია

# სს „თბილსრესის" მე-9 და მე-10 ელექტრობლოკების (შესაბამისი ინფრასტრუქტურით) ნასყიდობისა და სს „ხრამი 1-ის" და სს „ხრამი 2-ის" აქციათა 100 პროცენტის 25 წლით მართვის უფლებით გადაცემის შედეგად მიღებული თანხის ჩათვლის წესით სახელმწიფო (ცენტრალური) ბიუჯეტში ასახვის შესახებ

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ცნობად არის მიღებული, რომ კორპორაცია „ეი-ი-ეს-ის" შვილეული კომპანიის „ეი-ი-ეს ჯორჯია ჰოლდინგზ ბი. ვი-ის" მიერ სს „ხრამი 1-ის" და სს „ხრამი 2-ის" აქციათა 100 პროცენტის 25 წლით მართვის უფლებით გადაცემისათვის თანხა გადახდილია სს „თბილსრესის" მე-9 და მე-10 ელექტრობლოკების (შესაბამისი ინფრასტრუქტურით) ნასყიდობისა და სს „ხრამი 1-ის" და სს „ხრამი 2-ის" აქციათა 100 პროცენტით 25 წლით მართვის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულებათა თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 28 დეკემბრის № 697 ბრძანებულების შესაბამისად.

სს „თბილსრესის" მე-9 და მე-10 ელექტრობლოკების (შესაბამისი ინფრასტრუქტურით) ნასყიდობისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების შესაბამისად, კორპორაცია „ეი-ი-ეს-ის" შვილეული კომპანიის „ეი-ი-ეს გარდაბნის ჰოლდინგზ ბი. ვი-ის" მიერ გადასახდელი თანხა საქართველოს ფინანსთა, სახელმწიფო ქონების მართვის, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროებს, საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტისა და სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის 1999 წლის 26 ოქტომბრის ერთობლივი ბრძანების გათვალისწინებით შემცირდეს 2489675 ლარით, სს „ეი-ი-ეს თელასის" მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი თანხის სანაცვლოდ; 1571311,69 ლარით, ელექტროენერგიის ღირებულების გადაუხდელობით სს „ეი-ი-ეს თელასისადმი" სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების დავალიანებათა ასანაზღაურებლად; 468100 აშშ დოლარით, სს „თბილსრესისათვის" სს „საქგაზის" მიერ მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების დასაფარავად სს „ეი-ი-ეს თელასის" მიერ გაცემული საგარანტიო წერილის საფუძველზე გადახდილი თანხის სანაცვლოდ.

ბრძანებულების თანახმად დაევალა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და შესაბამის ნაწილში ეთხოვა საქართველოს ეროვნულ ბანკს, რომ 2.489.675,0 ლარი ასახოს, როგორც მსხვილგადამხდელთა ინსპექციის მიერ „ეი-ი-ეს თელასისათვის" ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება და იგივე თანხა ჩათვალოს „ეი-ი-ეს გარდაბანი ჰოლდინგზ ბი. ვი-ის" მიერ სს „თბილსრესის" მე-9 და მე-10 ელექტრობლოკების (შესაბამისი ინფრასტრუქტურით) შესყიდვის მიზნით გადასახდელი თანხის ანგარიშში; ფინანსთა სამინისტროს დაევალა 20 დღეში შეადგინოს ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ იმ ორგანიზაციათა სია, რომლებსაც აქვთ მოხმარებული ელექტროენერგიის დავალიანება სს „ეი-ი-ეს თელასის" მიმართ. ამ უკანასკნელის მიერ აღნიშნული სიის დადასტურების შემდეგ 1.571.311,69 ლარი ჩათვალოს სახელმწიფო ქონების პრივატიზებით მისაღებ შემოსავალში, როგორც სს „თბილსრესის" მე-9 და მე-10 ელექტრობლოკების (შესაბამისი ინფრასტრუქტურით) ანაზღაურება და იგივე თანხა ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯებში — როგორც აღნიშნული ორგანიზაციების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების გადაუხდელობით „ეი-ი-ეს თელასის" მიმართ წარმოქმნილი დავალიანების დაფარვა; 1490100 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში ჩათვალოს, როგორც სახელმწიფო ქონების პრივატიზებით მიღებული შემოსავალი, მათ შორის სს „თბილსრესის" მე-9 და მე-10 ელექტრობლოკების (შესაბამისი ინფრასტრუქტურით) ნასყიდობიდან — 468100, 0 აშშ დოლარის და სს „ხრამი 1-ის" და სს „ხრამი 2-ის" აქციათა 100 პროცენტის 25 წლით მართვის უფლებით გადაცემიდან 1022000 აშშ დოლარის ეკვივალენტი. შესაბამისი თანხა ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯებში ასახოს, როგორც 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ენერგეტიკის სექტორისათვის გადასაცემი სახსრების ხარჯვა.

„თბილსრესის" მე-9 და მე-10 ელექტრობლოკების (შესაბამისი ინფრასტრუქტურით) ნასყიდობისა და სს „ხრამი 1-ის" და სს „ხრამი 2-ის" აქციათა 100 პროცენტის 25 წლით მართვის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულებათა შესაბამისად, კორპორაცია „ეი-ი-ეს-ის" შვილეული კომპანიების „ეი-ი-ეს გარდაბანი ჰოლდინგზ ბი. ვი-ის" და „ეი-ი-ეს ჯორჯია ჰოლდინგზ ბი. ვი-ის"მიერ გადასახდელი თანხა ამ ბრძანებულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თანხის შემცირებისა და „მერილ ლინჩის" დაცვის პოლიციის სახელფასო დავალიანებათა 210 ათასი ლარის და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კუთვნილი წილის გამოკლების შემდეგ მთლიანად მიიმართოს სახელმწიფოს ბიუჯეტში, როგორც სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან მიღებული შემოსავალი.

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს დაევალა მომავალში პრივატიზებიდან მიღებული, ცენტრალური ბიუჯეტის კუთვნილი თანხიდან სს „თბილსრესის" მე-9 და მე-10 ელექტრობლოკების და შესაბამისი ინფრასტრუქტურის ობიექტების განსახელმწიფოებრიობიდან ჩათვლის წესით მიღებული 2535812 აშშ დოლარის 10 პროცენტი მიმართოს გარდაბნის რაიონის ადგილობრივ ბიუჯეტში, აგრეთვე, სს „ხრამი 1-ის" და სს „ხრამი 2-ის" აქციათა 100 პროცენტის 25 წლის ვადით მართვის უფლებით გადაცემის შედეგად ჩათვლის წესით მიღებული 1022000 აშშ დოლარის 10 პროცენტი მიმართოს დმანისისა და წალკის რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საქინფორმი.

საქართველოს რესპუბლიკა
№147. შაბათი, 3 ივნისი, 2000 წელი

## მიმართვა აფხაზეთის ხალხებისადმი

### პრობლემის გადაჭრის რეალური გზა კონფლიქტის მშვიდობიანი პოლიტიკური მოწესრიგების ჩარჩოებში

მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების, პირადად პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის, მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობის (გაერო, ეუთო, ევროსაბჭო და სხვა), ინტენსიური, მრავალმხრივი ძალისხმევისა, რომლებმაც მიიღეს ათობით რეზოლუცია, სადაც ერთგვაროვნად დაგმობილია სეპარატიზმი და აღიარებულია სახელმწიფოთა, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობა, შვიდი წლის მანძილზე არ გადადგმულა არც ერთი პრაქტიკული ნაბიჯი, მიმართული აფხაზეთის კონფლიქტის პრობლემის გადაჭრისაკენ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ აფხაზეთის მოსახლეობამ (იგულისხმება დევნილები და იქ დარჩენილი მოსახლეობა) უკვე კარგად შეიგნო: მისი ჭეშმარიტი მტრები არიან ისინი, ვინც მოახდინა ომის პროვოცირება, ავანტიურაში ჩაითრია და უბედურება მოუტანა მთელ მოსახლეობას, და უპირველესად ქართველებს. ხოლო აფხაზეთი მაჰაჯირობის დროიდან (აფხაზთა იძულებით გადასახლება თურქეთის იმპერიაში XIX საუკუნე), არ ჩაუთრევიათ მსგავსი უბედურების მორევში, არ მიუყვანიათ ფიზიკური განადგურების ზღვრამდე, როგორც ეს მოხდა ორივე მხარის საბედისწერო შეცდომების შედეგად მესამე ძალის მზაკვრული მონაწილეობით.

მძიმე აღმოჩნდა ასევე ხვედრი ათასობით რუსი, სომეხი, ბერძენი, ესტონელი და სხვა ერების წარმომადგენლებისა, რომლებიც ქალაქებისა და სოფლების სისტემატური დაბომბვების, ნგრევის, ძარცვის, შიმშილისა და სიცივის გამო იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი ოჯახები და აფხაზეთის საზღვრებს გარეთ ეძებნათ დროებითი თავშესაფარი.

### მაგრამ ცხოვრება გრძელდება

დროა, ბოლოს და ბოლოს, ყველამ გაიგოს რა შეგვემთხვა, ჩვენ – გუშინდელი ნათესავები, მეგობრები, მეზობლები ორი ათასი წლის შემდეგ ერთბაშად რატომ გადავიქეცით მტრებად, ერთმანეთის წინააღმდეგ რატომ შევმართეთ სასიკვდილო იარაღი, მუხანათი „მესამე ძალის" მიერ ჩვენს ხელში ჩადებული.

მდგომარეობა „არც ომი, არც მშვიდობა" არ შეიძლება ხელს აძლევდეს აფხაზეთის მოსახლეობას. ყველასი და უპირველესად ქართველთა და აფხაზთა წმინდა მოვალეობაა, ყველაფერი ილონონ ურთიერთგაგებისა და მშვიდობის აღდგენისათვის. ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ **შერიგება, უპირველეს ყოვლისა, იმ ხალხების საქმეა, რომლებიც ამ ტრაგედიისას დაზარალდნენ.**

მოცემულ ეტაპზე მორატორიუმი უნდა გამოცხადდეს ერთმანეთის დადანაშაულებაზე, იმის გამორკვევაზე: „პირველმა ვინ დაიწყო", „ვინ ჩაიდინა უფრო მეტი დანაშაული" და ა. შ., უნდა შევურიგდეთ იმას, რომ კონფლიქტის მსვლელობისას ორივე მხარე იცავდა „თავის ინტერესებს". ჭეშმარიტების მიღწევისათვის ყველამ უნდა აღიაროს თავისი საბედისწერო შეცდომები და ეცადოს, გაიგოს მეორე მხარის თვალსაზრისი. აფხაზურ-ქართული დიალოგი ორიენტირებული უნდა იქნეს მომავალზე, ნორმალური ადამიანური ურთიერთობების სისტემის შექმნაზე, მშვიდობის ურთიერთმისაღები პირობების ძიებაზე, აღმშენებლობის დასაწყისზე. მით უფრო, რომ საუკუნეების მანძილზე აფხაზები და ქართველები არასოდეს მდგარან ბარიკადების სხვადასხვა მხარეს, არ უბრძოლიათ ერთმანეთის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი თანაცხოვრების ისტორიულ გზაზე იყო წყენაც და უსამართლობაც. თუმცა, არაკეთილისმოსურნეთა და პროვოკატორთა ცდების მიუხედავად, გონებისა და სიკეთის ნათელი ყოველთვის ამარცხებდა მტრობას და უნდობლობას.

## ლოდინის პოზიციიდან – კონკრეტული პრობლემების გადაჭრამდე

აფხაზეთის ტრაგედიის უმძიმეს დღეებში (1993 წ.) შეიქმნა და მოქმედებდა „აფხაზეთის ხსნის კომიტეტი", დამტკიცებული საქართველოს პარლამენტის მიერ, რომელმაც საქმიანობა გააგრძელა დევნილობაში ქ. თბილისში. ეს კომიტეტი, თავისი სახელწოდების სრული შესატყვისობით, შეელოდა გასაჭირში ჩავარდნილ ხალხს შიმშილის, სიცივის, დაბომბვის, მოროდიორობისაგან და ა. შ. თავის დახსნაში.

მოცემულ ეტაპზე კი, დევნილობაში მოღვაწეობის არსისა და ხასიათის ცვლილებასთან დაკავშირებით, „აფხაზეთის ხსნის კომიტეტი" გარდაიქმნა არასამთავრობო საზოგადოებრივ ორგანიზაციად „მშვიდობა და აფხაზეთის აღორძინება", რომელიც მოწოდებულია ნებაყოფლობით საწყისებზე გააერთიანოს ყველა დევნილისა და იძულებით გადაადგილებული პირის ძალისხმევა, მიუხედავად მათი ეროვნული ნიშნისა, პოლიტიკური შეხედულებისა და რწმენისა.

აღნიშნული მოძრაობის ძირითად და მთავარ იარაღს წარმოადგენს სახალხო (სამოქალაქო) დიპლომატიის როლისა და მნიშვნელობის გაცნობიერება, რომლის მისია ის არის, რომ დამყარდეს უშუალო კონტაქტები აფხაზეთში მცხოვრებ ხალხებთან, გამოიწვიონ ისინი ღია დიალოგზე, გადაიყვანოს ლოდინის პოზიციიდან კონფლიქტის კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტისათვის აქტიურ მოქმედებებზე.

ჩვენ, ვისზედაც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მრავალეროვანი აფხაზეთის მომავალი, ვალდებული ვართ გაკვეთილი მივიღოთ მის ისტორიაში დღემდე არნახული დრამისაგან. ყველასათვის უკვე საკმაოდ ნათელია, რომ არ შეიძლება ალტერნატივა ჰქონდეს თეზისს: უკლებლივ ყველა ის ხალხი, ვისი სამშობლოც აფხაზეთია, უნდა დაუბრუნდეს მშობლიურ კერებს და იშრომოს საერთო მიწაზე მეგობრულად და ნათესაური თანხმობით. მთავარია, გავამთელოთ გატეხილი ჭურჭელი, აღვადგინოთ მამა-პაპისაგან მემკვიდრეობით გადმოცემული ძველი ურთიერთობები, აღვადგინოთ და წმინდად დავიცვათ ურთიერთგაგების, ურთიერთპატივისცემის, ჩვენი ხალხების სულიერი ერთობის ტრადიციები.

დარწმუნებული ვართ: ჯერ კიდევ არსებობს შანსი ფეხზე დავაყენოთ აფხაზი ერი, გამოვნახოთ საერთო ენა და შევრიგდეთ აფხაზეთიდან დევნილ ქართველებთან, დავაბრუნოთ ისინი მშობლიურ მიწაზე და მრავალეროვანი მოსახლეობის ერთობლივი ძალისხმევით აღვადგინოთ მშვიდობა, ავაღორძინოთ აფხაზეთის ეკონომიკა და სულიერი ცხოვრება.

ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ ვეყრდნობით შემდეგ ფაქტორებს:

I. ვითვალისწინებთ, რომ გამარჯვების ეიფორიამ აფხაზეთში გაიარა, შვიდი წლის განმავლობაში ხალხმა კარგად შეიგნო, რომ მათი ჭეშმარიტი მტრები აღმოჩნდნენ ისინი, ვინც მოახდინა ომის პროვოცირება, ავანტიურაში ჩაითრია და უბედურება მოუტანა მთელ მოსახლეობას და უპირველესად, ქართველებსა და აფხაზებს.

II. მსოფლიოში, ალბათ, არ არსებობს ერთმანეთისათვის ისეთი ახლობელი ხალხები, როგორც აფხაზები და ქართველები (განსაკუთრებით აფხაზეთიდან გამოსულები). ამ ახლობლობის საფუძველს წარმოადგენენ ისტორიულად ჩამოყალიბებული, წონადი, მნიშვნელოვანი, როგორც თვით ადამიანთა ყოფა-ცხოვრება, რეალიები: მსოფლმხედველობის ერთიანობა, რელიგია, ტრადიციები, ეკონომიკური ინტერესებისა და კავშირების სიმტკიცე, ერთი მშობლიური მიწა, ჩვევები, ყოფა-ცხოვრება და ბოლოს, სისხლის ნათესაობა – აფხაზთა და ქართველთა ოჯახების მაღალი პროცენტი შერეული ქორწინების შედეგია.

სწორედ ეს ფაქტორები წარმოადგენენ მნიშვნელოვანს სახალხო (სამოქალაქო) დიპლომატიის ეფექტიანი მოქმედებისათვის.

ჩვენ აქტიური შეხვედრებისა და მოლაპარაკებებისაკენ მოვუწოდებთ უხუცესებს, ომისა და შრომის ვეტერანებს, ქალებს, განსაკუთრებით – დაღუპულთა დედებს, მეცნიერებს, ახალგაზრდობას, ინტელიგენციას, კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების მუშაკებს, განსაკუთრებით – შერეულ ოჯახებს, ნათესავებს, მეგობრებს, მეზობლებს და ა. შ.

მოძრაობის „მშვიდობა და აფხაზეთის აღორძინების" საბჭო ყველა არასამთავრობო მოძრაობას, საზოგადოებას, ორგანიზაციას, ჯგუფს, ცალკეულ პირებს, დაინტერესებულებს სთავაზობს სახალხო დიპლომატიის როლისა და მნიშვნელობის გააქტიურების გზით აფხაზეთის პრობლემების მშვიდობიან პოლიტიკურ მოწესრიგებას, თანამშრომლობას მოცემული „მოძრაობის" პროგრამისა და წესდების საფუძველზე და მის თანახმად.

ამავე მიზნით, მოძრაობა განსაკუთრებული თხოვნით მიმართავს შერეულ ქართულ-აფხაზურ ოჯახებს, აფხაზეთის მკვიდრთ: რუსებს, უკრაინელებს, სომხებს, ბერძნებს, ესტონელებს და სხვებს, რომლებიც იმყოფებიან როგორც აფხაზეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ, გამოეხმაურონ ჩვენს წინადადებებს და აქტიური მონაწილეობა მიიღონ მოძრაობაში „მშვიდობა და აფხაზეთის აღორძინება".

სახალხო (სამოქალაქო) დიპლომატიის ფაქტორის გააქტიურების გზით მოსახლეობის სრულმასშტაბიანი ამოქმედების შედეგად კონფლიქტის მხარეები (ხალხები) უნდა მივიდნენ ორმხრივ თანხმობამდე და მიმართონ მსოფლიო საზოგადოებრიობას, მათ შორის რუსეთს **კატეგორიული მოთხოვნით,** გადაუდებლად გადაწყვიტონ 2000 წელს კონფლიქტი აფხაზეთში. **რისთვისაც:**

– საქართველოს იურისდიქცია დე ფაქტო გავრცელდეს აფხაზეთის ტერიტორიაზე;

– გამოეცხადოს ამინისტია ყველას, ვინც მონაწილეობდა შეიარაღებულ კონფლიქტში, რომლებიც შეაცდინეს, ბოროტი განზრახვით მოატყუეს და ჩაითრიეს ავანტიურაში ურთიერთდაპირისპირების ინიციატორებმა;

– მიღებულ იქნას ზომები ადამიანის უფლებათა დაცვის ნორმების განუხრელი დაცვისათვის, რომლებიც კანონგარეშე აცხადებენ თვითგასამართლების, პირადი შურისძიების, ძალადობის ნებისმიერ მცდელობას;

– კონფლიქტის ორივე მხარე გათავისუფლდეს კონფრონტაციული ფსიქოლოგიის ტყვეობისაგან, კონფლიქტური აზროვნების სტერეოტიპებისაგან, უარი თქვან „მტრის ხატის" შექმნაზე, ორივე მხარე ვალდებულია გადალახოს ტკივილი, წყენა, დაივიწყოს სიძულვილიც კი, იპოვოს საკუთარ თავში ძალა და განაცხადოს ამის შესახებ ყველას გასაგონად, გაუწოდონ ერთმანეთს ხელი ურთიერთგაგების, თანხმობისა და მშვიდობის სახელით. როგორც ამბობენ, ყველაფერი ახალი გვერდიდან, სუფთა ფურცლიდან უნდა დაიწყოს;

– დააბრუნონ (უსაფრთხოების გარანტიით) ყველა ლტოლვილი და იძულებით ადგილნაცვალი პირი თავის მშობლიურ კერაზე;

– გაყვანილ იქნას კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ძალები და შეიცვალოს ისინი ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოებით;

– მოხდეს აფხაზეთის პარლამენტში ახალი არჩევნების ორგანიზების დროებითი კომიტეტის ფორმირება აფხაზეთის ყველა რეგიონისა და ყველა ეროვნების წარმომადგენელთა მონაწილეობით;

– ჩატარდეს აფხაზეთის პარლამენტის ახალი დემოკრატიული არჩევნები, სადაც დაზარალებულ ხალხს შეექმნება ყველა აუცილებელი პირობა თავისი ნების გამოსახატავად.

აფხაზეთის მომავალი კი პოლიტიკური სტატუსია ყველაზე ფართო უფლებებით.

### ხალხმა თვითონ უნდა გააკეთოს არჩევანი

დიდი იმედი გვაქვს ჩვენი პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძისა, მისი მაღალი ავტორიტეტისა მსოფლიოში, მისი ყოველდღიური მისწრაფებისა იხილოს საქართველო განუყოფელ, ერთიან, ეკონომიკურად ძლიერ დემოკრატიულ სახელმწიფოდ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს პარლამენტი და მთავრობა თავის ყოველდღიურ საქმიანობაში პრიორიტეტად გაიხდიან აფხაზეთის პრობლემის გადაჭრას.

განსაკუთრებულ იმედს მოძრაობა ამყარებს მასმედიის დახმარებაზე მისი პროგრამის მიზნებისა და ამოცანების, აფხაზეთის პრობლემების მშვიდობიან-პოლიტიკურ მოწესრიგებაში სახალხო დიპლომატიის როლისა და მნიშვნელობის მხარდაჭერისა და პროპაგანდის საქმეში.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ აფხაზეთის ტრაგედიით დაზარალებული ხალხების, მთელი მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების ერთიანი ძალისხმევით, სახალხო დიპლომატიის გააქტიურების გზით მივაღწევთ ურთიერთგაგებას, მშვიდობასა და თანხმობას, ჩვენი ხალხების დემოგრაფიული, ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების აღორძინებას აფხაზეთის მშვიდობიან, კურთხეულ მიწაზე.

**ძვირფასო თანამემამულენო,**
**ჩვენი ბედი ჩვენს ხელთაა!**
**ველით თქვენს აქტიურ მონაწილეობას აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიან, პოლიტიკურ მოგვარებაში!**

არასამთავრობო საზოგადოებრივი მოძრაობის
ორგანიზაციის „მშვიდობა და აფხაზეთის აღორძინების" საბჭო.

## მუსიკა

# ასე აგვსრულებოდეთ...

მოლოდინი იმ საუკეთესო შთაბეჭდილებებისა, რომლითაც მუდამ გვაიმედებს ჯანსულ კახიძისა და დუდი მაზმანიშვილის სახელების ერთად გამოჩენა საკონცერტო აფიშებზე, როგორც ეს 31 მაისს მოხდა. ბატონ ჯანსულს ქება და დითირამბები კარგა ხანია აღარ ესაჭიროება – ისედაც, მზიანი დღესავით ნათელია ყველაფერი – მისი ადგილიც და ღვაწლიც. აი, დუდი მაზმანიშვილს კი, კიდევ ერთხელ მინდა მივესალმო და მივულოცო მორიგი წარმატება იმ ადამიანების სახელითაც, რომლებიც მასზე დიდ იმედებს ამყარებენ, ასეთნი კი, ბევრნი არიან. აღნიშნულმა კონცერტმა, რომელიც ერთგვარი შემოქმედებითი ანგარიშიც გახლდათ უცხოეთში მოღვაწე სტუდენტისა მშობლიური აუდიტორიის წინაშე, ნამდვილად შექმნა ამის საფუძველი, და არა მხოლოდ ამ კონცერტმა, არამედ ახალგაზრდა პიანისტის შემოქმედებამ მთლიანად, მიუხედავად იმისა, რომ დუდი ჯერ მხოლოდ 19 წლის არის, თუმცა, ამ მცირე ასაკშიც მრავალი დამაჯერებელი გამარჯვება იზეიმა მან საერთაშორისო კონკურსებშიც და არაერთი შესანიშნავი კონცერტითაც დაამახსოვრა საკუთარი თავი მუსიკალურ წრეებს და ცხადია, არა მხოლოდ სამშობლოში. ეს წარმატებები და შესაბამისად, მოპოვებული ავტორიტეტი, შექმნილი რენომე მისი ნიჭიერებისა და შრომისმოყვარეობის, საქმისადმი გულმხურვალე დამოკიდებულების, ღრმა ერუდიციის, დახვეწილი და განვითარებული ინტელექტის ბუნებრივი შედეგია.

თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის საკონცერტო დარბაზში დუდი მაზმანიშვილმა მაესტრო ჯანსულ კახიძესთან და თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების შედევრი, „აზრთა ალმაფრენის სიმფონიურობისა და ბგერათიდეათა სიუხვის გენიალურობით" (ბორის ასტაფიევი) აღბეჭდილი ქმნილება, „ბგერათა, ჰანგთა ჭეშმარიტი პოეტის" (ჰანს ფონ ბიულოვი) ჩაიკოვსკის პირველი საფორტეპიანო კონცერტი შეასრულა.

ჩაიკოვსკის საკონცერტო სტილს, საერთოდ, გამოარჩევს ბრწყინვალება და დეკორატიული ფერადოვნება, რაც ამჯერად ჩვეულზე მეტად იყო გამძაფრებული. ცხადია, ვირტუოზულობა არ იყო გადამწყვეტი, დომინირებული საწყისი ჩაიკოვსკისთვის, მაგრამ კონცერტის ძალზე ეფექტური საფორტეპიანო ფაქტურა დიდ შესაძლებლობას უქმნის პიანისტს სწორედ ვირტუოზულობის დემონსტრირებისათვის. და აი, მერამდენედ გამოავლინა დუდი მაზმანიშვილმა ვირტუოზულობა და არა ოდენ ფილიგრანული ტექნიკის წარმოჩენით. სრულქმნილი ოსტატობისა და ნატიფი ესთეტიკური გემოვნების ღრმა კვალი ეტყობოდა ჩაიკოვსკისეული პოეტიკის, სახეობრივემოციური ჩანაფიქრის, – რომელშიც სრულ ჰარმონიაშია მოქცეული გულწრფელი ლირიკა, ნათელი პათეტიკა, ლირიკულ-დრამატული თუ ლირიკულ-ინტიმური მოტივები, თავშეკავებული სიხარულის ზეობა შერწყმული აღნაგობის მონუმენტურობასთან, – პიანისტისეულ ხედვას, წვდომას, გააზრებას. ყოველივე, გრძნობათა სიმართლით მიაწოდა მსმენელს დუდი მაზმანიშვილმა. საერთოდ, მის ხელწერას განუმეორებელ ხიბლს სძენს ბგერათწარმოქმნის მაღალი კულტურა, რომელიც ხმოვანების ერთგვარი საორკესტრო-თეატრალური ფერადოვნებით არის გამორჩეული და ამგვარად, დუდის საშემსრულებლო მანერაში სრულ შესაბამისობაში იმყოფება აზროვნების მასშტაბურობა და უზადო მუსიკალური ჟღერა, მხატვრული გამომსახველობა. ადრეც მითქვამს და კვლავაც გავიმეორებ – დუდი მაზმანიშვილის შემსრულებლობა ინტელექტუალური პიანიზმის გამოვლენის მშვენიერი ნიმუშია.


დუდი მაზმანიშვილი და ჯანსულ კახიძე.

დამეთანხმებით, აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარება, მსმენელისათვის ნააზრევის სრულფასოვანი მიწოდება, მისი სულის სიმებთან შეხება, შემსრულებლებისთვის ერთ-ერთი უმთავრესი სირთულე და ასევე, უმთავრესი მისიაა და რაოდენ სასიამოვნოა, რომ დუდი მაზმანიშვილი საუცხოოდ ასრულებს ამ მისიას, მას ძალუძს აუდიტორიის დაპყრობა, რასაც მისი ყოველი საჯარო გამოსვლა ცხადყოფს.

ჩაიკოვსკის პირველი საფორტეპიანო კონცერტის კიდევ ერთი ღირსება საფორტეპიანო და საორკესტრო პარტიების ქმედითი ურთიერთშეღწევადობაა – ორკესტრი და სოლისტი ლიდერობაში კი არ ეჯიბრებიან ერთმანეთს, არამედ ერთად, თანაბარუფლებიანად, თანასწორად ისწრაფვიან იდეის გახსნისკენ. ჩაიკოვსკის ეს კონცეფცია (და საერთოდ, ქმნილების რუსული, ეროვნული სული) საუკეთესოდ გამოხატეს სოლისტმაც და დირიჟორმაც. ჯანსულ კახიძის ხელდასხმით თბილისის სიმფონიური ორკესტრი შთამბეჭდავად ჟღერდა (სხვათა შორის, არა მარტო კონცერტის, არამედ მეორე განყოფილებაში ბერლიოზის „ფანტასტიკური სიმფონიის" შესრულების დროსაც). დიახ, ჯანსულ კახიძისა და დუდი მაზმანიშვილის ტანდემმა კვლავაც მშვენივრად მიაღწია მიზანს.

რამდენიმე წლის წინათ, პრეზიდენტის გრანტის მოსაპოვებლად წარდგენის დროს, ჯანსულ კახიძე სარეკომენდაციო წერილში ასე ახასიათებდა დუდი მაზმანიშვილს: „იგი გამოირჩევა განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით და მიეკუთვნება იმ ახალგაზრდა მუსიკოსთა რიცხვს, რომლებსაც შესწევთ უნარი, ფართოდ გაუთქვან სახელი საქართველოს მუსიკალურ კულტურას". დირიჟორის ეს ერთგვარი „წინასწარმეტყველება" მართლდება და აი, რატომ: ორიოდე წლის წინათ მუსიკალური ხელოვნების დიდმა ოსტატმა, ქალბატონმა ელისო ვირსალაძემ „უაღრესად პერსპექტიულ მუსიკოსად" მიიჩნია დუდი მაზმანიშვილი და მიუნხენის უმაღლეს მუსიკალურ სასწავლებელში საკუთარ კლასში აიყვანა იგი (წლეულს უკვე მესამე კურსზე გადადის). ქალბატონი ელისოს ხელდასხმამ (ნიჭიერი ათწლედი დუდიმ დღის, პიანისტ თამარ აფაქიძის ხელმძღვანელობით დაამთავრა) კიდევ უფრო მეტი სიღრმე მისძინა ახალგაზრდა მუსიკოსის უკვე დახვეწილ ოსტატობას, ახალ სიმაღლეზე აიყვანა იგი. დუდი ხშირად მონაწილეობს სხვადასხვა კონცერტებში მიუნხენშიც და გერმანიის სხვა ქალაქებშიც, მუდამ წარმატებით. ეს კი, არ დარჩათ ყურადღების მიღმა იმპრესარიოებს და გერმანიის ორმა ცნობილმა საკონცერტო სააგენტომ („პაულ ლენც" და „მასტერს ენდ ვინერს") კონტრაქტი გააფორმა ქართველ პიანისტთან, რაც ამ ეტაპზე მისი რამდენიმე სოლო კონცერტის გამართვას გულისხმობს ძალზე პრესტიჟულ მუსიკალურ ცენტრებში. ამასთანავე, გერმანიის მუსიკალურმა საზოგადოებამ იკისრა დუდი მაზმანიშვილის პატრონაჟი, მეურვეობა. ახალგაზრდა არტისტისთვის ეს ცოტა არ არის.

ყოველივე კი, გვაფიქრებინებს, გვაიმედებს, რომ დუდი მაზმანიშვილი მალე ჩამოყალიბდება. ისეთ მუსიკოსად, რომლის მისამართით ხშირად გაისმის, რომ იგი არის თვითმყოფადი „პიროვნება სცენაზე", რომელიც მსმენელთა ჭეშმარიტი სიყვარულითა და აღიარებით სარგებლობს. ვფიქრობ, ამ შესანიშნავ ახალგაზრდას, ჩინებულ მუსიკოსს წინ, მართლაც, დიდი შემოქმედებითი მომავალი აქვს.

ზურაბ ოიკაშვილი

### „ევრომარკეტი-2000"-ზე ქართული ორგანიზაციის წარმატება აღნიშნეს

მიმდინარე წლის 28-30 მაისს ბრიუსელში გაიმართა ფორუმი „ევრომარკეტი-2000". ამ პრესტიჟულ ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის გენერალური დირექტორი ივერი შალამბერიძე.

ფორუმის მიზანია ბიზნესისა და წარმოების, მსოფლიოს საფინანსო წრეების წარმომადგენლების შეკრება და აღნიშნულ სფეროში, მსოფლიოს მასშტაბით, მიღწეული პროგრესისა და წარმატებების შეფასება.

„ევრომარკეტი-2000"-ზე საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი საფინანსო ურთიერთობების სრულყოფისა და რეფორმების განხორციელებაში მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოვდა პრიზით და გადაეცა მაღალი შეფასების დამადასტურებელი სერთიფიკატი.

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

## რეგიონი

# დღესასწაული, რომელიც მუდამ შენთან არის

### ასეთად მიიჩნევენ ფოთელები „ფაზისობის" ტრადიციულ ზეიმს

„ფაზისობის" ყოველი მორიგი დღესასწაული მხოლოდ ზეიმი არ გახლავთ, იგი ერთგვარად აჯამებს წლის ნაჯაფ-ნაამაგარს. და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ზეიმის საბაბიც და განწყობაც ნამდვილად ჰქონდა საპორტო ქალაქს, რომელიც ყოველთვის ართმევს თავს საბიუჯეტო დავალებებს, დროულად გაიცემა ხელფასები, დახმარებები, პენსიები, გრანტები და ა.შ. პრობლემები, თუმცა, აქაც ბლომად არის, მაგრამ გლობალური პროექტები, მუნიციპალური პროგრამები, ინვესტიციები ყველა სფეროში ფოთს მალე გადააქცევს თანამედროვე ევროპული ტიპის საზღვაო ქალაქად, რაზეც წლების წინათ ოცნებობდა დიდი ნიკო ნიკოლაძე. ფოთელებმაც, უპირველესად, „ფაზისობის" დღესასწაულზე სწორედ ამ დიდ საზოგადო მოღვაწეს, პუბლიცისტს მიაგეს პატივი და გვირგვინით შეამკეს მისი ძეგლი. სტუმართა შორის იყვნენ დაძმობილებული ქალაქების დელეგაციები უკრაინიდან, ლატვიიდან, საბერძნეთიდან, სტუმრები თბილისიდან, ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან და რაიონიდან. სიმბოლური იყო ისიც, რომ ფაზისის აკადემიამ, ქალაქის მუზეუმმა, დედაქალაქიდან მოწვეულმა მეცნიერებმა ბლიცკონფერენციაზე კვლავ გააცოცხლეს ოქროს საწმისის ქვეყანა, მედეა და იაზონი, თითქოს გუგუნებდა მსმენელებით სავსე რიტორიკული ფაზისის აკადემიის თეატრონი.

იღიმებოდა ქალაქი, ამდენი ღიმილიანი სახე კარგა ხანია არ ახსოვს ფაზისს. მოგვენატრებია მოფერება, სულ სხვა ხელის ჩამორთმევა, სულ სხვა მოკითხვა იყო იმ დღეებში.

თუმცა, ვერც ტკივილიან გახსენებას ავუარეთ გვერდი. მეტად ამაღელვებელი იყო სამშობლოსათვის დაღუპულთა მემორიალის გახსნა, სამოქალაქო ომის გახსენება: აქ ხომ ფრონტის ხაზი გადიოდა. ბარიკადების ორივე მხარეს ქართველები იყვნენ და ორივენი სამშობლოსთვის იბრძოდნენ. ფოთელებმა რიონის ხიდთან ამ დიდი ეროვნული ტრაგედიის ნიშანსვეტი, ცრემლიანი ბიუსტი დადგეს...

ღირსეულ შვილებს ღირსეული პატივი მიაგეს „ფაზისობაზე", ყველა თაობის წარმომადგენლები მოვიდნენ ნავსადგურის ყოფილი უფროსის ვალერი გეგიძის ბიუსტის გახსნაზე. ნავსადგურის კიდევ ერთი ყოფილი უფროსის, გიორგი ვატაევის სახელი მიენიჭა ქუჩას, სადაც იგი ცხოვრობდა. კოლხეთის მინდიად მონათლულ აკადემიკოს ალექსანდრე მოწერელიას სახელი მიენიჭა კოლხეთის ათვისების სამეცნიერო ცენტრს, ქუჩას, ბიბლიოთეკას.

სტუმარ-მასპინძლებმა გვირგვინით შეამკეს ცოტნე დადიანის ძეგლი, მოინახულეს წმიდა ცოტნე აღმსარებლის სახელობის ეკლესიის მშენებლობის ადგილი, რომელსაც ახლახან ჩაეყარა საძირკველი და შემოწირულობებით აშენდება. ეკლესიის მშენებლობის ინიციატორთა შორისაა ქალაქის ექს-მერი, ფოთელთა ერთ-ერთი საპატიო სტუმარი „ფაზისობაზე" ნუგზარ ნადარაია.

ღონისძიების ეპიცენტრი ნავსადგური გახლდათ. აქ გამართული სპორტულ-გასართობი ღონისძიებები მნახველთა სიმრავლით გამოირჩეოდა. სტუმრებს ღირსეულად მასპინძლობდა საზღვაო ნავსადგურის უფროსი ჯემალ ინაიშვილი, რომლის ხელმძღვანელობითაც ფოთის ნავსადგური ბოლო დროს გლობალური პროგრამის რეალიზაციას შეუდგა „ტრასეკას" და „ბისეკის" ეგიდით. აქ ტვირთბრუნვა შარშანდელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა. „ფაზისობის" დღესასწაულზე პორტის აკვატორიაში შემოვიდნენ საბორნე გემები ილიჩოვსკიდან და რიზედან, ამერიკელმა ტურისტებმაც მოგვინახულეს ბერძნული საკრუიზო ხომალდით. მოკლედ, „ფაზისობას" სტუმრობა ნამდვილად არ აკლდა და მასპინძელიც მხიარული დახვდა.

ყოველი ღონისძიება მშვიდად, ბუნებრივი დინებით მიდიოდა. ხალხმაც ზუსტი შედარება მოძებნა – როგორიცაა ქალაქის მერი აკაკი დარჯანია, ისე მშვიდად და საქმიანად წარმართა ფაზისობაცო. ეს ახალგაზრდა, განათლებული, დინჯი და მიმტევებელი კაცი მართლაც იყო თავის ამპლუაში – კარგი ორატორი, ჩინებული მასპინძელი. „ფაზისობის" სიმძიმე ძირითადად მერის მოადგილეს ბადრი დვალიშვილსა და მის სამსახურს დააწვა, მაგრამ არის მომენტი, როცა უღელიც ტკბილია.

მავანს კი ისევ უჩნდება კითხვა – რა გვეზეიმება? მამ რა ეაკადემიებოდათ ფაზისელებს ჩვენს წელთაღრიცხვამდე? რატომ ეჯიბრებოდა ეს მრავალტანჯული ქვეყანა კულტურით დიდ ევროპას, იქნებ, გვავიწყდება, რომ კულტურის ნგრევით იწყება ქვეყნის ნგრევა, და – პირიქით?

იმ დღეს ფოთის საპატიო მოქალაქეებად აირჩიეს გურამ ფირცხალავა, დანიელ მალალაშვილი, გრიგოლ არჩაია, ბორის ბარამია, ვლადიმერ გვასალია, ვალერიან რურუა, რევაზ ქინქლაძე, თენგიზ ქოიავა, გივი ხომერიკი, გენადი კაჭარავა, აკაკი ტიკარაძე, შოთა კაკულია, რამინ აბლოთია, აკაკი ძაძუა. ღირსების ორდენები გადასცეს სერგო გუბელაძეს, დარეჯან მამალაძეს, ნათელა რუხაძეს, ოქტიაბრინა ქოიავას, თენგიზ ქოიავას, როზა ჩაფიძეს, ბორის ბარამიას, ლეილა კაკულიას, ზურაბ აბრალავას...

ქალაქის ცენტრი, რუსთაველის მოედანი, ახალგაზრდობას ვერ იტევდა. იყო მუსიკა, იყო ხალისი და კიდევ უფრო მეტი რაღაც – რწმენა, ხვალის იმედი.

ფოთმა ისევ ზღვას მიაპყრო თვალი და მომავლისკენ გაიხედა – გემებით სავსე აკვატორია, შორს, რეიდზე ხომალდების ქარავანი... ისინი აბრეშუმის გზით ფაზისისკენ – კონტინენტური გზაჯვარედინისკენ მოიწევენ.

ზურაბ აბრალავა,
„სრ" საკ. კორ.







**სურათებზე:** ვალერი გეგეძის ბიუსტის გახსნა; სტუმრები ფოთის საპატიო მოქალაქეებთან სოფიკო ჭიაურელთან და კოტე მახარაძესთან ერთად; გურამ ფირცხალავას ფოთის საპატიო მოქალაქედ არჩევის დამადასტურებელ მოწმობას გადასცემს ქალაქის მერი აკაკი დარჯანია.

ავთანდილ ბაღათურიას ფოტო

GCF

№2 (39)

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისა და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთობლივი ყოველთვიური გამოცემა

პრეზიდენტი

# ევროპის მოჭადრაკე ქალთა პირველი ჩემპიონატის მონაწილეებს

გულითადად მივესალმები შესანიშნავი სპორტული ღონისძიების მონაწილეებს, რომელიც კვლავ ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქში – ბათუმში იმართება.

ქართველი ქალის უნიკალური საჭადრაკო ფენომენი ქართველი ხალხის ეროვნული სიამაყის წყაროა.

ეს ფენომენი მთლიანად ქართული ფენომენის, ქართული კულტურისა და მსოფლშეგნების განუყოფელ კომპონენტად იქცა.

გულწრფელად ვამაყობ, რომ ჯერ კიდევ 60-იანი წლებიდან მოყოლებული, გარკვეული წვლილი შევიტანე ამ მართლაც უნიკალური, შესაშური ეროვნული ფენომენის გამოვლენა-განვითარებაში.

ფასდაუდებელია აგრეთვე ღვაწლი, რაც ბათუმის, მთლიანად აჭარის საზოგადოებამ და ხელისუფლებამ დასდეს ქართული საჭადრაკო სკოლის შემდგომ განვითარებას.

ბათუმში აგებულმა მშვენიერმა „ჭადრაკის სასახლემ“ შარშან ევროპის გუნდურ ჩემპიონატს უმასპინძლა. წლეულს კი კონტინენტის 32 უძლიერესი მოჭადრაკე ქალი შეეცდება ბათუმისა და სრულიად საქართველოს გულის დაპყრობას.

საგულისხმოა, რომ ჩემპიონატი იხსნება იმ დღეებში, როდესაც საქართველო ეროვნული დამოუკიდებლობის 82-ე წლისთავს აღნიშნავს.

გულწრფელად მივესალმები ჭადრაკის ქალღმერთ კაისას რჩეულთ. დარწმუნებული ვარ, ბათუმში გამართული ევროპის ჩემპიონატი ღირსეულ ადგილს დაიკავებს ჭადრაკის ისტორიაში.

ედუარდ შევარდნაძე.

ბათუმი-2000

ჩემპიონატი ჭადრაკში
2000
ბათუმი BATUMI
FIRST EUROPEAN WOMEN CHESS CHAMPIONSHIP
ევროპის ქალთა პირველი

# მასპინძლობს ქათქათა ქალაქი

თითქოს გუშინ იყო, ქათქათა ბათუმიდან ყოველდღიურ რეპორტაჟებს რომ ვაწვდიდით „საქართველოს რესპუბლიკის“ და „ლაზიერის“ მკითხველებს მოჭადრაკეთა ევროპის გუნდური ჩემპიონატის საბრძოლო ბატალიების შესახებ. გამოხდა სულ რაღაც ექვსი თვე და მზიური აჭარის დედაქალაქი კვლავ მასპინძლობს კონტინენტის რჩეულ დიდოსტატ და საერთაშორისო ოსტატ ქალებს: საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ინიციატივით და აჭარის ხელისუფალთა აქტიური მხარდაჭერითა და დახმარებით ბრძენთა თამაშის ქართველ გულშემატკივრებს კვლავ მიეცათ საშუალება, თვალ-ყური ადევნონ ევროპის მოჭადრაკე ქალთა პირველი პირადი ჩემპიონატის უშედავათო ორთაბრძოლებს, რომელიც „ნოკაუტ-სისტემით“ იმართება.

27 მაისს ბათუმის ჩინებულ ჭადრაკის სასახლეში ევროპის ჩემპიონატი საზეიმოდ გაიხსნა. სტუმრებსა და მასპინძლებს გააცნეს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის გულთბილი მისალმება, რომელიც მან შეჯიბრების მონაწილეებს გამოუგზავნა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ევროპის ქალთა პირველი პირადი ჩემპიონატის გამართვა სტუმართმოყვარე და გულღია ქართულ მიწაზე, ჩვენს ლამაზ ქალაქ ბათუმში, კიდევ ერთი ჭეშმარიტი დადასტურებაა ქართული საჭადრაკო სკოლის საერთაშორისო აღიარებისა, რომ ეს შეჯიბრება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მსოფლიო ჭადრაკის განვითარებას.

ჩემპიონატის მონაწილეებს მიესალმნენ, აგრეთვე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ცინცქილაძე, ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტი ბორის კუტინი, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თანაპრეზიდენტი და შავი ზღვის აუზის ქვეყნების ჭადრაკის ასოციაციის პრეზიდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილი, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე, მსოფლიო ჩემპიონი ტანვარჯიშში რუსუდან სიხარულიძე.

იხ. მე-6 გვ.



ჩემპიონატის საზეიმო გახსნაზე.



ბათუმის ჭადრაკის სასახლის ფოიე.

კომპეტენტური აზრი

# ბორის კუტინი კმაყოფილია

*ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტ ბორის კუტინის კეთილგანწყობა საქართველოს მიმართ კიდევ ერთხელ დადასტურდა, როცა მან მეორედ დაუჭირა მხარი ბათუმის კანდიდატურას, ევროპის ქალთა პირველი პირადი ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყანას რომ ირჩევდნენ. არადა, ამ შეჯიბრების გამართვის სურვილი საბერძნეთს, ბოსნია-ჰერცოგოვინას და გერმანიასაც ჰქონდა.*

– ექვსი თვის წინანდელი ბათუმური შთაბეჭდილებები ჯერაც არ გამნელებია. – მითხრა ბატონმა ბორის კუტინმა, – აჭარის ხელმძღვანელობის დიდი მხარდაჭერით მაშინ ევროპის გუნდურმა ჩემპიონატმა მაღალ დონეზე ჩაიარა. საქართველოს სხვადასხვა რანგის ტურნირების გამართვის მდიდარი ტრადიცია აქვს, განსაკუთრებით – ქალთა ჭადრაკში. ისიც გავითვალისწინეთ, რომ ქართველი ქალები 29 წელიწადს საჭადრაკო ოლიმპზე იმყოფებოდნენ და უდიდესი წვლილი შეიტანეს მსოფლიო ჭადრაკის განვითარებაში. ამიტომაც დავუჭირეთ მხარი ევროპის ქალთა პირველი ჩემპიონატის ბათუმში გამართვას.

**– შეჯიბრებაში ბევრი ცნობილი მოჭადრაკე არ მონაწილეობს. რატომ?**

– ზოგს რა მიზეზი აქვს და ზოგს – რა. მაგალითად, ალისა მარიჩი და ნატაშა ბოიკოვიჩი იუგოსლავიის გუნდურ ჩემპიონატში ასპარეზობენ და კლუბების ხელმძღვანელებმა არ გაათავისუფლეს, რამაც იუგოსლავიის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის გულისწყრომაც კი გამოიწვია. თუმცა, ამან შედეგი არ გამოიღო.

ალისა გალიამოვას იმ შეჯიბრებებზეც კი ვერ ვხედავთ, სადაც სოლიდური საპრიზო ფონდია დაწესებული. საერთოდაც, ბოლო დროს იგი თავს არიდებს შეჯიბრებებს. როგორც მითხრეს, მას ევროპის ჩემპიონატში გამოსვლის სურვილი ჰქონია, მაგრამ მონაწილეთა სია რომ უნახავს, უარი განუცხადებია. ეტყობა, მაია ჩიბურდანიძესთან, ნონა გაფრინდაშვილთან, ნატალია ჟუკოვასთან, ილდიკო მადლთან შებრძოლებას მოერიდა. სიუ ჟუნთან დამარცხების შემდეგ იგი მსოფლიოში მეორე მოჭადრაკედ ითვლება, ბათუმში წაგებით კი საჭადრაკო სამყაროში მისი პრესტიჟი საგრძნობლად დაეცემოდა.



ზოგმა მოჭადრაკემ ჩემპიონატში მონაწილეობა მცირე საპრიზო ფონდის მიზეზით არ მიიღო. ეს უკანასკნელი კი, როგორც მოგეხსენებათ, 34 ათას გერმანულ მარკას არ აღემატება. მაგალითად, იუდით პოლგარი ასეთ თანხას ერთ საშუალო ტურნირში მხოლოდ მონაწილეობისათვის იღებს.

მთავარი მაინც ის არის, რომ საფუძველი ჩავუყარეთ ახალ საინტერესო შეჯიბრებას – ევროპის ქალთა პირად ჩემპონატს. ვფიქრობ, მომავალში ყველაფერი მოგვარდება. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ნონა გაფრინდაშვილს, მაია ჩიბურდანიძეს, ნანა ალექსანდრიას, ნინო გურიელს და სხვებს, რომელთა მონაწილეობამაც ნამდვილად დაამშვენა ჩვენი ჩემპიონატი.

**– ფავორიტად ვინ მოგაჩნიათ?**

– წინასწარ განჭვრეტა ძალიან რთულია. პირველმა ორმა რაუნდმა გვიჩვენა, რომ ახალგაზრდები წარმატებით იბრძვიან გამოცდილი დიდოსტატების წინააღმდეგ. „ნოკაუტ-სისტემით“ შეჯიბრებისას პროგნოზი რომ სარისკო საქმეა, ეს ლას ვეგასის ვაჟთა ჩემპიონატმაც დაადასტურა. შეჯიბრების დაწყების წინ, აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ოქროს მედალს ხალიფმანი მოიპოვებდა.

**– შემთხვევითობის გამოსარიცხად, ხომ არ აჯობებდა, ორ-ორი პარტიის ნაცვლად, ოთხპარტიიანი მიკრომატჩები მოგვეწყო, ნახევარფინალებსა და ფინალებში კი მათი რაოდენობა გაგვეზარდა?**

– გეთანხმებით, რომ სისტემა ჯერ კიდევ დასახვეწია. საამისო დროც მოვა. მთავარი ის არის, რომ ილუმჟინოვისეული „ნოკაუტ-სისტემით“ ჭადრაკი უფრო დინამიური გახდა და საყურებლადაც – უფრო სასიამოვნო...

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებითაც დიდი მადლობა გადავუხადო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, კერძოდ, ბატონ ასლან აბაშიძეს, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას და ყველას – ვინც გვერდით დაგვიდგა და დაგვეხმარა, რომ შარშანდელი და წლევანდელი ევროპის ჩემპიონატები მაღალ დონეზე გაგვემართა.

ესაუბრა
ვაჟა დანელია.

ევროპის ქალთა პირველი ჩემპიონატი ჭადრაკში

# მასპინძლობს ქათქათა ქალაქი







(მეხუთე გვერდიდან)

ჩემპიონატის ოცდათორმეტივე მონაწილეს სამახსოვრო საჩუქრები და ყვავილების თაიგულები გადასცეს.

დღის მეორე ნახევარში კი მოჭადრაკეები 64-უჯრიან დაფებს მიუსხდნენ და საათები ჩართეს.

**მეთექვსმეტედფინალი**

ჯესიკა ნილი (გერმანია) – **მაია ჩიბურდანიძე** (საქართველო) 0,5:0,5; 0:1.

**ნატალია ჟუკოვა** (უკრაინა) – კიტი გროსარი (სლოვენია) 0,5:0,5; 0:5:0,5 (1,5:0,5).

ლელა ჯავახიშვილი (საქართველო) – **ნინო ხურციძე** (საქართველო) 0:1; 0,5:0,5.

**ეკატერინა კოვალევსკაია** (რუსეთი) – სალომე მელია (საქართველო) 1:0, 1:0.

ინგა ხურცილავა (საქართველო) – **ალა ზატონსკიხი** (უკრაინა) 0:1; 0,5:0,5.

**ტატიანა სტეპოვაია** (რუსეთი) – ირინა სლავინა (რუსეთი) 1:0, 0,5:0,5.

ლილით მკრტიჩიანი (სომხეთი) – **სვეტლანა მატვეევა** (რუსეთი) 0,5:0,5; 0,5:0,5 (1,5: 2,5).

**ტატიანა ვასილევიჩი** (უკრაინა) – მაია ლომინეიშვილი (საქართველო) 0,5:0,5; 1:0.

დანა რეიზნიცე (ლატვია) – **ილდიკო მადლი** (უნგრეთი) 0,5:0,5; 0:1.

ოლგა ალექსანდროვა (უკრაინა) – **რეგინა პოკორნა** (სლოვაკეთი) 0:1; 0:1.

**ანა მათნაძე** (საქართველო) – თამარ ხმიადაშვილი (საქართველო) 1:0: 1:0.

**ნონა გაფრინდაშვილი** (საქართველო) – იულია გოლიანინა (რუსეთი) 1:0; 0,5:0,5.

**ნანა ალექსანდრია** (საქართველო) – ინა გაპონენკო (უკრაინა) 1:0; 1:0.

გაბრიელა ოლარაშუ (რუმინეთი) – **ივეტა რაძიევიჩი** (პოლონეთი) 0:1; 0:1.

რაპილი ეიდელსონი (ბელორუსია) – **ნინო გურიელი** (საქართველო) 0:1; 1:0 (0:2).

აინურ სოფიევა (აზერბაიჯანი) – **ჰენრიეტა ლაგვილავა** (ბელორუსია) 0,5:0,5; 0:1.




შეჯიბრების პირველი ორი დღის შემდეგ ძირითადი პარტიების შედეგად ცნობილი გახდა მერვედფინალის 13 მონაწილე. სამი გამარჯვებულის გამოსავლენად კი საჭირო გახდა დამატებითი პარტიები დროის შემცირებული რეგლამენტით. ნინო გურიელმა ორივე პარტია მოუგო (შედეგი ფრჩხილებშია ნაჩვენები) ეიდელსონს და შემდეგ ეტაპზე გავიდა.

ასევე ორ დამატებით პარტიაში იმარჯვა ჟუკოვამ გროსართან შეხვედრისას, ხოლო მკრტიჩიან-მატვეევას შორის უძლიერესის გამოვლენას ოთხი პარტია დასჭირდა.

**მერვედფინალი**

**მაია ჩიბურდანიძე** – ჰენრიეტა ლაგვილავა 1:0; 1:0.

**ილდიკო მადლი** – ტატიანა ვასილევიჩი 0,5:0,5; 0,5:0,5 (1,5:0,5).

**ალა ზატონსკიხი** – ნონა გაფრინდაშვილი 0,5:0,5; 0,5:0,5 (2:0).

ნანა ალექსანდრია – **ეკატერინა კოვალევსკაია** 0:1; 0:1.

ნინო ხურციძე – **ივეტა რაძიევიჩი** 0:1; 1:0 (1,5: 2,5).

ანა მათნაძე – **ტატიანა სტეპოვაია** 0:1; 0:1.

სვეტლანა მატვეევა – **რეგინა პოკორნა** 0:1; 0:1.

ნინო გურიელი – **ნატალია ჟუკოვა** 0:1; 0,5:0,5.

უიღბლო აღმოჩნდა ქართველი მოჭადრაკეებისთვის მერვედფინალური შეხვედრები. პირველი რაუნდის მსგავსად, აქაც ჩვენი ხუთი მოჭადრაკე გამოაკლდა ჩემპიონობისთვის მებრძოლთა რიგებს. ნონა გაფრინდაშვილი დამატებით ორ პარტიაში დამარცხდა ზატონსკისთან, ნინო ხურციძემ კი მოგების რეალური შანსი გაუშვა ხელიდან. ჩემპიონატის აშკარა ფავორიტმა მაია ჩიბურდანიძემ კი მეორე ბარიერიც იოლად დასძლია.

**მეოთხედფინალი**

მაია ჩიბურდანიძე – ილდიკო მადლი 1:0; 0:1.

ალა ზატონსკიხი – ეკატერინა კოვალევსკაია 0:1; 0.5:0.5.

ივეტა რაძიევიჩი – **ტატიანა სტეპოვაია** 0,5:0,5; 0:1.

რეგინა პოკორნა – ნატალია ჟუკოვა 1:0: 0:1.

გუშინდელი შეხვედრების შემდეგ ცნობილი გახდა ორი ნახევარფინალისტის ვინაობა – ესენი არიან რუსეთის ოლიმპიური ნაკრების წევრები: ეკატერინა კოვალევსკაია და ტატიანა სტეპოვაია. მათი მეტოქეები დღეს გამოვლინდებიან დამატებითი 25-წუთიან პარტიებში, რადგან ილდიკო მადლმა მაია ჩიბურდანიძესთან, ხოლო ნატალია ჟუკოვამ რეგინა პოკორნასთან გუშინდელი შეხვედრების მოგებით წონაწსორობა აღადგინეს.

ფედერაციაში

## სტამბოლში იასპარეზებენ

27 ოქტომბერს სტამბოლში გაიხსნება მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის გამგეობის გადაწყვეტილებით ქალთა გუნდში ითამაშებენ: **მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი, ნინო ხურციძე**. გუნდის მეოთხე წევრი სამთა მატჩ-ტურნირში გამოვლინდება, რომელშიც **ქეთევან არახამიას და ნინო გურიელთან** ერთად **სოფიკო ტერელაძის და ინგა ხურცილავას** მატჩში გამარჯვებული იასპარეზებს. ეს მატჩი ივნისში თბილისში გაიმართება.

ვაჟთა გუნდში პერსონალურად არიან მიწვეულნი დიდოსტატები: **ზურაბ აზმაიფარაშვილი, გია გიორგაძე, ზურაბ სტურუა და გიორგი ყაჭეიშვილი.**

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატის შემდეგ მათ დაემატა დიდოსტატი **თამაზ გელაშვილი**. გუნდის მეექვსე წევრი მოგვიანებით დადგინდება.

ინფორმაცია

## მეხუთე ზონაში

5 ივნისს ერევანში გაიხსნება ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის მე-5 ზონის ტურნირი. აქ გამარჯვებულნი მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე იასპარეზებენ.

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატმა ერევნის ზონალური ტურნირის 5 მონაწილე დაასახელა.

წინასწარი განაცხადით, ერევანში სომხეთის, იუგოსლავიის, საქართველოს, თურქეთის, ალბანეთის, საბერძნეთის და კვიპროსის 38 წარმომადგენელი ითამაშებს.

რეიტინგების მიხედვით სიას სათავეში უდგანან სომეხი დიდოსტატები: რაფაელ ვაგანიანი (რეიტინგი – 2618), აშოტ ანასტასიანი (2606), სმბატ ლპუნტიანი (2605), არტაშეს მინასიანი (2598). მეხუთე პოზიციაზეა ზურაბ სტურუა (2595).

დიდი ინტერესით ველოდებით აგრეთვე თამაზ გელაშვილის, გიორგი ყაჭეიშვილის, გიორგი ბალათუროვის და 17 წლის გალელი ჭაბუკის ბაადურ ჯობავას გამოსვლას.

ტურნირი 15 ივნისს დამთავრდება.

რეგიონი

## იმერეთში უყვართ ბრძენთა თამაში

ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში ამას წინათ გაიმართა ამ ქალაქის საჭადრაკო სკოლის დამაარსებლის, ღვაწლმოსილი მწვრთნელის **დავით ჩირაძის** ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი, რომლის ორგანიზატორები იყვნენ იმერეთის ჭადრაკის ფედერაცია, იმერეთის განვითარების სააგენტო და საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის იმერეთის ორგანიზაცია.

შეჯიბრება სწრაფ ჭადრაკში შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად გაიმართა. ტურნირს ინტერესს ისიც მატებდა, რომ ქუთაისის, სამტრედიის, წყალტუბოს, თერჯოლის და ბაღდათის 26 წარმომადგენლიდან თითქმის ნახევარი დ. ჩირაძის ყოფილი მოსწავლეები, ამჟამად კი ცნობილი მწვრთნელები და ჭადრაკის გულშემატკივრები არიან, ასევე მონაწილეობდნენ ნორჩი მოჭადრაკეები – დ. ჩირაძის „საჭადრაკო შვილიშვილები“.

ასპარეზობა საინტერესოდ წარიმართა. ბოლო ტურის წინ 6,5 ქულა ერთდროულად სამ მოჭადრაკეს – გია მენაბდეს, ინგა ჭარხალაშვილს და გიგა ყუფარაძეს ჰქონდათ. გამარჯვებული მე-9 ტურმა გამოავლინა, სადაც მენამდე ჭარხალაშვილს, ხოლო ყუფარაძე 6-ქულიან ალეკო ქასრაშვილს ხვდებოდა. მძაფრ ბრძოლაში თერჯოლელმა ახალგაზრდა პერსპექტიულმა მოჭადრაკემ ყუფარაძემ მეტოქე დაამარცხა და 7,5 ქულით ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, ვინაიდან მენაბდე-ჭარხალაშვილის პარტიის მეტოქეები დაზავდნენ და 7-7 ქულა მოაგროვეს. უკეთესი კოეფიციენტით მეორე ადგილი ჭარხალაშვილს ხვდა, ხოლო ჩირაძის ყოფილი მოსწავლე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მენაბდე, რომლის აღსაზრდელები I-II ადგილებზე გასული მოჭადრაკეები არიან, მესამე საპრიზო ადგილს დასჯერდა.

გამარჯვებულებს იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის სიგელები, ფულადი პრემიები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, საერთაშორისო დიდოსტატმა, ჩირაძის მოსწავლემ გია გიორგაძემ და იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარემ გოგი ქელბაქიანმა. სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ აგრეთვე ჩირაძის ოჯახს და ტურნირის ყველაზე პატარა მონაწილეს, 8 წლის გიორგი ტყეშელიაძეს.

შეჯიბრების დახურვის შემდეგ მონაწილეებმა ყვავილებით შეამკეს ამაგდარი მწვრთნელის საფლავი. აღნიშნული შეჯიბრება პირველად გაიმართა და მისი ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ დავით ჩირაძის მემორიალი ტრადიციად იქცევა და უფრო დიდ მასშტაბს მიიღებს.

**ალეკო არსენიძე,**
**იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის აღმასრულებელი მდივანი.**

ოჯახის შექმნას ვულოცავთ ეროვნულ ოსტატს, ცნობილ მწვრთნელს გივი გოგიჩაიშვილს და ქეთევან აბაშიძეს.

ვუსურვებთ ბედნიერებას და დიდ სიყვარულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატი


სოფიკო ტერელაძე.


ინგა ხურცილავა.


ანა მათნაძე.

# იმედისმომცემი პერსპექტივა

„საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე რეგულარულად ქვეყნდებოდა მოჭადრაკე ქალთა და ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატების მიმდინარეობა, ამიტომ ამჯერად მხოლოდ გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას შევახსენებთ.

ქალებში ჩემპიონობისთვის 40 მოჭადრაკე იბრძოდა, მათ შორის 3 დიდოსტატი და 7 საერთაშორისო ოსტატი. 9 შესაძლებლიდან 7 ქულით ოქროს მედალი სოფიკო ტერელაძემ მოიპოვა. ამდენივე ქულით, ოღონდ უარესი კოეფიციენტით, მეორე ადგილზე გავიდა ინგა ხურცილავა.

გამარჯვებულებს ნახევარი ქულით ჩამორჩა თელაველი ანა მათნაძე, რომელსაც ბრინჯაოს მედალი ხვდა წილად. მართალია, 6,5-6,5 ქულა მოაგროვეს დიდოსტატებმა – მაია ლომინეიშვილმა და ნინო ხურციძემაც, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მათ მეოთხე-მეხუთე ადგილები გაინაწილეს.

ვაჟთა პირველობა წრიული სისტემით გაიმართა. აქ 12 მონაწილე ეცილებოდა ერთმანეთს ჩემპიონის გვირგვინს, რომელთა შორის 5 დიდოსტატი იყო.

ჩინებულად იასპარეზა 22 წლის რუსთაველმა დიდოსტატმა თამაზ გელაშვილმა. მან ბოლო შვიდი შეხვედრა ზედიზედ მოიგო, მოაგროვა 9 ქულა და ჩემპიონობა გაინაღდა. ანალოგიურ წარმატებას მიაღწია გიორგი ყაჭეიშვილმაც, მაგრამ მას ვიცე-ჩემპიონობა ერგო უარესი კოეფიციენტით. 7 ქულით მესამე იყო საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი გიორგი ბაღათუროვი.

ეს ასპარეზობანი სხვათაგან გამორჩეული გახლდათ, უპირველესად, მონაწილეთა სიძლიერით. ამჯერად მოხერხდა თითქმის ყველა მოქმედი მოჭადრაკის დაფებთან მიწვევა. იმედია, ეს პრაქტიკა კვლავაც გაგრძელდება და ქვეყნის ჩემპიონატებში იასპარეზებენ ჭეშმარიტად გამოჩენილი და პერსპექტიული მოჭადრაკენი.

ლექსო ცინცაძე.


თამაზ გელაშვილი.


გიორგი ყაჭეიშვილი.


გიორგი ბაღათუროვი.

## პრაქტიკა

# ჩინებული პარტია გელერის მემორიალიდან

გამოჩენილ დიდოსტატ ეფიმ გელერის მეორე მემორიალში 138 მოჭადრაკე (მათ შორის 15 დიდოსტატი) მონაწილეობდა. ასპარეზობა შვეიცარული სისტემით (9 ტურად) მიმდინარეობდა. 7-7 ქულით პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს მოსკოველმა დიდოსტატმა იური ბალაშოვმა და ჭაბუკმა სერგეი გრიგორიანცმა, ამასთან, დამატებითი მონაცემებით, პირველი პრიზი ბალაშოვს დარჩა.

მოგვყავს საინტერესო პარტია, რომელიც ორ მოსკოველ მოჭადრაკეს შორის გათამაშდა.

**ვალენტინ არბაკოვი — ანდრეი რიჩაგოვი**

სლავური დაცვა

1. d4 d5 2. c4 c6
3. მf3 მf6 4. მc3 dc
5. a4 კf5 6. e3 e6
7. კc4 კb4 8. 0-0 0-0
9. ლb3 ლe7 10. მh4 a5!?

ახალი სვლაა. აქამდე თამაშობდნენ 10. ... კg4 11. f3 კh5 12. g4 კg6 რთული თამაშით.

11. f3 კg6 12. მa2 c5
13. მb4 ab 14. dc ლc5
15. მg6 hg 16. კd2 მc6
17. ეfc1 ეfd8 18. კb5 მa5!

ცხადია, არ შეიძლებოდა წინა სვლაზე კe6, რის შემდეგ თეთრები ფიგურას ჰკარგავდნენ, რადგან დარტყმის ქვეშ ორივე კუ რჩებოდა. ახლა კი არბაკოვს გამორჩა ლამაზი სვლა მხედრით, რომლის შემდეგ ინიციატივას შავები ეუფლებიან.

19. ლa2 ლb6 20. კb4 ლe3
21. მფh1 მd5?!

აქ, ეტყობა სჯობდა პირდაპირ 21. ... b6! და შავი ლაზიერი თავის ძლიერ პოზიციას ინარჩუნებდა.

22. კc5 ლf4 23. ლa3 b6
24. კf2 ეac8 25. ეd1

აქ თეთრებს უნდა ეთამაშათ.

25. b4! მწვავე ორმხრივი თამაშით. ეტლით სვლა დროის დაკარგვასთან არის დაკავშირებული, რასაც რიჩაგოვი კარგად იყენებს.

25. ... ეc2 26. კg3 ლf6
27. b4 ეc3 28. ლb2 მb3
29. ეa3 ეd3!

თეთრებმა ჯეროვნად ვერ შეაფასეს ეს სვლა.

30. ლb1 ეd1 31. ეd1 მe3
32. ლb3 ლb2!!

აი, ეს კი ნამდვილად ბრწყინვალე სვლაა. თუ 32. ... ეd1 33. ლd1 მd1, შავები კი იგებდნენ ლაზიერს ეტლსა და მსუბუქ ფიგურაში, მაგრამ არბაკოვს შეეძლო წინააღმდეგობის გაგრძელება.

33. კf1 ეd1 34. ლd1 მd1
35. ეd3 მf2 36. კf2 ლf2
37. ეd1 ლc2 38. ეd8 მფh7
39. b5 ლa4 40. g3 g5
41. ეc8 ლd1 42. მფg2 ლd2
43. მფg1 მფg6

რამდენიმე სვლის შემდეგ არბაკოვმა შეწყვიტა უიმედო წინააღმდეგობა. შავებმა მშვენივრად წარმართეს მთელი პარტია.

გივი გამრეკელი.

## ინფორმაცია

# დღეს

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიხსნება გამოჩენილი ქართველი საჭადრაკო პედაგოგის ვახტანგ ქარსელაძის მემორიალი, რომელშიც ჩვენი ქვეყნის თითოეულ მწვერთნელს თავისი გუნდი გამოჰყავს.

ტურნირი ორ ასაკობრივ ჯგუფად არის დაყოფილი – 10 წლამდე და 14 წლამდე. თითოეულ გუნდში სამი ჭაბუკი და ერთი გოგონა იქნება. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით შვიდ ტურად გაიმართება და 10 ივნისს დამთავრდება.

ეს ტურნირი ტრადიციულია და ნორჩ მოჭადრაკეთა და მწვრთნელთა დიდ ინტერესს იწვევს.

## იმრავლოს!

# მიხეილ კეკელიძის წარმატება

ქართველ დიდოსტატთა რიგებს მალე კიდევ ერთი ნიჭიერი მოჭადრაკე შეემატება. ეს გახლავთ **მიხეილ კეკელიძე.**

გერმანიის ქალაქ დაიცეზაუში გამართულ საერთაშორისო ტურნირში 160 მონაწილეს შორის მან 9 შესაძლებლიდან 7 ქულა მოაგროვა და საერთაშორისო დიდოსტატის კიდევ ერთი ბალი მოიპოვა.

სულ მალე ფიდე მას ამ წოდებას ოფიციალურად მიანიჭებს.

## ღიმილის დოზა

# თითქმის მუსიკალური ისტორია

ზიგენის ოლიმპიადის შემდეგ ჰამბურგის საჭადრაკო კლუბმა მიიწვია მსოფლიოს ჩემპიონი ბორის სპასკი. გამოჩენილ დიდოსტატს ერთდროული თამაშის სეანსი უნდა ჩაეტარებინა. ორგანიზატორები მსოფლიოს ჩემპიონთან თამაშის მსურველების თხოვნას ვერ აუდიოდნენ, სპასკის კი უთხრეს: „400 დოლარ ჰონორარს მიიღებთ, რობერტ ფიშერსაც ამდენივეს ვაძლევთ". ეს სიტყვები, ცოტა არ იყოს, გაუფრთხილებელი აღმოჩნდა. სპასკიმ თქვა: „რატომ უნდა გადამიხადოთ იმდენივე, რამდენიც ფიშერს? ჩემი ჰონორარი უფრო მაღალი უნდა იყოს. თუნდაც ერთი დოლარით, მაგრამ მაინც მეტი!"

ორგანიზატორებმა სპასკის „დაუჯერეს" და 401 დოლარი გადაუხადეს. „მოგებული მაინც ჩვენ დავრჩით – განაცხადეს მათ – სპასკიმ ხომ 40 დაფაზე ითამაშა, ფიშერმა კი მხოლოდ ოცზე".

ცხადია, ბევრმა არ იცის, რომ მრავალი წლის წინათ ამგვარივე ისტორია მოხდა, ოღონდ მუსიკალურ სამყაროში. იტალიის ერთ-ერთი ქალაქი ვერდის ოპერების ფესტივალს აწყობდა. მიიწვიეს რამდენიმე გამოჩენილი დირიჟორი, მათ შორის სახელოვანი არტურო ტოსკანინი. ასეთივე მიწვევა მიიღო კომპოზიტორმა პიეტრო მასკანიმაც (ოპერა „სოფლის პატიოსნების" ავტორმა), რომელიც ჩინებულ დირიჟორად ითვლებოდა. ყველაფერი რიგზე იქნებოდა მასკანის რომ მსოფლიოში უდიდეს დირიჟორად არ მიეჩნია თავი. მან ფესტივალის ორგანიზატორებს განუცხადა: „თანახმა ვარ მონაწილეობა მივიღო ფესტივალში, ოღონდ ერთი პირობით, მე ტოსკანინზე მეტი ჰონორარი უნდა გადამიხადოთ. თუნდაც ერთი ლირით, მაგრამ მაინც მეტი!"

ყველაზე მოულოდნელი მასკანისათვის ის იყო, რომ ორგანიზატორებმა უყოყმანოდ მიიღეს მისი მოთხოვნა. ფესტივალი მართლაც დიდი წარმატებით ჩატარდა. როდესაც ყველაფერი დამთავრდა, მასკანიმ კონვერტით მიიღო ჰონორარი. დიდი იყო მისი გაკვირვება, როდესაც კონვერტში ერთადერთი ლირა აღმოჩნდა. თურმე ნუ იტყვით, ტოსკანინი ამ ფესტივალზე უსასყიდლოდ დირიჟორობდა!

# ეს მოხდა ერევანში

ეს მოხდა ერევანში, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი პირველობის ნახევარფინალის დაწყების წინადღეს. ამ შეჯიბრებაში საკავშირო საჭადრაკო ფედერაციამ ორი მოგვარე გაანაწილა. მსოფლიოში ცნობილი დიდოსტატი ეფიმ გელერი (რომელიც მაშინ ოდესაში ცხოვრობდა) და ლენინგრადელი ოსტატი, საკმაოდ ცნობილი ჟურნალისტი ალექსანდრე გელერი. ეფიმ გელერი, ცხადია, შეჯიბრების მთავარ ფავორიტად ითვლებოდა, ხოლო თუ როგორ ითამაშებდა ალექსანდრე გელერი, ეს წინასწარ არავინ იცოდა.

მაშ ასე, ერევნელი ჭადრაკის მოყვარულები მეტად საინტერესო შეჯიბრებისათვის ემზადებოდნენ, მონაწილეები კი თანდათან იყრიდნენ თავს სომხეთის დედაქალაქში.

პირველად ერევანში ალექსანდრე გელერი ჩავიდა და სასტუმროს ადმინისტრატორს უთხრა:

– მე გელერი ვარ, საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვედი.

– გამარჯობათ, პატივცემულო კარგა ხანია, გელოდით და საუკეთესო-ნომერიც მოგიმზადეთ.

ალექსანდრე გელერს, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია. სასტუმროს მოსამსახურემ მას ბარგი მართლაც საუკეთესო ნომერში, „ლუქსში" აუტანა. ცხადია, ადმინისტრატორს გელერის გვარი გაეგონა, „დანარჩენ დეტალებში" კი მაინცდამაინც ვერ ერკვეოდა.

იმავე დღეს საღამოს, იმავე სასტუმროში ეფიმ გელერი მივიდა ადმინისტრატორს მიესალმა და უთხრა:

– მე გელერი ვარ, საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვედი.

– რაო, გელერი? გელერი ჩვენ კარგა ხანია დავაბინავეთ!

დიდოსტატი მეტად გაოცდა და ადმინისტრატორს საბუთი წარუდგინა. ატყდა აყალმაყალი, მაგრამ, ბედზე, სასტუმროში ერთმა გულშემატკივარმა შემოიარა და ყველაფერი გამოირკვა.

ასე იყო თუ ისე, ოსტატი ალექსანდრე გელერი ტურნირის დამთავრებამდე „ლუქსში" დარჩა, რასაც, ცხადია, თავის საჭადრაკო ძალას კი არა, გვარს უმადლოდა.

გივი გამრეკელის
კურიოზების კოლექციიდან.

თაოზები

# შოთა ინწკირველი – მწვრთნელი, მკვლევარი



თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა ცნობილი მწვრთნელის შოთა ინწკირველის მემორიალი. დაფებს 1991 წელს და უფრო გვიან დაბადებული 200-მდე მოჭადრაკე მიუსხდა სხვადასხვა ქალაქიდან და რაიონიდან.

1991-1992 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის ჩინებულად იასპარეზა თბილისელმა სოფიკო გურამიშვილმა, რომელმაც 9 შეხვედრიდან მხოლოდ ერთი პარტია დაამთავრა ყაიმით, დანარჩენი კი მოიგო და 8,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. მას ქულით ჩამორჩა გორელი ეკა გოგლიძე. 6,5 ქულით მესამე ადგილზე გავიდა თბილისელი სალომე ხაჟომია.

ვაჟთა პაექრობაში რუსთაველმა ლუკა პაიჭაძემ და ქუთაისელმა დავით ბენიძემ 8-8 ქულა მოაგროვეს. უკეთესი კოეფიციენტით პირველობა პაიჭაძეს ერგო. მესამე იყო თბილისელი ლევან ბრეგაძე – 7,5 ქულა.

1993-1994 წლებში დაბადებულ მოჭადრაკე გოგონებში ყველას ზუგდიდელმა ნანა ფარცვანიამ აჯობა – მან შეიდივე (აქ შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით, 7 ტურად გაიმართა) მეტოქე დაამარცხა და ორ-ორი ქულით გაუსწრო, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილებზე გასულ თბილისელ ნაზი პაიკიძეს და რუსთაველ ანი ოსიაშვილს.

ვაჟებშიც ზუგდიდელებმა იყოჩაღეს: 8 ქულით პირველი ადგილი ალექსანდრე თოდუამ დაიკავა, მეორე ადგილი წილად ხვდა თბილისელ ირაკლი სალარაძეს – 7 ქულა, გოჩა გელოვანი 6,5 ქულით მესამე იყო.

მემორიალში მოჭადრაკეთა მიერ ნაჩვენები შედეგებით გამოვლინდა მწვრთნელთა საუკეთესო სამეული. პირველობა ზუგდიდელ გოჩა თორიას ერგო, მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, თბილისელები – მაყვალა ხანთაძე და რამაზ ცერცვაძე გავიდნენ.

ვაჟა დანელია.

სურათზე: სოფიკო გურამიშვილი.

ავტორის ფოტო.

# ვინ არის „გ. ზ.“?

შოთა ინწკირველი სამწვრთნელო მუშაობასთან ერთად დიდი რუდუნებით მუშაობდა საქართველოში ჭადრაკის ისტორიის საკითხებზე. მან მოიძია და შეაგროვა ოციან და ოცდაათიან წლებში ნათამაშევი პარტიები თბილისის და საქართველოს ჩემპიონატებიდან. შოთა ინწკირველმა ბევრ ახალ ფაქტს მიაკვლია. ამ დღეებში ბატონი შოთას არქივი მისმა მოწაფემ მერაბ ძნელაძემ ჭადრაკის სასახლეს გადასცა. ჩვენი თაობის და შოთა ინწკირველის აღზრდილების ვალია ბოლომდე მიიყვანონ მისი დაწყებული საქმე.

არქივზე მუშაობამ უკვე მოგვცა პირველი შედეგი. როგორც ცნობილია, შოთა ინწკირველმა ჯერ კიდევ 1983 წელს მიაკვლია, რომ თბილისში 1901 წლის 9 იანვრიდან 20 თებერვლამდე საჭადრაკო ტურნირი გაიმართა. მასში – 11 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ისინი ერთმანეთს ორ-ორ პარტიას ეთამაშებოდნენ.

14,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა სმიტენმა.

12,5 ქულით მეოთხე იყო გრუზინსკი, მეცხრე ადგილზეა არჯევანიძე. მას 8 ქულა აქვს.

11 ქულა მოაგროვა და მეხუთე ადგილი დაიკავა ვინმე „გ. ზ.“-მ, რომელიც, წინა საუკუნიდან მოყოლებული, სისტემატურად აქვეყნებდა საჭადრაკო ამოცანებს.

უკვე წელიწადია ვაგროვებ „გ. ზ.“-ს ამოცანებს. მისი გვარი იოლად დავადგინე. საჭადრაკო კომპოზიციის ისტორია კარგად აქვს შესწავლილი მოსკოველ ევგენი უმნოვს. მის მასალებზე დაყრდნობით, გ. ზისერმანი 1860 წლიდან ინიციალებით გ. ზ. აქვეყნებს ამოცანებს. ამ დროს ის სტავროპოლში ცხოვრობდა. XX საუკუნის დასაწყისში გ. ზ. თბილისში ცხოვრობს. სხვა ცნობები ამ პიროვნების შესახებ არ არსებობდა.

საბჭოთა კავშირის დროს დაბეჭდილ წიგნებში გ. ზისერმანი სტავროპოლელ რუს საჭადრაკო კომპოზიტორად მოიხსენიება.

მე შევძელი გ. ზისერმანის ათზე მეტი ამოცანის შეგროვება. აღმოვაჩინე, რომ მან გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ 1928 წელს გამოაქვეყნა ამოცანა. ამ დროს ის განჯაში ცხოვრობს. შემთხვევით მოვიძიე მისი მამის სახელი: გ. ლ. ზისერმანი.

შოთა ინწკირველის ინფორმაცია გ. ზ-ს საჭადრაკო ტურნირში თამაშის შესახებ ჩემთვის ახალი იყო. საჯარო ბიბლიოთეკაში „კავკაზის“ და იმ დროისათვის თბილისში არსებული გაზეთების გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ 1901 წელს ეს ტურნირი პრესაში არ გაშუქებულა. ამავე დროს მივაკვლიე გ. ზისერმანის მამის სახელს.

1901 წლის 5 ივლისის „კავკაზში“ გამოქვეყნებულა ცნობა იული ლევის ძე ზისერმანის გარდაცვალების შესახებ. მისი ძმა იუწყება, რომ გამოსვენება მოხდება „დანიის“ ნომრიდან, დაკრძალვა – ლუთერანულ სასაფლაოზე.

სამწუხაროდ, დღემდე ჩვენთვის უცნობი რჩება გ. ზისერმანის სრული სახელი.

საფიქრებელია, რომ იგი, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, ამოცანებს ინიციალებით ბეჭდავდა. 1928 წელს „ზარია ვოსტოკაში“ გამოქვეყნებული ამოცანა ერთადერთია, რომელსაც ავტორი გვარს აწერს.

გთავაზობთ გ. ზისერმანის ამოცანას, რომელიც 1886 წელს „შახმატნი ვესტნიკ“-ში დაიბეჭდა. ამოცანის ამოხსნაა 1. კe4, რომელიც ქმნის მუქარას 2. ლd6X. შავები თავს იცავენ 1. ... მხb7 სვლით, მაგრამ 2. მფg6-ის შემდეგ ისინი ცუგცვანგში აღმოჩნდებიან, ხოლო თუ 1. ... მf7, მაშინ 2. მd8.



დავით გურგენიძე.

კომპოზიცია

# ნოვატორები და ეპიგონები

„მიბაძვა მთლიანად ძარცვავს ნაწარმოებს ყოველივე იმისაგან, რაც მასში განუმეორებელია და მიუბაძველი“.

პოლ ვალერი.

საჭადრაკო კომპოზიციის ხელოვნება თავის თავში მოიცავს ორ მონათესავე სფეროს: საჭადრაკო ეტიუდებს და საჭადრაკო ამოცანებს. ორივე ეს მიმართულება თავისი მიღწევებით დღეს საკმაოდ მაღალ დონეზე დგას და მათი საერთო საგანძური ქმნის ერთიან, დიდ საკომპოზიციო ხელოვნებას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ საჭადრაკო კომპოზიციის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე ეს ორი დარგი თითქოს დამოუკიდებლად ვითარდებოდა, მაგრამ ურთიერთგავლენა მაინც მნიშვნელოვანი იყო. როგორც პრობლემისტები, ასევე ეტიუდისტები, სხვადასხვა იდეის ხორცშესხმისათვის თავიანთ შემოქმედებაში ფართოდ იყენებდნენ ერთმანეთის მიღწევებს. ისეთ საამოცანო თემებს, როგორიცაა ნოვოტნის გადაკეტვა, რომის თემა, ბრისტოლის თემა, ობსტრუქცია და სხვა, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობათ ეტიუდისტთა ქმნილებებშიც. თავის მხრივ პრობლემისტებიც წარმატებით ამუშავებენ საეტიუდო თემებს.

დღეს გავეცნოთ თუ რა გამოძახილი ჰპოვა ამერიკელი პრობლემისტის ოტო ვირცბურგის სამსვლიანმა ამოცანამ ეტიუდისტებს შორის. მისი გადაწყვეტა მეტად ეფექტური და მიმზიდველია. აქ პირველად განხორციელდა საინტერესო ჩანაფიქრი. თეთრი კუ გზას უნთავისუფლებს მასზე ძლიერ ლაზიერს, რათა ამ უკანასკნელმა მიაღწიოს შავი მეფის დამამათებას. ყოველივე ეს ხორციელდება კუს მოქმედების ხაზზე. ამ მეტად საინტერესო იდეას ავტორის სახელი ეწოდა. მისი ამოხსნა ასეთია: 1. კh3!! მუქარით 2. ლg4 და 3. ლc8X; მაგრამ შავები პასუხობენ a5! სვლით და ახერხებენ a5 უჯრის ბლოკირებას. მას მოჰყვება ეფექტური 2. ლa6+!! მფa6. შემდეგ ერთობ ელეგანტური 3. კc8X. ფინალი ძალიან მოეწონათ ეტიუდისტებს და მრავალმა სცადა ეს შამათი განეხორციელებინა ეტიუდში. გთავაზობთ რამდენიმე საინტერესო ინტერპრეტაციას:

ო. ვირცბურგი, 1895 წ.



შამათი 3 სვლაში.

ტ. გორგიევი, 1938 წ.



თეთრები იგებენ.

ტიგრან გორგიევის ეტიუდში სწორედ აღნიშნული შამათი გვხვდება. ეტიუდის გადაწყვეტა ასეთია: 1. მფc5! მფb3 2. d7 f2 3. d8ლ f1ლ 4. ლd5 მფc3 5. ლd4 მფb3 6. ლa4!! მფa4 7. კc2X!

ვ. ნეიძე, 1963 წ.



თეთრები იგებენ.

ცნობილმა ქართველმა ეტიუდისტმა ვაჟა ნეიძემ თავისებური ინტერპრეტაცია მისცა აღნიშნულ იდეას. ეტიუდის გადაწყვეტას კამერული ჟღერადობა აქვს: 1. მფf2 g1ლ 2. მg1 h2 3. მh3! მფh3 4. კe6X!

ნ. კრალინი, 1982 წ.



თეთრები იგებენ.

მოსკოველმა ეტიუდისტმა ნიკოლაი კრალინმა შესძლო უკვე ორი მონათესავე შამათის სინთეზი. მისი ამოხსნა ასეთია: 1. მf5 მფg2 2. მh4! მფg3 3. მფf5 მფh4 4. კh2 მf7 5. მფf4 მh6 6. კg3X! ან თუ 4. ... მe6! 5. მფe6 მფg5 6. მფf7! მფh6 7. კf4X!

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთმოყვანილი ეტიუდები ტექნიკურად მშვენივრადაა დამუშავებული, ისინი, ჩვენი აზრით, მაინც ეპიგონებად უნდა ჩაითვალოს.

ველიმირ კალანდაძე,
საერთაშორისო ოსტატი საჭადრაკო კომპოზიციაში.

გახსენება

# მარად დაუვიწყარი



გავიდა 40 დღე, რაც საშა ბლაგიძე უკანასკნელ სასუფეველში მივაცილეთ. ახლა მისი სული ზეცაშია, მარადისობაში.

ალექსანდრე ბლაგიძე საყოველთაოდ აღიარებული ქართველი ოსტატი გახლდათ. იგი მთელი ცხოვრება ემსახურა ჭადრაკს. იყო ჭეშმარიტი პროფესიონალი, მამა-პაპათა თამაშის ბოლომდე ერთგული.

საშას ყმაწვილკაცობიდან შეჭირვებული ცხოვრება ჰქონდა. ავადსახსენებელმა 1937 წლის რეპრესიებმა იმსხვერპლა მისი დიპლომატი მამა და ოჯახი დიდ განსაცდელში აღმოჩნდა, მაგრამ თავდადებულმა დედამ ბედს არ დააჩაგვრინა მცირეწლოვანი შვილები – 15 წლის მარლენი და 13 წლის საშა. ორივე გაიყვანა ცხოვრების სარბიელზე. მარლენი დიდმა ომმა შეიწირა, საშამ კი ჭადრაკის სამყაროში ჰპოვა სულის სარკმელი. ჭადრაკი მისი საფიცარი ხატი შეიქნა.

ნიჭიერმა ყმაწვილმა 40-იან წლებში ორჯერ (1944, 1946 წწ.) მოიპოვა თბილისის ჩემპიონის წოდება. უფრო მეტ წარმატებებს მიაღწია 50-იან წლებში, როცა ორჯერ საქართველოს (1953, 1957 წწ.) და ამდენივეჯერ თბილისის (1957, 1959 წწ.) ჩემპიონი გახდა. 1960 წელს სპორტის ოსტატის წოდებაც მიიღო.

1948 წლიდან, თითქმის 15 წელი, საშა ბლაგიძე მონაწილეობდა სსრ კავშირის გუნდურ ჩემპიონატებსა და ხალხთა სპარტაკიადებში, სსრ კავშირის ჩემპიონატების მეოთხედ და ნახევარფინალურ ტურნირებში. მისი აქტიური თამაშის მანერა მოსწონდათ სპეციალისტებს.

სწორედ ამ დროს დავუახლოვდით ერთმანეთს მე და საშა. ხშირად ერთად ვმონაწილეობდით შეჯიბრებებში – როგორც საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები – მოსკოვში, ლენინგრადში, ბაქოში, ერევანში, ვოროშილოვგრადში... ამ მოგზაურობისას ახლოს გავიცანი საშა, მისი სიკეთით სავსე, მოყვასის მოყვარული ბუნება.

პრაქტიკულ თამაშს თავი რომ დაანება, საშამ მწვრთნელობა და მსაჯობა დაიწყო. მან ათობით გოგო-ბიჭს შეაყვარა ჭადრაკის სიბრძნე, გაუღო კარი ზღაპრულ სამყაროში. საშა მუშაობდა ჯერ ჭადრაკის კლუბში, მერე ჭადრაკის სასახლეში, სადაც საერთო პატივისცემით იყო გარემოსილი.

ისიც უნდა ითქვას, რომ 90-იანი წლების მძიმე პირობებში ქართული ჭადრაკის მესვეურები შეძლებისამებრ ზრუნავდნენ მასზე. საშამ არ იცოდა წუწუნი, ჩივილი და დიდი მადლიერებით ღებულობდა თანადგომას.

ბოლოს მაინც მოერია ბუნების ძალა. ქართული ჭადრაკი ყოველთვის გაიხსენებს საშა ბლაგიძეს როგორც მის ჭეშმარიტ მსახურს.

თენგიზ გიორგაძე.

GCF

სარედაქციო კოლეგია: დავით გურგენიძე (რედაქტორი), ზურაბ აზმაიფარაშვილი, ნანა ალექსანდრია, ანზორ ბასილაია, გივი გამრეკელი, ნონა გაფრინდაშვილი, თენგიზ გიორგაძე, ბუხუტი გურგენიძე, ველიმირ კალანდაძე, გიორგი მახარაძე, კახა ჩიგოგიძე.

საქართველოს რესპუბლიკა
№147. შაბათი, 3 ივნისი, 2000 წელი.

ᲘᲐᲚᲢᲘᲓᲐᲜ ᲛᲐᲚᲢᲐᲛᲓᲔ

# ცივი ომის ისტორიიდან

**მეორე მსოფლიო ომის შესახებ ჩვენშიც და დასავლეთშიც ბევრი რამ დაიწერა, მაგრამ საბჭოთა კავშირისა და მისი ყოფილი მოკავშირეების შემდგომი ურთიერთობის ისტორიაზე გაცილებით ნაკლები ვიცით. არადა, ამასწინანდელი წარსულის მოვლენები გავლენას ახდენენ ამჟამინდელზე. გთავაზობთ „Vesti.ru"-დან გადმობეჭდილ მასალებს, რომლებიც სი-ენ-ენის ჟურნალისტებმა მოამზადეს და ეძღვნება ცივი ომის ისტორიას. აქ წარმოდგენილია ძირითადი ეპიზოდები კატინის ტრაგედიიდან* ბერლინის კედლის დანგრევამდე, რომლებმაც განსაზღვრეს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ბლოკების ქვეყნების ურთიერთობა.**



## ორმოციანი წლების ნიმუშის ეთნიკური წმენდა

**ეს ამბავი გაგვახსენა ამასწინანდელმა ქარიშხლებმა, ცენტრალურ ევროპას რომ გადაუარა. ძლევამოსილი ჯარები იკავებენ ტერიტორიას, აცხადებენ ახალ საზღვრებს და სასტიკად სდევნიან დამარცხებულ სამოქალაქო მოსახლეობას.**

ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მოწყობილი, ეგრეთ წოდებული, „ეთნიკური წმენდის" ეპიზოდებმა მთელი მსოფლიოს აღშფოთება გამოიწვია. მაგრამ პოლონეთის საზღვრების გადაკეთებას და მის შედეგად დატრიალებულ ტრაგედიას არ მოჰყოლია არავითარი რეაქცია საბჭოთა ბლოკის ფარგლებს გარეთ.

სწორედ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების წინ, იალტის კონფერენციაზე სამმა უდიდესმა მოკავშირე ქვეყანამ — ბრიტანეთმა, შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა კავშირმა — დათქვა, გადაეწია პოლონეთ-სსრ კავშირის აღმოსავლეთის საზღვარი უფრო შორს, დასავლეთით. პოლონელებისათვის ტერიტორიის ეს მნიშვნელოვანი დანაკარგი რომ აენაზღაურებინათ, მოკავშირეებმა მოილაპარაკეს, იმავდროულად პოლონეთის სახელმწიფოს დასავლეთი საზღვარიც გადაეწიათ დასავლეთით — გერმანიის ხარჯზე.

მაგრამ საკითხავი ის იყო, სახელდობრ, სად გაივლიდა პოლონეთის ეს ახალი დასავლური საზღვარი. საბჭოეთი დაჟინებით მოითხოვდა, ეგრეთ წოდებულ, „ოდერ-ნოისეს ხაზს", საზღვარს, რომელსაც ქმნიან მდინარეები ოდერი და ნოისე, ბალტიკის ქალაქ სვინოუსციდან სამხრეთით, ჩეხოსლოვაკიის საზღვრისაკენ რომ მიედინება.

ბრიტანეთმა და შეერთებულმა შტატებმა, რომლებსაც კარგად ესმოდათ, რამდენი გერმანელი დარჩებოდა უსახლკაროდ საბჭოთა გეგმის განხორციელების შედეგად, წამოაყენეს ალტერნატიული საზღვარი, რომელიც გერმანიას მეტ ტერიტორიას დაუტოვებდა. მაგრამ ომის დამლევს — პოტსდამის კონფერენციის დასაწყისისათვის, 1945 წლის აგვისტოში, — წითელ არმიას უკვე ოკუპირებული ჰქონდა მთელი მიწა-წყალი საბჭოეთის მიერ შეთავაზებული ხაზის აღმოსავლეთით.

რამდენადაც ტერიტორიული გადანაწილება, არსებითად, უკვე მომხდარი იყო, პოტსდამის კონფერენციამ დაასკვნა, რომ პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთში დარჩენილი გერმანელები ექვემდებარებიან „ორგანიზებულ და ჰუმანურ" გასახლებას გერმანიაში.

მაგრამ, სინამდვილეში, აღმოსავლეთ ევროპიდან გერმანელების გასახლება მოწყვეტილი აღმოჩნდა როგორც ჰუმანურობას, ისე ორგანიზებულობას. შეფასებები განსხვავდება, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, დეპორტირებულია 3,5-დან 9 მილიონამდე გერმანელი. ათიათასობით კაცი დაიხოცა შიმშილით, ავადმყოფობითა და ძალადობით, როდესაც ფაშისტური აგრესიის ყოფილ მსხვერპლთ მიეცათ შურისძიების შესაძლებლობა.

ნორმან ნოიმარკი, სტენფორდის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანი „რუსები გერმანიაში" წიგნის ავტორი, ამბობს, რომ შეიძლება გაავლო პარალელი ომისშემდგომ ევროპაში გერმანელთა დეპორტაციასა და ბოსნია-ჰერცეგოვინის ამასწინანდელ მოვლენებს შორის.

„ზოგიერთებმა შეიძლება ასეთი ანალოგია უმართებულოდ მიიჩნიონ, და თქვან, რომ გერმანელებზე ახია ყველაფერი, — ამბობს იგი, — რომ ეთნიკურ წმენდას აქვს გარკვეული ზნეობრივი მახასიათებლები. ისინი (გერმანელები) საზიზღრად ექცეოდნენ პოლონელებს, სწორედ ამიტომ გაყარესო პოლონელებმა. მაგრამ ეს იგივეა — წაართვა მიწა-წყალი ადამიანებს, რომლებსაც ეს მიწა-წყალი ეკუთვნის".

1950 წელს აღმოსავლეთ გერმანიამ ვარშავას ხელი მოუწერა ხელშეკრულებაზე, რომელშიც ცნობდა ოდერ-ნოისეს ხაზს თავის მუდმივ აღმოსავლეთის საზღვრად პოლონეთთან. მაგრამ დასავლეთი გერმანია თავისი აღმოსავლელი მეტოქის მოქმედებას ეჭვის თვალით უყურებდა და ამ ხაზს უწოდებდა დროებით ადმინისტრაციულ საზღვარს. ხოლო 1970 წელს, როდესაც დასავლეთი გერმანია ისწრაფოდა, გაეუმჯობესებინა ურთიერთობა აღმოსავლეთის ბლოკთან, ბონის მთავრობამ ხელი მოაწერა შეთანხმებებს, რომლებიც ოდერ-ნოისეს ხაზს პოლონეთის კანონიერ და ურღვევ საზღვრად აღიარებდა. 1991 წელს გაერთიანებულმა გერმანიამ დაადასტურა, რომ ცნობს პოლონეთთან საზღვარს.

მაგრამ, მას შემდეგ გერმანელთა დეპორტაცია ბევრს არ აძლევს მოსვენებას თვით გერმანიაში. ჩეხოსლოვაკიიდან განდევნილი ეგრეთ წოდებული სუდეტელი გერმანელების წარმომადგენელი ჯგუფები კვლავ გავლენიანნი არიან გერმანულ პოლიტიკაში. ხოლო გერმანიისა და ჩეხეთის ურთიერთობა ბოლო დროს დაიძაბა გერმანელებისათვის ჩამორთმეული საკუთრებისა და მიწის ნაკვეთების კომპენსაციასთან დაკავშირებული პრობლემების გამო.

ჰერბერტ ჰუპკას, გერმანელ დევნილთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს წლების მანძილზე თათხავდნენ პოლონეთის კომუნისტურ პრესაში, როგორც ისტორიულ რევიზიონისტს, რომელსაც სურს, წაართვას პოლონეთს დასავლეთის ტერიტორიები. ჰუპკამ აღიარა, რომ მატერიალური კომპენსაცია შეუძლებელია. მაგრამ დასძინა, რომ წარსულის უგულებელყოფა არ შეიძლება.

„ისევე, როგორც პოლონელებს აქვთ უფლება, ილაპარაკონ ჩვენს წინანდელ პრობლემებზე, ჩვენცა გვაქვს უფლება, ვილაპარაკოთ იმაზე, რაც ვნებს ჩვენს ინტერესებს, — თქვა მან 1996 წელს პოლონური ჟურნალისათვის მიცემულ ინტერვიუში. — 1989-1990 წლებში მომხდარი მოვლენების შედეგად ჩვენ შეგვიძლია ნორმალურად ვისაუბროთ და გავუზიაროთ ერთმანეთს განსხვავებული თვალსაზრისი. დარწმუნებული ვარ, რომ პოლონეთსა და გერმანიას ექნებათ კარგი, მეგობრული ურთიერთობა, ოღონდ ამას დრო დასჭირდება.



## ცენტრდაზვერვის დაბადება

### „ჯენტლმენები სხვის წერილებს არ კითხულობენ"

**ლეგენდის მიხედვით, ამ სიტყვებით დახურა აშშ სახელმწიფო მდივანმა ჰენრი სტიმსონმა 1929 წელს სადაზვერვო ოპერაცია, რომლის წყალობითაც გამოაშკარავდა მრავალი ქვეყნის საშიფრაო კოდები. ეს სიტყვები, სტიმსონს რომ მიაწერენ, გამოხატავენ დამოკიდებულებას ჯაშუშობისადმი, რომელიც იმ დროს — მეორე მსოფლიო ომამდე — სჭარბობდა ამერიკის საზოგადოებაში.**

1941 წლის დეკემბერში იაპონიის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს ამერიკის პირლ-ჰარბორის სამხედრო-საზღვაო ბაზაზე — მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელებს აფრთხილებდნენ, იაპონიის ავიამზიდები ჰავაის კუნძულებისაკენ მოემურებიანო. ამ იერიშმა ამერიკა ჩაითრია ომში — და დარჩა იმის მტკივნეულ მოსაგონებლად, თუ რა შეიძლება მოუვიდეს ერს, რომელიც ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს სადაზვერვო საქმიანობას.

ომამდელ წლებში მთელი საჯაშუშო საქმიანობა შეერთებულ შტატებში ხორციელდებოდა ფედერალური გამოძიების ბიუროსა და არმიის ძალებით. მაგრამ მეორე მსოფლიო ომმა ცხადი გახადა ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის აუცილებლობა.

1942 წელს პრეზიდენტ რუზველტის ბრძანებით ჩამოყალიბდა სტრატეგიული სამსახურის სამმართველო (სსს), რომელიც პასუხს აგებდა სადაზვერვო და საიდუმლო ოპერაციებისათვის. სსს-ის 13 ათასმა აგენტმა, რომლებსაც სათავეში ედგა უილიამ დონოვანი, მეტსახელად — „ველური ბილი", მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მთელი მსოფლიოს მასშტაბით ფაშიზმზე გამარჯვებაში. მაგრამ ომის ბოლოს პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა დაითხოვა სსს, რადგან ეშინოდა, არ წარმოშობილიყო „ამერიკული გესტაპო" — სადაზვერვო ორგანიზაცია, რომელსაც შეიძლებოდა, თავისივე საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ ემოქმედა.

ცივი ომის დაწყებამ და ევროპაში საბჭოთა კავშირის ყოფნის გაძლიერებამ აიძულა ტრუმენი, შეეცვალა გადაწყვეტილება. მოგვიანებით, იგი თავის ერთ-ერთ თანაშემწეს უამბობდა: „როდესაც უეცრად პრეზიდენტი გავხდი, აღმოჩნდა, რომ, თურმე, არაფერი ვიცი იმაზე, თუ რა მეთოდებით ყალიბდებოდა პოლიტიკა ჩემამდე. ინფორმაცია შემოდიოდა ორასი სხვადასხვა წყაროსაგან, და არავის არ შეეძლო,




მოეტანა იგი ჩემთან შეკუმშული და მოსახერხებელი ფორმით".

შეერთებულმა შტატებმა თავისი თავდაცვითი სიმძლავრეები გარდაქმნა 1947 წელს, როდესაც მიიღო ეროვნული უშიშროების აქტი, რომლის თანახმადაც ჩამოყალიბდა თავდაცვის სამინისტრო, ეროვნული უსაფრთხოების საბჭო (**ეუს**) და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო (**ცენტრდაზვერვა**).

ცენტრდაზვერვა აღმოჩნდა ეუს-ის კონტროლქვეშ, რომელიც, თავის მხრივ, რეკომენდაციებს აძლევდა პრეზიდენტს. ეროვნული უშიშროების აქტის თანახმად, ცენტრდაზვერვა ვალდებული იყო, მიეწოდებინა ეუს-სათვის ინფორმაცია და მიეცა რეკომენდაციები „სადაზვერვო საქმიანობის ისეთ სახეობებთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომელსაც კავშირი ჰქონდა ეროვნულ უშიშროებასთან". აშშ კონტრსადაზვერვო საქმიანობა ფედერალური გამოძიების ბიუროს ხელში რჩებოდა. აქტი აღნიშნავდა, რომ ცენტრდაზვერვას არ ეყოლება საკუთარი „პოლიცია, არ ექნება სასამართლოში მიცემის უფლება, სამართალდაცვითი რწმუნებები და ფუნქციები, რომლებიც შინაგან უშიშროებასთან არის დაკავშირებული".

სამმართველოს შექმნის მომენტიდანვე ამერიკის მთავრობაში გაჩაღდა ცხარე დისკუსია იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ცენტრდაზვერვის როლი — მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვითი, თუ აგრეთვე შეტევითი? ცენტრდაზვერვის პირველმა დირექტორმა როსკო ჰილენკეტერმა დააყენა საკითხი, აქვს თუ არა მის კანტორას უფლება, მონაწილეობდეს საიდუმლო ოპერაციებში.

პრობლემის იურიდიული ასპექტების განხილვის შემდეგ, ტრუმენისა და კონგრესის მხარდაჭერით, ცენტრდაზვერვამ დაიწყო თავისი საიდუმლო საქმიანობა. ყველა ასეთი ოპერაცია, ეროვნული უშიშროების საბჭოს დირექტივის თანახმად, მიზნად ისახავდა, „აღკვეთა საბჭოთა ან პროსაბჭოური ძალების მოქმედება, რომელიც საფრთხეს უქადდა მთელ მსოფლიოს მშვიდობას, ან მიმართული იყო შეერთებული შტატების მიზნებისა და საქმიანობის დისკრედიტაციისა და ძირგამოთხრისათვის".

„ფარული ოპერაციები მაშინვე დაიწყო, — ამბობს პროფესორი **მელვინ გუდმენი**, ვაშინგტონის ეროვნული სამხედრო კოლეჯის საერთაშორისო უშიშროების პრობლემათა სპეციალისტი, ცენტრდაზვერვის ყოფილი ანალიტიკოს-სოვეტოლოგი. მე არა მგონია, რომ ეს შედიოდა ჩანაფიქრში, მაგრამ ჩვენი მოქმედების მასშტაბი სულ უფრო იზრდებოდა დროთა განმავლობაში, რაც უფრო მეტად ვიცნობიერებდით საბჭოთა კავშირის საფრთხის სერიოზულობას და მისი გამკლავების საჭიროებას".

გუდმენი აღნიშნავს, აგრეთვე, საიდუმლო ოპერაციების შედარებითს ეკონომიურობას. „ტრუმენს სურდა, გაეკონტროლებინა ფედერალური ბიუჯეტი. იგი საიდუმლო ოპერაციებს მიიჩნევდა ნაკლებად რისკიანად და ნაკლებად ძვირადღირებულად — და ამდენად, უფრო მოსახერხებლად".

ნორმან პოლმარისა და თომას ალენის „ჯაშუშის წიგნი — ჯაშუშობის ენციკლოპედიის" თანახმად, ცენტრდაზვერვამ სულ მალე შეიმუშავა მსგავსი ოპერაციების ზუსტი მექანიკა.

„ეუს-ს შეეძლო, მოეცა ამგვარი მოქმედების რეკომენდაცია, როდესაც მიაჩნდა, რომ აშშ საგარეო პოლიტიკის გარკვეული მიზანი მიუღწეველი დარჩება მარტოოდენ დიპლომატიური ძალისხმევის მეშვეობით, მაშინ, როდესაც სამხედრო ჩარევა მეტისმეტად საშიში ან მეტისმეტად გამომწვევი იქნებოდა". პრეზიდენტის ადმინისტრაცია ითხოვდა ცენტრდაზვერვის ხელმძღვანელობას, ისე წარემართა აქცია, რომ აშშ მთავრობას შეძლებოდა, საჭიროების შემთხვევაში დამაჯერებლად უარეყო თავისი მონაწილეობა.

1948 წელს ქრისტიანმა დემოკრატებმა მოიგეს ეროვნული არჩევნები იტალიაში. მათი გამარჯვება გახდა პირველი დიდი წინგადადგმული ნაბიჯი ცეტრდაზვერვისათვის, რომელიც დირიჟორობდა საიდუმლო ოპერაციებს იტალიაში, რათა ელექტორატს ზურგი შეექცია კომუნისტი კანდიდატებისათვის. მაგრამ ამ პირვანდელ წარმატებას მოჰყვა რამდენიმე დასანანი მარცხი, სანამ ცენტრდაზვერვა ცდილობდა, გაჯიბრებოდა განვითარებულ და კარგად აწყობილ საბჭოურ საჯაშუშო ქსელს, ბრძოლა რამდენიმე ათეულ წელიწადს გრძელდებოდა.

ცენტრდაზვერვის საიდუმლო ოპერაციები, ამბობს გუდმენი, „თავიდან ისე წარიმართა, რომ ყველამ აღიქვა სწრაფ წარმატებად — 1953 წელი ირანში და 1954 წელი გვატემალაში, — მერე კი ამას მოჰყვა სამარცხვინო კუბური დამარცხება ღორების ყურეში".

**(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ)**

* — კატინის ტრაგედიის შესახებ „სრ"-ში ამ ერთი თვის წინ დაიბეჭდა ვრცელი მასალა, ამიტომ ცივი ომების ისტორიას ვიწყებთ „ორმოციანი წლების ეთნიკური წმენდის" ეპიზოდებით.

## ᲙᲐᲜᲝᲜᲞᲠᲝᲔᲥᲢᲖᲔ ᲐᲖᲠᲗᲐ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐᲝᲑᲐᲐ



**ვლადიმერ პუტინი მზად არის, გადასინჯოს იმ კანონპროექტების პაკეტი, რომლებიც შეიტანა ხელისუფლების ვერტიკალის გასაძლიერებლად. ამ აღიარებით გამოვიდა პრეზიდენტი ხუთშაბათს, როდესაც გუბერნატორებს წარუდგინა სრულუფლებიანი წარმომადგენელი ურალის ფედერალურ ოლქში. წინა დღით კი განაცხადა, რომ განზრახული აქვს, ჩამოაყალიბოს ფედერაციის საბჭო იმისდა მიხედვით, თუ რა წვლილი შეაქვს რეგიონს ქვეყნის ბიუჯეტში.**

ამჯერად, მორიგი გენერალ-გუბერნატორის — პეტრე ლატიშევის წარდგენისას ურალის ფედერალურ ოლქში შემავალი ტერიტორიების მეთაურებისათვის, პრეზიდენტმა ძირითადი ყურადღება დაუთმო არა თავისი შეხედულებების განვითარებას, არამედ უკვე წინათ ნათქვამის კორექტირებას. პუტინმა განაცხადა, რომ პრინციპულად მზად არის, განიხილოს თავისი კანონპროექტების პაკეტის ნებისმიერი შესწორება, „რათა იგი გამოირჩეოდეს უფრო ზუსტი ხასიათით, იყოს დახვეწილი, და შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეცვლილიც". მას არ დაუზუსტებია, სახელდობრ, რა მასშტაბისა იქნება ეს ცვლილებები, მაგრამ თვით ასეთი დათმობის ფაქტმა არ შეიძლება არ დაგვაფიქროს. აკი ამ დოკუმენტებზე მუშაობდნენ კრემლის საუკეთესო იურისტები და მუშაობდნენ საკმაოდ დიდხანს. ანუ, ან იურისტები არიან გამოსაცვლელი, ანდა ისინი, ვინც მათ დავალებებს აძლევს. ნებისმიერ შემთხვევაში ახალი პრეზიდენტის წარმოდგენები მოქმედი კონსტიტუციის შესახებ ვერ არის მთლად სრულყოფილი. იგი ჯერ უარს ამბობს კონსტიტუციაში პრინციპულ ცვლილებათა შეტანაზე და ყოველნაირად უსვამს ხაზს, რომ მისი წინადადება სულაც არ ისახავს მიზნად სახელმწიფოს ფედერალური მოწყობის ახლანდელი პრინციპების შეცვლას. მერე კი აქვეყნებს სრულიად არაკონსტიტუციურ იდეებს. მათგან სულ ბოლოა — წინადადება, აირჩიოს ფედერაციის საბჭოს ფორმირების სრულიად ახალი გზა იმისდა მიხედვით, თუ რა წვლილი შეაქვს ცალკეულ რეგიონს ქვეყნის საერთო ბიუჯეტში. ასეთი ნაბიჯის მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტა ძალზე ძნელია (იდეის გამოქვეყნებამ საგონებელში ჩააგდო პრეზიდენტის თანაშემწენი). ერთი რამ ცხადია, — პრეზიდენტი ცდილობს, ამრიგად განხეთქილება ჩამოაგდოს გუბერნატორთა შეკრულ რიგებში, რომლებიც თანდათან ერთიანდებიან პუტინის ინიციატივების პრინციპულ მოწინააღმდეგეთა გარშემო, ამას კი შეიძლება სრულიად საპირისპირო შედეგი მოჰყვეს. უფრო მეტიც, ნებისმიერ გუბერნატორს შეუძლია თუნდაც ხვალვე შეიტანოს პუტინზე სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში — ფედერაციის სუბიექტების თანასწორობის პრინციპი ქვაკუთხედია ახლანდელი კონსტიტუციისა, რომელიც, სხვათა შორის, ხალხმა რეფერენდუმზე მიიღო.

როგორია თვით რეგიონული ლიდერების პირველი რეაქცია ახალ საპრეზიდენტო ინიციატივებზე? ბუნებრივია, მათ აღტაცება არ გამოუთქვამთ. და ეს მარტო აუშევის თუ ტულეევის მსგავს „ოპოზიციონერებზე" კი არ ითქმის. საგონებელშია ჩავარდნილი თვით მოსკოვის მერი იური ლუჟკოვიც, რომელიც ბოლო დროს კრემლის მიმართ საოცარ ლოიალობას იჩენს, „საგულდაგულოდ უნდა განვიხილოთ ამ იდეის კონსტიტუციურობაო". თათრეთის სახელმწიფო საბჭოს მეთაური ფარიდ მუხამეტშინი კი ისეა გულმოსული, რომ მალე შეიძლება, სასამართლო სარჩელი დაწეროს: „ფედერაციის საბჭოში წარმომადგენლობა თავიდანვე ითვალისწინებს რეგიონების პოლიტიკურ თანასწორუფლებიანობას და წონასწორობას, აგრეთვე, თანაბარ შესაძლებლობებს მათთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას მოჰყვება ურთიერთობათა დისბალანსი და მდიდარი რეგიონების დიქტატი ნაკლებად მდიდრებთან შედარებით". და ამას აცხადებს მდიდარი თათრეთის წარმომადგენელი, ასე ფიქრობენ ბევრნი. თვით ერთ-ერთი ყველაზე ლოიალური გუბერნატორი, სარატოვის თავკაცი დიმიტრი აიაცკოვი დარწმუნებულია, რომ „ეს არ არის ყველაზე დემოკრატიული პრინციპი. სად იქნება ამ შემთხვევაში სუბიექტების თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპი? არ არის საჭირო გაცხარება, მაგრამ ეს იდეა საერთოდ არასწორად მიმაჩნია".

რა არის ეს? მეთქმულება? ალბათ, გუბერნატორები უბრალოდ კარგად ერკვევიან თითოეული რეგიონის ეკონომიკურ შესაძლებლობათა რეალურ სიტუაციაში... სარწმუნო ეკონომიკური ანალიზის თანახმად, რუსეთის 89 რეგიონიდან მხოლოდ 13-ს შეუძლია დამოუკიდებლად ირჩინოს თავი. დანარჩენები კი სხვისი შემყურენი უნდა იყვნენ. და არა იმიტომ, რომ არ სურთ ან არ იციან მუშაობა: რას იზამ, ყველა სუბიექტს ხომ არ ექნება ერთნაირი ბუნებრივი და ადამიანური პოტენციალი. ანუ, რა პრობლემაა თვითუზრუნველყოფა, როდესაც ხანტი-მანსის ნავთობის ბუდობზე ზიხარ, მაგრამ აბა, გაახერხე რამე ისეთივე კლიმატურ პირობებში, ოღონდ უნავთობოდ და უგაზოდ, გამოგვივა რამე?

და, ბოლოს, იქნებ, სწორი არიან აუშევი და ტულეევი და არცა ღირს, გაუწიო ანგარიში პუტინის ნათქვამს, მით უმეტეს, რომ იგი ასეთი დამყოლია ზეწოლის დროს და მზად არის, შეურიგდეს ნებისმიერ დათმობას, თუნდაც მისთვის ყველაზე პრინციპულ საკითხებში, წერს დასასრულ ეკატერინე ობოლენსკაია გუშინდელ „**Gazeta.ru**"-ში.




## ბოროტმოქმედი უვნებელყვეს

**ლუქსემბურგის** პოლიციამ დაადასტურა, რომ ბოროტმოქმედი, რომელმაც მძევლად აიყვანა ბავშვები და მათი აღმზრდელები საბავშვო ბაღში, უვნებელყვეს ტელეკამერად შენიღბული პისტოლეტის მეშვეობით. მას ტელეინტერვიუს შეჰპირდნენ, შენობიდან გამოიტყუეს და როცა გამოდიოდა, თავში ესროლეს. ამის შემდეგ პოლიცია შენობაში შეიჭრა და მძევლები გაათავისუფლა. ყველა უვნებლად გადარჩა. მძიმედ დაჭრილი დამნაშავე საავადმყოფოში გაგზავნეს.

* უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით გვერდს უძღვებიან

***ᲐᲠᲩᲘᲚ ᲛᲐᲜᲯᲒᲐᲚᲐᲫᲔ. ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲝᲭᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ.***


## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

სს „ᲙᲣᲚᲢᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ" გაცნობებთ, რომ 2000 წლის 23 ივნისს 16 საათზე ქ. თბილისში ქ. შარტავას 32-ში, 2-ე სად. ბ. №19 ჩატარდება აქციონერთა საერთო კრება.

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ:

1. გასული 1999 წელს გაწეული სამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობის ანგარიში.
2. სს „კულტსამეურნეო საქონლის" გარდაქმნა. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად.
3. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები

კრების სააღრიცხვო დღედ დადგენილია 2000 წლის 15 ივნისი.

აქციებზე საკუთრებით დამადასტურებელი რეესტრის ამონაწერის წარმოდგენა სავალდებულოა.

ტელ. 38-18-74; 94-27-66; 37-69-13.

ᲓᲘᲠᲔᲥᲪᲘᲐ.



## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

სს „ᲚᲛᲛᲛ" თავის აქციონერებს, მათ შორის ყოფილი სს „ხაბაზის" აქციონერებს აცნობებს, რომ 2000 წლის 27 ივნისს 16 სთ-ზე ჩატარდება აქციონერთა საერთო კრება შემდეგ მისამართზე:

ქ. რუსთავი, ლომოურის ქ. №6. ყოფილი პურკომბინატის შენობა.

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ:

1. გასული 1999 წლის სამეურნეო წლის ანგარიში და მისი დამტკიცება,
2. ცვლილებები სამეთვალყურეო საბჭოში.
3. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, მისი შემცირება შესატანის უკან დაბრუნების გზით.

ტელ: 38-18-74; 37-69-13

კრების სააღრიცხვო დღედ დადგენილია 26 ივნისი დილის 10-დან 17 სთ-მდე მითითებულ მისამართზე.

სს „ᲚᲛᲛᲛ"-ს ᲓᲘᲠᲔᲥᲪᲘᲐ.




## კლინტონს ერთიანი ევროპისათვის აჯილდოებენ

**აშშ პრეზიდენტი კლინტონი განაგრძობს ოფიციალურ ვიზიტს გერმანიაში. გუშინ ქალაქ ააჰენში გამართულ ცერემონიაზე მას გადაეცა კარლოს დიდის პრიზი.** ამ პრიზის მინიჭება ხდება ევროპის მშვიდობისა და ერთიანობის მიღწევაში დამსახურებისათვის. ააჰენში კლინტონმა წარმოთქვა სიტყვა საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, სადაც ილაპარაკა ბალკანეთისა და რუსეთზე. აქედან ამერიკის პრეზიდენტი მოსკოვს მიემგზავრება, სადაც შაბათს შეხვდება ვლადიმერ პუტინს. კლინტონმა და გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შრედერმა წინადღით გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადეს, რომ საჭიროა, ლაუჭირონ მხარი პუტინს ევროპასა და მთელ მსოფლიოში უსაფრთხოების და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.


შპს „ᲞᲔᲢᲙᲝ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲘᲨᲔᲜᲐᲚ ᲝᲘᲚ ᲙᲝ" აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ გამოგვეხმაუროთ შემდეგ მისამართზე. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲐᲑᲐᲜᲝᲡ ქ. №3. ტ. 75-55-57.


## ზედმეტი ოპტიმიზმი საჭირო არ არის

**აშშ სახელმწიფო მდივნის მოადგილემ სტროუბ ტელბოტმა, რომელიც მოსკოვს ჩავიდა პრეზიდენტ კლინტონის ვიზიტის წინ, ჟურნალისტებს აგრძნობინა, რომ პუტინისა და კლინტონის შეხვედრა შეიძლება არც გახდეს გარკვეული წინგადადგმული ნაბიჯი სახელმწიფოთა ურთიერთობის გზაზე.** ექსპერტების აზრით, რუსეთი წინააღმდეგი იქნება ბალისტიკური რაკეტების განადგურების საშუალებათა ხელშეკრულებისა. მოსკოვი აგრეთვე ილაშქრებს შეიარაღებისადმი კონტროლის ხელშეკრულებაში იმ ცვლილებათა შეტანის წინააღმდეგ, რომლებიც ამერიკელებს შეაქმნევინებდა ახალი სახეობის რაკეტსაწინაღო იარაღს.

## ლაზარენკოს ახალი ბრალდებები

**უკრაინის ყოფილ პრემიერ-მინისტრს პაველ ლაზარენკოს ახალ ბრალდებებს უყენებენ. შარშან იგი უკრაინიდან გაიქცა მას შემდეგ, რაც ორი მილიონი დოლარის მითვისება დააბრალეს.**



ახლა სან-ფრანცისკოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ლაზარენკოს ბრალად დასდო შეთქმულება და იმ ას მილიონ დოლარზე მეტი თანხის წმენდა, რომლებიც თავად აილო პრემიერ-მინისტრობის დროს. ლაზარენკო აშშ-ში გამოძიების ქვეშ იმყოფება და ელოდება თავისი საქმის მოსმენას, რომელიც ეხება შვეიცარიისათვის მის გადაცემას, აგრეთვე ფულის წმენდას. პაველ ლაზარენკო ყველა ბრალდებას უარყოფს და ამტკიცებს, რომ პოლიტიკური ოპონენტების შურისძიების მსხვერპლი გახდა. ლაზარენკომ უკვე ითხოვა შეერთებულ შტატებში პოლიტიკური თავშესაფარი.

## ალბომი

## ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ქართული დივიზიის მებრძოლთა ერთი ჯგუფი. დგანან: ირაკლი სულაქველიძე, ოზიგავა, ცხადაძე, გოჩიაშვილი, მიხო ხაჩიძე.
სურათი გადაღებულია 1941 წლის ოქტომბერში.
სურათი მოგვაწოდა ომარ სალუქვაძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

*მკითხველებს, ვისი მოწოდებული ფოტოები დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში, ვთხოვთ, მოაკითხონ დედნებს.*

## ფესტივალი

# ქართულ ესტრადას მიაგებენ პატივს

გუშინ მუსიკალურ სანახაობათა ცენტრმა „ბერიკონმა" ფესტივალ „ზაფხულის ფეიერვერკი 2000"-ის დაჯილდოების ცერემონიალს უმასპინძლა.

– ფესტივალის გამართვის სურვილი კარგა ხანია გვქონდა გაჩენილი, – ამბობენ მისი ორგანიზატორები, თსუ დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტები ნინო ორდენიძე და გიორგი ბროძელი (თედო ნიკოლაიშვილის ფოტოზე სწორედ ეს ახალგაზრდები არიან აღბეჭდილი), – და დღეს ნამდვილად გვიხარია, რომ ჩვენი იდეა ლამაზად განხორციელდა. გვსურდა, რომ კიდევ ერთხელ გამოგვეხატა ჩვენც და ჩვენი თაობის სხვა წარმომადგენლებსაც, – დამოკიდებულება ქართული ესტრადის, ქართველ საესტრადო მუსიკოსთა მიმართ და რამდენად მივაღწიეთ მიზანს, ხალხმა განსაჯოს.



დიახ, ამ ახალგაზრდების სურვილი ჩვენი საესტრადო მუსიკოსების მოფერება გახლდათ. ამ მიზნით მათ ჩაატარეს სოციოლოგიური გამოკითხვა, რომლის რესპონდენტები სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების აღსაზრდელნი ყოფილან და მიღებული პასუხების შესაბამისად „ზაფხულის ფეიერვერკი – 2000"-ის გამარჯვებულებიც გამოვლინდნენ. აღსანიშნავია, რომ ქართულ ესტრადასთან მათი კონტაქტი ამით არ დაწყებულა – არაერთი მუსიკოსისათვის გაუმართავთ შემოქმედებითი საღამოები, შეხვედრები და ცხადია, არც ამ ფესტივალით მთავრდება (თუმცა, ამაზე ოდნავ მოგვიანებით მოგახსენებთ).

ახლა კი გამარჯვებულებს მივუბრუნდეთ – ბევრი მათგანის შემოქმედებას კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოებრიობა და პატივსაც მიაგებს, ზოგიერთი კი, ახლა დგამს პირველ ნაბიჯებს ესტრადაზე, თუმცა, დამაჯერებელს, რასაც ის ნომინაციებიც ცხადყოფს, რომლებშიც სწორედ მათ ხვდათ წილად წარმატება. ფესტივალის გრან-პრის მფლობელი გახდა **მერაბ სეფაშვილი**, სხვადასხვა ნომინაციებში გაიმარჯვეს და საუკეთესოთა მორის საუკეთესონი აღმოჩნდნენ **დათო გომართელი** (თანამედროვე სიმღერის საუკეთესო შემსრულებელი), **ლელა წურწუმია და თემურ თათარაშვილი** – საუკეთესო მომღერალი ქალი და მამაკაცი, თუმცა, თემური რუსული სიმღერის საუკეთესო შემსრულებლადაც დასახელდა, ლელას და **ზურაბ დოიჯაშვილის** დუეტმა კი, დუეტების ნომინაციაში იმარჯვა. საუკეთესო შოუდ აღიარეს **„უცნობის"** პროგრამა. გამარჯვებულთა მორის არიან, აგრეთვე, **მამუკა ჩარკვიანი, ნუკრი კაპანაძე, ალეკო კვამალი, ეკა კვალიაშვილი, მაია ბარათაშვილი, ქეთი ფარესაშვილი, დათო ხუჯაძე, აჩიკო მეფარიძე, ანსამბლი „ქუჩის ბიჭები" თსუ კვარტეტი.** გაიმარჯვა **მარიკა ჭელიძე** (სიმღერით „ჩემს სიმღერას ვინ გაიგებს"), რომელიც იმავდროულად ფესტივალის აღმოჩენადაც იქცა. საუკეთესოთა შორის დასახელდნენ სიმღერათა ავტორები – **ნოდარ ნიკოლაიშვილი** (დუეტისთვის „ისევ მოვედი შენთან") და **რუსუდან მორჩილაძე** (სიმღერისათვის „მითხარი"). მსმენელის სიმპათიის პრიზი წილად ხვდა **ცისანა სეფიაშვილს.** წლის აღმოჩენად იქცა დუეტი **„ირინა და თეონა".** წლის საუკეთესო იდეის ავტორად მიჩნეულია თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი **დავით ოქიტაშვილი.** მართლაც, დიდი საკონცერტო დარბაზის წინ ვარსკვლავთა მოედნის შექმნის იდეა, ლამაზი ჩანაფიქრია, რომლის განხორციელების პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა დიდი ნინო რამიშვილის ვარსკვლავის დამონტაჟებით.

გამარჯვებულთა ჭეშმარიტად ლამაზი, გულთბილი დაჯილდოების საღამო კარგა ხანს ემახსოვრებათ მის სტუმრებს.

ზემოთ აღვნიშნე, რომ ორგანიზატორებმა პირველად გამართეს „ზაფხულის ფეიერვერკი-2000" და ამით როდი მთავრდება მათი ჩანაფიქრი, მათი სურვილია, რომ ეს ფესტივალი იქცეს ყოველწლიურ ღონისძიებად და ტრადიციად დამკვიდრდეს. მართლაც კარგი იქნება!

**ზურაბ ოიკაშვილი.**

## ხსოვნა

### ავთანდილ თვალჭრელიძე



დიდი სამამულო ომის და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ოფიცერთა კორპუსის ვეტერანებს გამოაკლდათ კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი **ავთანდილ თვალჭრელიძე.** იგი დაიბადა 1924 წელს თბილისში და თავისი შრომითი მოღვაწეობა 16 წლის ასაკიდან დაიწყო თბილისის ვაგონშემკეთებელი ქარხნის ელექტრომემდუღებლად. დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდან გაიწვიეს ჯარში და იბრძოდა მეორე უკრაინის ფრონტზე. ომის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა რა ჯარიდან, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1952 წელს მიიწვიეს ყოფილი საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში, სადაც სხვადასხვა საპასუხისმგებლო უბნებზე თავი გამოიჩინა, როგორც მაღალი კვალიფიკაციის ოპერატიულმა თანამშრომელმა. ამავე პერიოდში მან დაამთავრა სახელმწიფო უშიშროების უმაღლესი სასწავლებელი. პენსიაში გასვლის შემდგომ სიცოცხლის ბოლო დღემდე იგი მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის კადრების და სპეციალურ სამუშაოთა განყოფილების უფროსად. ამ სამსახურში მან დაიმსახურა მაღალი შეფასება, რასაც მოწმობს მის მიერ მოპოვებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი. ავთანდილ თვალჭრელიძე იყო კავალერი მრავალი სამთავრობო ჯილდოსი და მათ შორის საპატიო ნიშნის ორდენის, სამამულო ომის ორდენის და მრავალი მედლის, ასევე საპატიო სიგელების.

ბატონი ავთანდილი გამოირჩეოდა თავმდაბლობით და გულისხმიერებით. იყო ოჯახის და ნათესავების, მეგობრების და თანამებრძოლების მოყვარული, მათი ერთგული, მათი პატივისმცემელი. იყო გულკეთილი და მაღალი მორალური თვისებების მქონე პიროვნება. კიდევ დიდხანს იქნება მისი სახელი დაუვიწყარი მათთვის ვინც მას იცნობდა და ურთიერთობა ჰქონდა მასთან.

**საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ვეტერანთა საბჭო.**

### ზაურ გოგრიჭიანი



წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი, კეთილშობილი, დამსახურებული, ოჯახზე და საზოგადოებაზე უზომოდ შეყვარებული კაცი, თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი **ზაურ გოგრიჭიანი.**

ამბობენ, ადამიანები არ კვდებიანო, ისინი ჩვენში რჩებიან საქმით, კაცობით, ფიქრებით და ოცნებებითო... სწორედ ასე დარჩება ჩვენს ხსოვნაში, როგორც თბილზე თბილი, კაცი თხემით ტერფამდე კეთილი, აღზრდითა და სულიერი წყობით ძალზე გამორჩენილი და წარმოჩენილი.

ზაურ გოგრიჭიანი დაიბადა 1937 წელს საქართველოს ერთ-ერთ გამორჩეულ სოფელ ღებში. საშუალო სკოლა ალიგენის რაიონში დაამთავრა. უმაღლესი იურიდიული განათლების მიღების შემდეგ 1961 წლიდან 1993 წლამდე მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში: 1972 წლამდე სამინისტროს აპარატში, 1972-84 წლებში ონის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსია, ხოლო 1984-92 წლებში კი ამბროლაურის შინაგან საქმეთა განყოფილებას ედგა სათავეში. შინაგან საქმეთა ორგანოებში ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისთვის დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მთავრობის ჯილდოებით.

იგი გამოირჩეოდა მეტად მაღალი პროფესიონალიზმით, პასუხისმგებლობისა და წესრიგის გრძნობა რაღაც საოცრად ჰქონდა განვითარებული, მეორედ შეხსენება არასოდეს არაფერზე სჭირდებოდა. მომთხოვნი, მაგრამ ერთობ სამართლიანი ხელმძღვანელი იყო, ყველაზე მეტად პიროვნებაში კეთილშობილებას აფასებდა და ხშირად უთქვამს ხოლმე, რომ კარგ კაცს კარგ პროფესიონალად აქცევო, მაგრამ კარგ პროფესიონალს კარგ კაცად ვერ გარდაქმნიო...

მას ადამიანებზე ზეგავლენის, მათი ყურადღების მოქცევის დიდი უნარი ჰქონდა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ყველაზე და სწორედ მათ, ამ ადამიანებმა სიცოცხლეშივე აღიარეს ზაური დიდ, ერთობ საინტერესო და მნიშვნელოვან პიროვნებად, რომელიც მონდომებით და უტყუარი ალღოს წყალობით მინდობილ საქმეში ყველგან დიდ წარმატებებს აღწევდა.

ჩვენო ძვირფასო ზაურ, ამქვეყნიდან შენი წასვლა აუნაზღაურებელი დანაკლისია პირველ რიგში შენი შესანიშნავი ცოლ-შვილისათვის, სიგიჟემდე შეყვარებულ შვილიშვილებისათვის, შენზე გამორჩეულად მოსიყვარულე ძმისა და მისი ოჯახისათვის, ნათესავებისათვის, ღებელებისათვის, მეგობრებისათვის და მთლიან საზოგადოებისათვის.

შენი სახელი და ხსოვნა გამძლეზე გამძლეა... კურთხეულ იყავ აწ და მარადის.

**ონის რაიონის გამგეობა,
რაიონული საკრებულო,
მაჟორიტარი დეპუტატის სამსახური,
შინაგან საქმეთა განყოფილება.**

## ღიმილის დოზა



ლენინის-ბაბუის გასვენებაზე ბავშვები არ მიუყვანიათ: ძალიან ციოდა და მას შეეშინდა პატარები არ გაციებულიყვნენ.

* * *

რეალობა არის ილუზია, რომელიც გამოწვეულია ტვინში ალკოჰოლის ნაკლებობით.

* * *

კაცი ნაცნობ ადვოკატთან მივიდა:
– ცოლს უნდა გავეყარო.
– რა მოხდა?
– როგორ თუ რა! ყოველ დღე დაძრწის ლუდხანებში, ბარებში, რესტორნებში!
– ასე გალოთდა? ვერ დავიჯერებ!
– რის გალოთება! მე მეძებს!

* * *

ქმარი ცოლს ურეკავს:
– კონფერენციაზე ვარ. აქვე დავიძინებ!

## სპორტი

# სტუ შოკიდან გამოვიდა

კალათბურთელ ვაჟთა IX ეროვნული ჩემპიონატის „პლეი-ოფების" მეორე სათამაშო დღემ, პრაქტიკულად, გამოავლინა ერთი ფინალისტი. ესაა ბათუმის „ბასკო", რომელმაც გუშინაც მოუგო სდასუ-ს, ამჯერად შინ 85:71, სერიაში 2:0 დაწინაურდა და, ალბათ, არც დარჩენილ მატჩებში გაუჭირდება მესამე, გადამწყვეტი ქულის მოპოვება. დღეს მეტოქენი ისევ აჭარის დედაქალაქში შეხვდებიან ერთმანეთს.

მეორე წყვილში მდგომარეობა გაცილებით დაძაბულია. მას შემდეგ, რაც სტუ-მ გუშინ რუსთავში „აზოტს" სძლია 73:66, საერთო ანგარიში გათანაბრდა 1:1, რაც ძნელი სავარაუდო იყო ამ გუნდების პირველ დუელში ქვემოქართლელთა შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ. საპასუხო პაექრობაში ყველაზე შედეგიანად იასპარეზეს გოგობერიშვილმა („აზოტი") – 26 ქულა და თორთლაძემ (სტუ) – 20 ქულა. დღეს რუსთავში ეს დუეტი მესამე თამაშს გამართავს.



**გია პლატონიშვილი.**

ვაქირავებ სამოთახიან კომფორტულ ბინას ცხრასართულიანი სახლის მეხუთე სართულზე ავეჯით, ტელეფონით, თერმექსით. მისამართი: ბახტრიონის ქ. №9 (ბუკიას ბაღთან ახლოს). ტელ: 38-70-18, 38-98-32.

## ქველმოქმედება

# სითბო გულისა

თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე არსებულმა ბავშვთა ორგანიზაცია „იბერია-21"-მა ბავშვთა დაცვის დღე მიულოცა მიუსაფარ, ობოლ, მშობლების მზრუნველობას მოკლებულ პატარებს. საქველმოქმედო ორგანიზაცია „იბერია-21" 1996 წლიდან არსებობს, აქ აღრიცხვაზეა 420 ბავშვი და 120 მარტოხელა პენსიონერი. ორგანიზაციის თითოეული წევრი ცდილობს, პატარებს სიყვარული და სითბო არ მოაკლოს. „იბერია-21"-ს საგარეჯოს რაიონში 30 ჰექტარზე აქვს დათესილი მზესუმზირა, მოსავლიდან მიღებული პროდუქცია, ბავშვებსა და მოხუცებს მოხმარდება. მათ მიწის დამუშავებისას დიზელის საწვავით დაეხმარა რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე აკაკი ჩხაიძე. „იბერია-21"-ს აქვს კლინიკა საკუთარი ლაბორატორიით. სადაც უფასოდ ემსახურებიან აღრიცხვაზე მყოფ ყველა უპატრონო ბავშვსა და მარტოხელა მოხუცს.

„იბერია-21"-ის პრეზიდენტი ლია მარგიშვილი მთელი თავისი ოჯახით ქველმოქმედია. და არა მარტო იგი, ამ მხრივ ენთუზიაზმით იღვწიან ბიჭიკო მიჩიტაშვილი, მანანა ბერიაშვილი, ოთარ ხაინდრავა (ხონელი), ლალი ჩუკურიშვილი, ნოდარ იაგორაშვილი, თამარ მჭედლიშვილი, კახა მიჩიტაშვილი და სხვები.

1 ივნისს კი მორიგი საქველმოქმედო აქციის შემდეგ ამ აქციის მონაწილეებმა ბავშვებს დიდი სითბოთი და სიყვარულით გადასცეს კვების პროდუქტები. აღსანიშნავია ის, რომ იმ ნობათზე უფრო მნიშვნელოვანი მათ მიერ გაცემული სითბო და სიყვარული იყო.

ორგანიზაციის წევრები გაემგზავრნენ ნინოწმინდაში, გზად შეიარეს ერთ-ერთ ბავშვთა სახლში და ისინიც ისევე გაახარეს. როგორც ცნობილია, 1 ივნისს საეკლესიო კალენდრით წმინდა ნინოს შემოსვლის დღეა საქართველოში. წმინდა ნინოს ჯვარი იფარავდეთ ქველმოქმედთ და მათს საქომაგოს.

**ნანა აბესაძე.**

## დიდების ზღაპარი

# დღე პირველი, დღე უკანასკნელი

**„დიდების ზღაპარში" კვლავაც კინემატოგრაფი ზეობს. ამჯერად იხილავთ ფილმის „დღე პირველი, დღე უკანასკნელი"-ს პერიფრაზს „დიდების ზღაპრის" გმირების მონაწილეობით.**

– მიშიკო, მიშიკო, ადექი, მამა გენაცვალოს. დღეს შენი სამსახურის პირველი დღეა.

– ცოტაც ვიქნები რა, მამი, ცოტაც.

– რა ცოტაც, ძლივს სამსახური გიშოვე და პირველივე დღეს გინდა საყვედური მიიღო? ეცადე ძალიან ბევრი არ ილაპარაკო.

– ეგ გამიჭირდება, მამი.

ღვაწლმოსილი ფოსტალიონი კი, ამ დროს, მიუყვება ძველი თბილისის ქუჩებს და მღერის. ციხემდეც მიდის, პატიმრები ოვაციებით ეგებებიან მას, წერილებს აწვდიან:

– ვა, ელიჩკას გაუმარჯოს!

– ქურდებს სიცოცხლე!

– თვითონ ქურდებო და ბანდიტებო!

– ვა, შენა ხარ, შე ოხერო?!

მალე სამსახურში დაბრუნდება, იქ კი, ზოგიერთები ბჭობენ:

– ა, მობრძანებულა, აქეთ მოდის.

– ესე იგი, გადაწყვეტილია? კარგი იდეაა.

– გაცილება მაღალ დონეზე წარიმართება – მაყურებლები, კონცერტი, ბევრი ყვავილები, ჩვენ გამოსათხოვარ სიტყვას წავიკითხავთ. ყველაფერი მზად გვაქვს – ტრიბუნა, ყვავილები, პატიმრების თვითმოქმედი კოლექტივი ორი ნომრით გამოდის.

– საჩუქარი?

– იარაღს ვჩუქნით.

– ჭამოვა ვითომ ამ საქმიდან რამე?

– გადამრევს ეს კაცი. გაცილებას რომ მოვუწყობთ, გაწეული შრომისთვის მადლობას რომ ვეტყვით, საჩუქარს რომ გადავცემთ, ყველა რომ დაემშვიდობება, სხვა რა გზა ექნება?! წავა, აბა რა ჯანდაბას იზამს!

– შემცვლელი მოვიდა?

– აგერ მყავს. შემოდი ბიჭო!

– აბა შენ იცი, მიშიკო, დღეს შენი პირველი დღეა.

– ვეცდები.

– გაფრთხილებთ, – ბევრ ლაპარაკს თავი დაანებე, თუ არ გინდა რამე შარში გაეხვიო. ჩვენს სისტემაში რაც ნაკლებს ილაპარაკებ, მით წინ წახვალ.

– გამიჭირდება.

ამ ნაკლის გამოსასწორებლად სეანსების ჩატარებასაც ჰპირდებიან მიშიკოს, და აი, ცნობილი ფოსტალიონი და მისი შემცვლელი ერთმანეთს შეხვდებიან. არ მოსწონს ძველს ახალი, მაგრამ... აი, უკვე მიუყვებიან ქუჩას ერთად.

იმავდროულად, შეყვარებული გულის სწორს სიზმარში ხედავდა, მაგრამ გამოაღვიძეს:

– გიყვარს, მამა გენაცვალოს?

– მიყვარს. იცი, რა პერსპექტული ახალგაზრდაა? შეიძლება პარლამენტის დირექტორობასაც გამოკრას ხელი.

– მართლა? მერე დროზე ექნათ ეგ საქმე, რას უყურებ, პერსპექტიული ხალხი გვჭირდება, ხო იცი!

– არაფერსაც არ ვუყურებ, დღესვე მოვიყვან, გაგაცნობ და იქნებ დავტოვო კიდეც.

ძველი ფოსტალიონი კი, ახალს სამუშაოს აცნობს და აი, საბედისწერო მისამართი, საბედისწერო ზარი:

– აწიე, ბიჭო, თავი. ეს ის ყმაწვილი არ არის?



– ვაიმე, ეს რა მოგსვლია, მიშიკო?

– რა მომსვლია და ხოშიანად ვარ.

– სუ, ხმას ნუ იღებ.

– მე ვინც ხმას არ მაღებინებს, ყველა არის დაუძინებელი, ძირძველი მტერი.

– თქვენთან დიდი ბოდიში, ქალბატონო, მაგრამ, მე ციხის ფოსტალიონს ოჯახში ვერ შემოვუშვებ.

– ჯერ ეგ ერთი, ციხის ფოსტალიონი ეს კი არა, მე ვარ. ეგ ციხის ფოსტალიონის ასისტენტია, ანუ ჩემი.

– ასისტენტს მით უმეტეს არ შემოვუშვებ.

– მიშიკო, დააგდე ეხლავე ეგ ჩანთა, თორემ ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრდება.

– აბა, თუ დააგდებ, ჩვენს შორისაც დამთავრებულია.

როგორ ფიქრობთ, დააგდებს ჩანთას? ჯერ თავადაც არ იცის ახალგაზრდამ, ამიტომაც ფიქრობს: „განა ღირს ერთი გომბიოს გულისთვის კარიერის დანგრევა? არა, არა და არა. ჩემი კარიერა ხომ ახლა იწყებს გაფურჩქვნას, წინ ნათელი მომავალი მელოდება – პატიმრები, სასამართლო რეფორმა, მოსამართლეების გამოცდები. არა, უნდა დავბრუნდე!"

დიახ, ფოსტალიონის ასისტენტმა გადაწყვეტილება მიიღო. მისი სამუშაოს პირველი დღე გრძელდება.

დაველოდოთ, ვინ როგორ შეხვდება ამაგდარ ფოსტალიონსა და მის ახალბედა ასისტენტს, როგორ ჩაივლის ღვაწლმოსილ მუშაკთან დამშვიდობების ცერემონიალი, რა გადაწყვეტილებას მიიღებს იგი თავად და ვის რა რეაქცია ექნება მის საქციელზე და ეს ყველაფერი ვნახოთ „დიდების ზღაპრის" ახალ სერიაში საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის საღამოს ეთერით. და არ დაივიწყოთ, რომ დღე პირველი ყოველთვის არ არის დღე უკანასკნელი.

**„დიდების ზღაპრის" საინფორმაციო მხარდაჭერას უზრუნველყოფენ რადიო „აუდიენცია" FM105,9 და გაზეთები „საქართველოს რესპუბლიკა" და „დრონი". გადაცემის სპონსორია ფიჭური კავშირის კომპანია „მაგთი" GSM, „დიდების ზღაპრის" ხალისიან განწყობილებას კი, უზრუნველყოფს ღვინო „ძველი თბილისი".**

**ფოსტალიონ ჩანთიძე.**

---

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო კოლეგია იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა
გურამ დავითის ძე თევზაძე
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ საქართველოს თავდაცვის მინისტრს დავით თევზაძეს ძმის
გურამ თევზაძის
გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ღრმა სამძიმარს უცხადებს საგანგებო დავალებათა ელჩს ბატონ თეიმურაზ გორდელაძეს შვილიშვილის
ნიკოლოზ სიკინჭილაშვილის
გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო ეკოლოგიის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის სექტორის ყოფილი ხელმძღვანელი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
ოთარ ფილიპეს ძე კვაშალი
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.
პანაშვიდი 4, 5 VI, 5 სთ. გამოსვენება 6 VI, 3 სთ. ი. აბაშიძის (ყოფილი ვ. ბარნოვის) 48.

---

ქ. თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახური თანაგრძნობას უცხადებს ქ. თბილისის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის დირექტორს მზია ნადირაძეს მეუღლის
ნოდარ ივანეს ძე კომახიძის
გარდაცვალების გამო.

---



შვილები ნოდარი, ოთარი, მარინა ქაჯაიები, რძლები მარინა სიხარულიძე, ელენე ნატროშვილი, სიძეები ნუგზარ სვანიძე, გიორგი თავაძე, შვილიშვილები გია, მაია, ანა ქაჯაიები, გიორგი კილასონია, შვილთაშვილები ქეთი, ნატა ქაჯაიები, ლევან, სანდრო თავაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ნადეჟდა (ნადია) იოსების ასული
ჯანიაშვილი-ქაჯაია
პანაშვიდი 2, 3 VI, 5 სთ. გამოსვენება 4 VI, 3 სთ. ტიციან ტაბიძის I შესახვევი №20.

---



სააქციო საზოგადოება ჰოლდინგური კომპანია „მონტაჟსპეცმშენი" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სისტემის ღვაწლმოსილი მუშაკი, ავტოტრანსპორტის სამმართველოს უფროსი
გიზო ვახტანგის ძე დარასელია
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## ტელევიზია – შაბათი, 3 ივნისი

10.00 დილის პაემანი 11.30 მულტსერიალი „ჩუპი" 11.40 „თბილისის დროით" 12.00 საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა ინგლისურ ენაზე 12.25 „საალდგომო ალლუმი" 14.05 „ზღვარი" 15.00 „ვესტნიკი" 15.10 „ბავშვები, უპირველეს ყოვლისა" 15.25 „ახალი ქართული პროექტი" 15.45 „ეძიე ქალი" 16.05 „რეგიონი" 16.25 პავლე ქანტურიშვილი 16.45 სატელევიზიო სპექტაკლი 18.00, 20.00, 00.00 „მოამბე" 18.15 „ღვანლი" 18.30 „ინტეგრალი" 19.05 „მზადყოფნა 1" 19.20 „სტადიონი" 19.40 „ბასტი-ბუბუ" 20.40 „მაესტრო" 21.40 „გრიფით საიდუმლო" 22.00 „რომი" 00.20 „ტერმინალი" 00.45 „11 დღე, 11 ღამე".

19.00 ინფორმაცია 19.30 „საზღვაო პოლიცია" 20.20 მულტფილმი 20.45 ვარსკვლავები გვამცნობენ 21.00 ლოტო 2000 21.25 ახლო ხედი 21.50 ჰიტ-პარადი 22.00 „ბარბარა".

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.50 მულტსერიალი 10.40 საბავშვო ფილმი 12.00 მუსიკა 12.15 „კოლომბო" 12.45 სიმფსონები 13.15 „სიყვარულის ერთგულება" 14.00 მხ. ფ. 18.00, 01.00 კურიერი 18.20 „კომპიუტერული ომები" 18.40 „რობინზონების ოჯახის თავგადასავალი" 19.10 ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა 20.05 „სიყვარულის ერთგულება" 21.00 კურიერი 22.00 „სამი ქალბატონი" 01.10 „წითელი ფეხსაცმლის დღიურები" 01.40 ღამის ჯაზი.

იბერია 09.00 ნახ. ფ. 09.10, 22.25 „ალსავალი" 09.25, 19.20 მულტსერიალი 09.45 „ძალაძი" 10.10 ქართული ჰანგები 10.20 „ყველა ჩემი შვილი" 11.00 მულტფილმი 11.30 სტუდია დიალოგი 12.10 „მაფიის ხალხი" 14.25 „მუს. ტალღა" 14.30 „დიდი ფული" 18.00 ნახ. ფ. 18.10 დოკ. ფ. 19.00, 22.00 ახალი ამბები 19.40 მუს. ტალღა 20.40 ძვ. ჰანგები 21.15 „გვარიშვილობა" 21.30 მრწამსი 22.30 „სონისა და შერის ისტორია" 23.55 „ნოსტალგია" 00.05 „კეთილი ბიჭუნა", „ოვაცია".

12.00 მულტფილმი 13.30 „თავისუფალი მსროლელი" 15.00 „ლოს ანჯელესის საიდუმლოებები" 17.30 ქადაგება 18.00 „მსოფლიო სპორტი" 19.00, 20.30, 00.00 „დღეს" 19.20 დოკ. ფ. 21.00 „ვარსკვლავები". 22.00 „მწვანე მილა".

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, მზია ბელქნავა, გურამ ბოგბიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ჟღენტი, ბექა ჩქეია, ომარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი აბესალომ იმედაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება – ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.